როგორ დავიცვათ ბავშვები სექსუალური ძალადობისგან?

სპეციალისტების გზამკვლევი

Region in Transition

პროექტი თანადაფინანსებულია ქ. ვარშავის მერიის მიერ

პუბლიკაცია შემუშავდა და გამოიცა პროგრამის „ბავშვების ძალადობისგან დაცვა“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი თანადაფინანსებულია ქ. ვარშავის მერიის მიერ.

რედაქტორი: კატაჟინა სეიდელმა პოლონეთი; მეგი ბიბილური საქართველო

კონსულტანტი: კატაჟინა კატანამ და თეა გალახვარიძე

კორექტორი: ლენა მარჩინიაკ-ცონკალა

გრაფიკული უზრუნველყოფა: ნორბერტ გჟელკა და შალვა მურადაშვილი

ფოტო გარეკანზე: vectorfusionart/stock.adobe.com

საავტორო უფლებები 2019 ფონდი ვაძლიერებთ ბავშვებს

ISBN 978-83-65675-09-5

ფონდი „ვაძლიერებთ ბავშვებს“

ფონდი „ვაძლიერებთ ბავშვებს“

ვალეჩნიხ ქ. 59, 03-926 ვარშავა

ტელ. 22 616 02 68

Biuro@fdds.pl

www.fdds.pl

პუბლიკაციის ტექსტი ხელმისაწვდომია Creative Commons

საავტორო უფლებები დაცულია. არაკომერციული გამოყენება 3.0 პოლონეთი.

ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე:
https://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/4.0/legalcode.pl

საავტორო უფლებები დაცულია **ფონდ „ვაძლიერებთ ბავშვებს“ მიერ**

© გამოცემა „ძალადობის პრევენცია და სამართლებრივი მექანიზმები“ ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution 4.0 საერთაშორისო საავტორო ლიცენზიით. პუბლიკაცია შეიქმნა პროექტის „საქართველოს მასწავლებელთა გადამზადება არასრულწლოვანებზე სექსუალური ძალადობის თემაზე“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის“ მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის“ მიერ, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის“. აღნიშნულიდან გამომდინარე, პუბლიკაციის გამოყენება იქნება ნებადართული მხოლოდ იმ პირობით, თუ ზემოხსენებული ინფორმაცია, მათ შორის, გამოყენებული ლიცენზიის და საავტორო უფლებების შესახებ იქნება გამოქვეყნებული.

© ფონდი ჰუმანდოკი-ს (Fundation HumanDoc) 2021

www.humandoc.pl

www.humandoc.ge

სარჩევი

1. ნაწილი პირველი - ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრობლემა
2. ნაწილი მეორე - ბავშვების დამაზარალებელი სექსუალური ქცევები
3. ნაწილი მესამე - ბავშვების მიერ ინტერნეტით სარგებლობა და სექსუალური ძალადობა
4. ნაწილი მეოთხე - ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები - მოძალადეები
5. ნაწილი მეხუთე - როდის იწყებენ სექსუალურ ქცევას ბავშვები სხვა ბავშვების მიმართ
6. ნაწილი მეექვსე - ბავშვზე სექსუალური ძალადობის რისკ-ფაქტორები
7. ნაწილი მეშვიდე - ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ნიშნები და შედეგები
8. ნაწილი მერვე - სექსუალური ძალადობისგან ბავშვების დაცვა
9. ნაწილი მეცხრე - ბავშვების მიერ მათ მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტების გამხელა
10. ნაწილი მეათე - ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დროს ინტერვენცია

1

ნაწილი პირველი - ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრობლემა

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევები პოლონეთში საკმაოდ გავრცელებულია. ამ ყველაფერს უარყოფითი გავლენა აქვს ბავშვების ცხოვრების სფეროებზე. 2018 წელს FDDS მიერ მთელი პოლონეთის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც ეხებოდა ამ პრობლემის მასშტაბს და გამომწვევ ფაქტორებს, აჩვენა, რომ 13-დან 17 წლამდე მოზარდების 7% ყოფილა როგორც მინიმუმ ერთხელ სექსუალური ძალადობის (ფიზიკური კონტაქტით) მსხვერპლი, 20% კი - გამოუცდია სექსუალური ძალადობა (ფიზიკური კონტაქტის გარეშე). ორივე შემთხვევაში, გოგონებს (10% და 27%) უფრო ხშირად გამოუცდიათ სექსუალური ძალადობა, ვიდრე ბიჭებს (5% და 12%).

ბავშვებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ მოძალადეების შეჩერება. გარდა ამისა, ბავშვებს უფრო უჭირთ სექსუალური ძალადობის ფაქტების გამხელა.

ზრდასრული ადამიანები, განსაკუთრებით კი სოციალურ დაწესებულებებსა და საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე სპეციალისტები, სექსუალური ძალადობისგან ბავშვების დაცვის კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. გარდა ამისა, მათ აკისრიათ ვალდებულება მოახდინონ ადრეული ინტერვენცია, თუ ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ჩადენის ეჭვი გაუჩნდებათ.

ეს ბროშურა შეიქმნა იმ მიზნით, რათა სპეციალისტებმა უფრო ეფექტურად შეძლონ ბავშვების დაცვა და დახმარება. ბროშურაში თავმოყრილია ინფორმაცია, თუ რა სახის აქტივობებია დასანერგი, რათა დავიცვათ ბავშვები სექსუალური ძალადობისგან, რა სახის სიტუაციებმა და სიგნალებმა უნდა დაგვაეჭვოს, ვის შეიძლება მივმართოთ დახმარების მიღების მიზნით და სად განვაცხადოთ ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტების შესახებ.

გახსოვდეთ!

- პოლონეთში ბავშვების 7% გამხდარა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი (ფიზიკური კონტაქტით).
- ბავშვების 20% გამოუცდია სექსუალური ძალადობა (ფიზიკური კონტაქტის გარეშე).
- 8-დან 12 წლამდე ბავშვები სექსუალური ძალადობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია.
- ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა შესაძლებელია მრავალი წლის განმავლობაში გაგრძელდეს, ბავშვის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდეც კი.
- ბავშვების უმეტესობა სექსუალური ძალადობის ფაქტებს არასოდეს ამხელს.

2

ნაწილი მეორე - ბავშვების დამაზარალებელი სექსუალური ქცევები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას განმარტავს შემდეგნაირად: სექსუალური უერთიერთობების დამყარება ბავშვთან, როდესაც ბავშვს არ შეუძლია ამ ქმედების სრულად გააზრება და ვერ აცხადებს გააზრებულ თანხმობას ამ ქმედებაზე და ჯერ არ მიუღწევია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების მიხედვით, სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილი ასაკისთვის.

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა ხორციელდება მაშინ, როდესაც ხდება ბავშვთან უშუალო, სექსუალური ხასიათის ფიზიკური კონტაქტის დამყარება - ამ შემთხვევაში, იგულისხმება სექსუალური ძალადობა ფიზიკური კონტაქტით. სექსუალურ ძალადობად მიიჩნევა აგრეთვე სექსუალური ხასიათის ქმედება ფიზიკური კონტაქტის გარეშე.

სექსუალური ხასიათის ქმედებების მაგალითები, რომელიც ფიზიკური კონტაქტის დამყარებით ხორციელდება:

- სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ბავშვის გენიტალიების შეხება (ასო, სათესლეები, ქალის გარეთა სასქესო ორგანოები, მკერდი, ანუსი);
- ეროტიული ალერსის დაძალება;
- ბავშვისთვის მოძალადის მასტურბაციის, ან ავტოეროტიული ქცევის დაძალება;
- შეღწევა - სხვადასხვა საგნებით, ან სხეულის ნაწილებით (მაგალითად, თითები, ენა, ან ასო) ბავშვის ვულვაში, საშოში, პირში, ან ანუსში შეღწევა.

სექსუალური ხასიათის ქმედებების მაგალითები, რომელიც ფიზიკური კონტაქტის გარეშე ხორციელდება:

- ბავშვისთვის პორნოგრაფიული მასალების ჩვენება;
- ბავშვისთვის საკუთარი, ან სხვისი გენიტალიების ჩვენება;
- ბავშვის გაშიშვლება, რაც არ არის დაკავშირებული მასზე მზრუნველობასა და მისი მკურნალობასთან;
- პორნოგრაფიული და ეროტიული ხასიათის მასალების შესაქმნელად, ბავშვისთვის სურათების გადაღება;
- ბავშვისთვის რეალური, ან ჩაწერილი (ინტერნეტიდან, ან ელექტრონულ მატარებლებზე ჩაწერილი) სექსუალური აქტების ყურების, ან მოსმენის დაძალება;

- სექსუალური ენით ლაპარაკი, ბავშვთან ეროტიულ თემებზე საუბარი, რაც არ ეხება სექსუალურ განათლებას.

ზრდასრული ადამიანის მიერ 15 წლამდე ბავშვთან სექსუალური ქმედების განხორციელება არის ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა.

სექსუალურ ძალადობას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს აგრეთვე ბავშვებს (თანატოლებს, ან სხვადასხვა ასაკის ბავშვებს) შორის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი ბავშვი მეორეს მეურვეა, მასზე დამოკიდებულია, ან ინტელექტუალურად, თუ ფიზიკურად მასზე ძლიერია. ბავშვებს შორის განხორციელებული სექსუალური ხასიათის ქმედება ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი სახის სექსუალური ქცევა დაკავშირებულია ადამიანის ფსიქოსექსუალური განვითარების ეტაპთან და ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს. სიტუაციის გაანალიზებისას, მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ასაკს და იმ ქცევის სპეციფიკას, რომელიც მეორე ადამიანისგან განიცადა.

ბროშურის შემდგომ ნაწილში (როდის იწყებენ სექსუალურ ქცევას ბავშვები სხვა ბავშვების მიმართ) ხელმისაწვდომია ინფორმაცია, რომელიც დაგეხმარებათ იმის დადგენაში, შეგვიძლია თუ არა ეს კონკრეტული სექსუალური ქცევა სექსუალური ძალადობად შევაფასოთ.

3

ნაწილი მესამე - ბავშვების მიერ ინტერნეტით სარგებლობა და სექსუალური ძალადობა

ინტერნეტის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა კომუნიკაციის შესაძ-ლებლობები და გაზარდა ინფორმაციასთან წვდომა. თანამედროვე ტექნო-ლოგიების განვითარების პარალელურად, მოძალადეებს და სხვა დამნაშავეებს გაეხსნათ მსხვერპლთან წვდომის ახალი გზები.

ბავშვები და ახალგაზრდები ინტერნეტს სხვადასხვა მიზნით იყენებენ: პოულობენ ახალ ნაცნობებს, თამაშობენ ონლაინ თამაშებს, ეძებენ მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხებს. ასეთი აქტივობებისას, დიდია საფრთხის-შემცველი შინაარსის მასალებისა და კონტაქტების, კიბერძალადობის გამოაშ-კარავების რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ფსიქოსექსუალური განვითარების აშლილობები და/ან მათ მიმართ სექსუალური ძალადობა.

ხშირ შემთხვევაში, უფროსებმა (მასწავლებლებმა, მეურვეებმა და მშობლებმაც კი) არ იციან, თუ რას ნახულობს ბავშვი ინტერნეტში. ამასობაში პოტენციური მოძალადეები ბავშვთან კონტაქტის დამყარების მიზნით, ეძებენ სხვადასხვა გზებს: სოციალური ქსელების, ონლაინ თამაშების, ბლოგების, საერთო ინტერესების ჩვენების საშუალებით. ახალი ტექნოლოგიების დახმარებით, მოძალადესთვის სულ უფრო ადვილი ხდება ბავშვთან ახლო, ინტიმური ურთიერთობების დამყარება ისე, რომ მშობელს ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ აქვს. მოძალადე შეიძლება ბავშვის თანატოლის, ან უფროსი მენტორის როლში შევიდეს და აჩვენოს მას, რომ მისი ესმის, აქვს მისთვის დრო. გარდა ამისა, ყველაფერს აკეთებს, რომ „დააშოროს“ მშობლებს და თანატოლებს.

ახალი ტექნოლოგიების დახმარებით, სექსუალურ ურთოერთობებზე დაყოლიება რთული პროცესია - კონტაქტის ხანგრძლივობა, ინტენსიურობა და ფორმა დამოკიდებულია როგორც მოძალადის მოთხოვნილებებსა და პიროვნებაზე, ისე ბავშვის საჭიროებებსა და ქცევაზე.

ყურადღება!

მოზარდების 23% ამხელს, რომ ხვდება ინტერნეტში გაცნობილ უფროსებს, ხოლო მათგან 7% ამის შესახებ არავის ეუბნება (NASK, 2016).

2017 წელს, პოლონეთში პოლიციამ აღძრა 676 საქმე გრუმინგის (სექსუალურ ურთიერთობებზე დაყოლიება ახალი ტექნოლოგიების დახმარებით) ბრალდებით.

2010 წლიდან ეს მაჩვენებელი სისტემატიურად იზრდება, რაც გამოწვეულია გრუმინგის სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულად ჩათვლით.

კიბერძალადობა

კიბერძალადობა გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ფარული ან აშკარა დაშინების, დამცირების, ან შეურაცხყოფის მიზნით განხორციელებულ ქმედებას, რაც გამოიხატება შეურაცხმყოფელი შინაარსის მასალების გადაგზავნით ან გამოქვეყნებით. ხშირ შემთქვევაში ასეთი მასალები სექსუალურ კონტექსტს ატარებს. ასეთი შინაარსის მასალები ბავშვს შესაძლებელია გადმოუგზავნოს როგორც მისთვის სრულიად უცნობმა, ისე ნაცნობმა პირმაც.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ყოველდღიურად ციფრული ტექნოლოგიების მომხმარებელი მოზარდები, თანატოლებთან ურთიერთობისას, გრძნობენ თავს დამცირებულად, რადგან მათ დასცინიან გარეგნობის, თანატოლებში ცუდი პოზიციის, ან სექსუალური პრეფერენციების გამო. მოძალადეები უმეტესწილად იყენებენ გინებას და დამამცირებელ ლექსიკას.

ყურადღება!

პოლონელი მოზარდების 1/3 გამხდარა ინტერნეტში შეურაცხმყოფელი კომენტარების ადრესატი.

მოზარდების 12,4% გამოტყდა, რომ აქვეყნებს ინტერნეტში შეურაცხმყოფელ მასალებს.

პორნოგრაფიული მასალები

პორნოგრაფიას ონლაინ სივრცეში, აგრეთვე ბავშვთა პორნოგრაფიას შესაძლებელია წააწყდეს ბავშვი, ინტერნეტში სხვადასხვა აქტივობებისას.

პორნოგრაფიული მასალები, რომლებსაც ბავშვი შესაძლებელია ონლაინ სივრცეში გადააწყდეს ზიანის მომტანია ბავშვისთვის, რადგან:

- ხელს უშლის ბავშვის ფსიქოსექსუალურ განვითარებას, უარყოფითად აისახება ბავშვის მიერ საკუთარი სხეულის აღქმაზე და უბიძგებს მას იმ ქცევისკენ, რომელიც არ შეესაბამება მიღებულ ქცევის ნორმებს.
- იწვევს რთულ ემოციებს: შიშს, სტრესს, ზედმეტ აღგზნებულობას, სიბრაზეს, ან აგრესიას;
- უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ჯანმრთელობისა და სექსუალური ცხოვრებოს განვითარებაზე.

2018 წელს, საერთაშორისო ორგანიზაცია INHOPE, რომელშიც გაწევ-რიანებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სხვადასხვა ორგანი-ზაცია, დააფიქსირა 223 999 არალეგალური ფოტო და ფილმი, სადაც წარმო-დგენილი იქნა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტები (ე.წ. ბავშვთა პორნოგრაფია). ამ მასალების 91%-ში წარმოდგენილნი იყვნენ 13 წლამდე ბავშვები, 80% კი - გოგონები[1].

სექსტინგი

ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისას, ახალგაზრდებისთვის ძალიან საფრთხისშემცველ და სარისკო სექსუალურ ქცევას წარმოადგენს სექსტინგი.

ეს გახლავთ გზავნილი, რომელიც შეიცავს სექსუალური ხასიათის ტექსტს, ან შიშველ ფოტოს - ეს შესაძლებელია იყოს როგორც ბავშვის საკუთარი ფოტო, ისე მისი თანატოლების. ეს გზავნილი შესაძლებელია გაზიარებულ იქნას ნაცნობებს შორის, ან ინტერნეტში - მაგალითად, ხუმრობის, ან შურისძიების გამო. მოზარდების მიერ ამგვარი გზავნილების შექმნის მთავარი მიზეზია სქესობრივი მომწიფების ასაკში გართობის აუცილებლობა, სექსუალურობით დაინტერესება და აგრეთვე თანატოლების აყოლიება. სექსტინგის შედეგი ხშირ შემთხვევაში, ძალიან მძიმეა ხოლმე. ასეთი სახის მასალა ადვილად ხვდება მოძალადეების ხელში, რომლებიც ასეთ გზავნილებს იყენებენ დაშანტაჟების და კომერციული მიზნით. გარდა ამისა, სექსუალური შინაარსის მასალის შანტაჟის გზით, მოძალადე მსხვერპლს აძალებს დამატებით ასეთი მასალის შექმნას და სექსსაც კი (ინგლისურად: sextortion).

ყურადღება!

პოლონეთში ბავშვებისა და მოზარდების 43% ჰქონდა შეხება ინტერნეტში პორნოგრაფიასთან;

ბავშვების 58% მეტი აცხადებს, რომ შემთხვევით გადააწყდა პორნოგრაფიას, 31% კი სპეციალურად ეძებს ასეთ მასალებს;

ის მოზარდები, რომლებსაც ჰქონდათ შეხება პორნოგრაფიულ მასალებთან, უფრო ხშირად ხდებიან სექსტინგის მსხვერპლნი: სამჯერ უფრო ხშირად ღებულობენ ინტიმურ ფოტოებს და ხუთჯერ უფრო ხშირად აგზავნიან თავის ინტიმურ ფოტოებს ტელეფონისა და ინტერნეტის გამოყენებით (FDDS&NPZ, 2017).

[1] INHOPE (2019). Inhope Statistics 2018, www.inhope.org , (6.09.2019).

4

ნაწილი მეოთხე - ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები - მოძალადეები

ვინ არიან ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები?

არ არსებობს ბავშვზე სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირის კონკ-რეტიზებული ტიპაჟი. გარეგნული მხარით მოძალადეები სხვებისგან არაფრით განსხვავდებიან. შეიძლება იყვნენ სხვადასხვა სოციალური ფენისა და პროფესიის წარმომადგენლები. ხანდახან გავლენიანი თანამდებობებიც კი უკავიათ და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობენ. შეუძლიათ სექსუალურად იძალადონ როგორც საკუთარ შვილებზე, ისე ბავშვებზე ახლო გარემოცვიდან. გარდა ამისა, შეუძლიათ სექსუალური ურთიერთობების დამყარება უცნობ ბავშვებთანაც კი.

ოჯახში სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები არიან მამები, დედების ცხოვრებისეული პარტნიორები, ძმები, ბიძები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ბაბუები. მოძალადეები შეიძლება ქალები, დედებიც კი იყვნენ.

მოძალადე შესაძლოა ქმნიდეს ბავშვების მიმართ კეთილი და მზრუნველი ადამიანის შთაბეჭდილებას. ხშირია შემთხვევები, როცა მოძალადეები უახლოვდ-ებიან ბავშვის მშობლებს, მათში ნდობას ნერგავენ, ეხმარებიან ოჯახს, ცდილობენ „დააკმაყოფილონ“ მათი საჭიროებები. გარდა ამისა, ცდილობენ ახლო ურთი-ერთობების დამყარებას ბავშვთან, „ემოციურად პარავენ“ მეურვეებს, მშობლებს.

რთულია დაჯერება, რომ ჩვენთვის კარგად ნაცნობი, საყვარელი ადამიანი შესაძლებელია იყოს ბავშვზე სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირი. იქედან გამომდინარე, რომ შესაძლებელია ასეთი რამ მოხდეს, უნდა ვიცოდეთ, რას მივაქციოთ ყურადღება და როგორ დავეხმაროთ ბავშვებს.

ყურადღება!

მიიჩნევა, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, 80% ბავშვი იცნობს მოძალადეს.

რატომ ძალადობენ სექსუალურად ზრდასრული ადამინები ბავშვებზე?

რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ რა მოტივები ამოძრავებს მოძალადეს. ხანდახან ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ნაკარნახებია ფსიქიკური აშლილობით. პირები, რომლებიც სქესობრივ ლტოლვას მხოლოდ ბავშვების მიმართ განიცდიან არიან **პედოფილები.**

მოძალადეების უმეტესობა არიან ადამიანები, რომლებიც სქესობრივ ლტოლვას განიცდიან ზრდასრული ადამიანების მიმართ, თუმცა სხვადასხვა მიზეზებით, სექსუალურ ურთიერთობებს ამყარებენ ბავშვთან, ზრდასრული პარტნიორის ნაცვლად. ასეთი მოძალადეების უმთავრესი პრობლემაა არაა არასათანადოდ ჩამოყალიბებული სქესობრივი ლტოლვა, არამედ ფსიქიკური აშლილობები და პრობლემები.

ხანდახან დაბალი თვითშეფასების და ფიზიკური დეფექტის გამო, ზრდასრული ადამიანი სქესობრივ ურთიერთობებს ამყარებს ბავშვთან, რადგან ეშინია, რომ თანატოლი პარტნიორი მას არ მიიღებს.

ზოგიერთი ადამიანი ბავშვზე სექსუალურად ძალადობს, რათა აჩვენოს საკუთარი ძალაუფლება და ყველაფრის კონტროლის უნარი, რომლიც ჩვენების უნარიც არ აქვს ზრდასრულ ადამიანებთან კავშირის დამყარებისას.

სექსუალურად ბავშვზე ხშირად ძალადობენ ისინი, ვინც ბავშვობაში თავად ყოფილა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

როგორც ხედავთ, ბავშვთან სქესობრივი ურთიერთობის დამყარების მრავალი მიზეზი არსებობს. ხანდახან მოძალადეებს არ აქვთ ემპათიის გრძნობა, ან დისკომფორტს უქმნით დაბალი თვითშეფასება და ზრდასრულ ადამიანებთან სოციალური კონტაქტის დამყარების შიში. ვერც ერთი მიზეზი ვერ გაამართლებს მოძალადეს. პედოფილები და ბავშვზე სექსუალურად მოძალადე სხვა პირები მხოლოდ თავად არიან პასუხისმგებლები თავისი საქციელის გამო - მათ პასუხისმგებლობას ვერ შეამცირებს და მათ ვერ გაამართლებს ბავშვის რეაქცია, რომელიც ენდობა მოძალადეს, ეძებს მასთან სიახლოვეს, გულუბრყვილოდ სჯერა მისი კეთილი ზრახვების და არც ის, რომ ბავშვი საკუთარ ასაკზე უფროსად და უფრო სექსუალურად გამოიყურება.

როგორ მოქმედებენ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები?

მოძალადეებს ბავშვთან დაახლოების და მისი ნდობის მოპოვების მიზნით, ხშირად ბევრი სირთულის გადალახვა უწევთ.

მოძალადე ხშირად ბავშვის ყალბი მეგობარი, მისი ნდობით აღჭურვილი პირი და მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი პირი ხდება, რომელსაც ყველაზე კარგად ესმის ბავშვის პრობლემები. ის იზიარებს ბავშვის დაინტერესებს და თანდათან იკავებს ბავშვის მშობლებისთვის, ან თანატოლებისთვის განკუთვნილ ადგილს - ის ერთგვარად იტაცებს ბავშვს ემოციურად და ფიზიკურად.

რა თქმა უნდა, არსებობენ ისეთი მოძალადეებიც, რომლებიც ბავშვს ემუქრებიან, მათზე ფიზიკურად ძალადობენ, აშინებენ მას და ბავშვის უმწეობით სარგებლობენ.

ბავშვის მოხიბლვა და დაყოლიება

მოძალადის მიერ ბავშვის მოხიბლვა და დაყოლიება მიზნად ისახავს ბავშვზე სექსუალუარად ძალადობას.

მოძალადე ხშირად არჩევს ხოლმე მარტოსულ და მორცხვ ბავშვებს, რომლებსაც ცუდი ურთიერთობები აქვთ თანატოლებთან. მოწყვლად ჯგუფში არიან ის ბავშვებიც, რომლებსაც მარტოხელა დედები ზრდიან. ასეთ შემთხვევაში, მოძალადე ბავშვს ფინანსურ დახმარებას სთავაზობს და ამგვარი გზით ამყარებს ბავშვთან მეგობრულ ურთიერთობებს.

მოძალადით მოხიბლული ბავშვი მოძალადესთან ურთიერთობისას, თავს გამორჩეულად, სხვაზე უკეთესად გრძნობს და აღფრთოვანებულია იმით, რომ ყურადღების ცენტრშია.

მოძალადეები ბავშვის დაყოლიებისას, ყველა ხერხს მიმართავენ, რათა დააჩქარონ ბავშვთან ახლო, ინტიმური ურთიერთობების დამყარება - ბავშვთან ყოველდღიური კონტაქტი, გართობა, მუსიკალური, სპორტული და რელიგიური აქტივობები, აგრეთვე კონტაქტი თანამედროვე ტექნოლოგიების (ტელეფონი, ინტერნეტი) გამოყენებით.

საიდუმლოს შენახვა

ბავშვზე სექსუალური ძალადობა საიდუმლოდ რჩება ხოლმე. მოძალადეები სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ - აშინებენ, ემუქრებიან, ან ემადლიერებიან ბავშვებს, რათა მათ არ გათქვან ეს ,,საიდუმლო".

საიდუმლოს შენახვის პრეტექსტად, მოძალადემ შესაძლებელია გამოიყენოს ის ფაქტი, რომ ბავშვს ბუნებრივია ეშინია, მორცხვობს და საკუთარ თავს იდანაშაულებს მომხდარის გამო. ხშირად გაუთქმელობის იძულება ხდება მუქარით და დასჯით. ხანდახან ხდება ბავშვების მოსყიდვა. არაა იშვიათი ისეთი შემთხვევები, როდესაც მოძალადე არწმუნებს ბავშვს იმაში, რომ იმაში, რაც მოხდა, პასუხისმგებლობა სწორედ ბავშვს მიუძღვის.

ასეთ შემთხვევაში, ბავშვის უახლოესი გარემოცვა, ოჯახის წევრები, ვერც კი ხვდებიან, რომ რაღაც რიგზე არ არის. ბავშვი კი გზააბნეულია - არ იცის, ვის და როგორ უთხრას ამის შესახებ.

როგორ მივხვდეთ, რომ ვიღაცას სურს ბავშვზე სექსუალურად იძალადოს?

არ არსებობს ამ კითხვაზე იოლი პასუხი, თუმცა მშობლებმა და მეურვეებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ადამიანებს, რომლებიც მათ შვილებს ზედმეტად ბევრ ყურადღებას უთმობენ, მაგალითად:

- ხშირად ჩუქნის ბავშვს საჩუქრებს, სათამაშოებს, პატარა სუვენირებს;
- ეპატიჟება ბავშვს ექსკურსიებსა და არდადეგებზე;
- არჩევს მომენტს, რათა ბავშვთან მარტო დარჩეს.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ზრდასრულ ადამიანებსაც, რომლებიც ბავშვებს ხშირად ეკონტაქტებიან სოციალური ქსელების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების, ან სხვა აპლიკაციების დახმარებით.

5

ნაწილი მეხუთე - როდის იწყებენ სექსუალურ ქცევას ბავშვები[2] სხვა ბავშვების მიმართ

სხვა ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები უფროსი ასაკის ბავშვებიც ხდებიან. გვახსოვდეს, რომ ამ შემთხვევაში არ იგულისხმება სკოლამდელი ასაკის სექსუალური ქცევები, როდესაც ბავშვები შეისწავლიან საკუთარ სხეულს და ადარებენ თანატოლების სხეულს.

არსებობს გამაფრთხილებელი სიგნალები, რომლებსაც ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვების მშობლებმა და მეურვეებმა, რადგან შესაძლებელია ეს იყოს ბავშვის მიმართ სექსუალური აგრესიისა და მანიპულაციის, ბავშვთან სქესობრივი ურთიერთობების დამყარების მცდელობა.

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება:

- **ასაკს**

ერთი ბავშვი მეორეზე რამდენიმე წლით უფრო ხომ არ არის?

- **სტატუსს**

ხომ არ სარგებლობს ერთ-ერთი ბავშვი საკუთარი ავტორიტეტული, ან გავლენიანი მდგომარეობით - მაგალითად, არის თანატოლებს შორის ლიდერი, ან მათი მეურვე.

- **განვითარების დონეს**

ერთი ბავშვი მეორეზე ინტელექტუალურად, ემოციურად და ფიზიკურად უფრო ძლიერი ხომ არ არის?

ყურადღება: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, გონებრივი ჩამორჩენილობის, ან ფიზიკური უუნარობის, ან დამოკიდებული მდგომარეობის გამო, განსაკუთრებით უნდა დავიცვათ, რადგან სწორედ შშმ ბავშვები წარმოადგენენ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს.

- **ძალაუფლებას**

[2] 1989 წლის 20 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი სანამ 18 წლის ასაკს მიაღწევდეს, თუ კანონით, რომელიც ამ ბავშვისადმი გამოიყენება, ის უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

ერთი ბავშვი მეორეს ხომ არ ემუქრება, ან ხომ არ აშანტაჟებს? შეიძლება მის მოსყიდვას, ან მის მიმართ ფიზიკურად ძალადობს?

თუ რომელიმე კითხვაზე დადებითი პასუხი გაქვს, შესაძლებელია სექსუალური აქტივობა ბავშვზე სექსუალური ძალადობა, ან სექსუალური ექსპლოატაცია აღმოჩნდეს.

გახსოვდეს, დახმარების მიღების მიზნით, შეგიძლიათ მიმართოთ სპეციალისტებს, თუნდაც იმ მიზნით, რომ გაიქარწყლოთ ეჭვები, ან პირიქით დარწმუნდეთ რომ ეს ნამდვილად ისაა, რაზეც თქვენ ფიქრობთ. ზრდასრული ადამიანების პასუხისმგებლიანი და სათანადო ქმედება/ჩარევა ნიშნავს ერთი ბავშვის მიერ მეორეს მიმართ განხორციელებული დამამცირებელი ქცევის შეწყვეტას და ორივე არასრულწლოვნისთვის - როგორც მოძალადისთვის, ისე მსხვერპლისთვის დახმარების აღმოჩენას.

სექსუალობის როგორი გამომჟაღვნებაა ბავშვებში ნორმალური?

სექსუალობა არის თითოეული ადამიანის, ინტეგრალური ნაწილი, განურჩევლად ასაკისა. ქვემოთ წარმოდგენილია სექსუალობის გამოვლინების არასრული სია, რაც ბუნებრივია ბავშვის ამა თუ იმ ასაკისთვის შესაბამისი განვითარების ეტაპისთვის.

3 წლამდე ბავშვები (ჩვილობის და ახალშობილობის პერიოდი)

საერთო/ზოგადი:

ბავშვი სწავლობს საკუთარი თავის და საკუთარი სხეულის გარჩევას/გამორჩევას. ეხება საკუთარ სხეულს და შეისწავლის, როგორაა მოწყობილი. არ ერიდება/სცრხვენია სიშიშვლის.

3-დან 6 წლამდე ბავშვები (სკოლამდელი პერიოდი)

საერთო/ზოგადი:

- ორსულობასთან, ბავშვის შექმნაში დედისა და მამის როლთან და სქესობრივი ანატომიასთან დაკავშირებული კითხვები, განსაკუთ-რებით გოგონებსა და ბიჭებს შორის არსებული განმასხვავებელი სქესობრივი ნიშნები;
- ფიზიკური სიახლოვის, კოცნის და ჩახუტების გაძლიერებული საჭიროება;
- საკუთარი სიშიშვლის ჩვენება, ამასთან დაკავშირებული სირცხვილის გრძნობის არქონა;
- ერთმანეთზე დაკვირვება და ბავშვების მიერ ინტიმურ ადგილებზე შეხება (მაგალითად, ექიმობანას, ან დედ-მამობანას თამაში).

ხდება ხოლმე:

- მასტურბაცია სახლში და საჯარო ადგილებში.

7-დან 11 წლამდე ბავშვები (დაწყებითი სკოლის მოსწავლეები)

საერთო/ზოგადი:

- ბავშვს უკვე კარგად განასხვავებს სქესს, აქვს გააზრებული თავისი გენდერული როლი /სქესი/მიაკუთვნებს თავს კონკრეტულ სქესს და თავისი სქესის დამახასიათებელ ქცევებს მიმართავს;

ხდება ხოლმე:

- სექსუალობით დაინტერესება (მაგალითად, გოგონები ინტერესდებიან მზარდი მკერდით, მენსტრუაციასთან დაკავშირებული თემებით, ბიჭები ადარებენ თავის სასქესო ორგანოებს, ელოდებიან, როდის გაეზრდებათ წვერი). ზოგადად, ფსიქოსექსუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება იმავე სქესის წარმომადგენლებთან.

12-დან 16 წლამდე ბავშვები (მომწიფების პერიოდი)

საერთო/ზოგადი:

- სექსუალურ ტრადიციებთან, პარტნიორთან კავშირის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული კითხვები;
- კერძო ადგილებში მასტურბაცია, სექსუალური ფანტაზიები;
- თანატოლებთან ექსპერიმენტირება, მაგალითად: ეროტიული კოცნა, ალერსი და ინტიმური ადგილების მოფერება
- ხშირი შეყვარება, ე.წ. არამყარი წყვილები

6

ქალთა მიმართ ძალადობა. სექსუალური შევიწროება. სექსუალური ძალადობა ბავშვებში

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში მცხოვრები ქალებისა და გოგონების მნიშვნელოვანი რაოდენობა ყოველდღიურად ძალადობას განიცდის. ხშირად ქალები და გოგონები განიცდიან ძალადობის სერიოზულ ფორმებს, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობა, სქესობრივი ძალადობა, გაუპატიურება, იძულებითი ქორწინება და სასქესო ორგანოების დასახიჩრება. გარდა ამისა, ძალადობას შეიძლება ქონდეს ფსიქოლოგიური ხასიათი და შედგებოდეს სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან, კრიტიკისაგან, იზოლაციისაგან, მუქარისაგან, შევიწროებისა და აკვიატებულ დევნისაგან. ის, რომ ასეთი ძალადობა ფიზიკური ხასიათის არ გახლავთ სულაც არ ნიშნავს იმას რომ იგი ნაკლები ზიანის მომტანი და ნაკლებად სასტიკია. ასეთი ძალადობის ჩამდენნი საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენლები არიან. იტანჯებიან არა მხოლოდ ამ ძალადობის უშუალო მსხვერპლნი, არამედ ის ბავშვებიც, რომლებიც ძალადობის მოწმეები ხდებიან.

ქალთა მიმართ ძალადობა ვლინდება ყველა ასაკისა და სოციალური წარმომავლობის ქალის წინააღმდეგ, მაგრამ გარკვეული ჯგუფები ძალადობის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადი არიან. ძალადობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები იმ ნიადაგში, რომელსაც საზოგადოებაში ქალთა და მამაკაცთა შორის უთანასწორობა ქვია და ძალადობას ადგილი აქვს შეუწყნარებლობისა და მიუღებლობის კულტურულ გარემოში. ძალაუფლების დისბალანსი იწვევს ქალთა მიმართ დისკრიმინაციას და განსხვავებულ მიდგომებს, რაც ქალებს ძალადობრივი სიტუაციიდან თავის დაღწევას ურთულებს.

ძალადობა, რომელსაც ქალები განიცდიან, ყოველთვის სერიოზულად არ აღიქმება საზოგადოების თუ ხელისუფლების ორგანოების მიერ, რაც კიდევ უფრო დაუცველს ხდის ამ ქალებს ძალადობის შემდგომი გამოვლინების თუ მკვლელობის წინაშეც კი. სამწუხაროდ, ქალთა მიმართ ძალადობა ხშირად პირადი ცხოვრების ნაწილად ითვლება და ბევრ ქალს არა სურს ამის შესახებ განცხადების გაკეთება ან მათი ოჯახი თუ საზოგადოება უკან ახევინებს მათ ძალადობის ფაქტის გამჟღავნებისაგან. არგაცხადებულ ძალადობის ფაქტებს კიდევ უფრო ამძიმებს არაადეკვატური გამოძიება, სამართლებრივი დევნა და სასჯელის შეფარდება. ძალიან ბევრი საქმე სასამართლომდე არც კი მიდის, ან თუ მიდის, ძალადობის ჩამდენნი ხშირად მინიმალურ სასჯელს იღებენ. მსხვერპლის მიმართ გამოძიების ან სასამართლო პროცესის განმავლობაში არასენსიტიური დამოკიდებულება ხშრად მსხვერპს ხელახა აქცევს ძალადობის მსხვერპლად. ამის გამო ქალები ნაკლებად ბედავენ ძალადობის შესახებ

გაცხადებას, მით უმეტეს, რომ ადეკვატური დაცვის არარსებობის პირობებში, ძალადობის ფაქტის შესახებ გაცხადება ზრდის ხელახალი ძალადობის რისკს.

ოჯახში ძალადობა ძალიან ღრმა ტრავმის მიმყენებელი ძალადობრივი ქმედებაა. მსხვერპლთა უდიდესი უმრავლესობა ქალები და გოგონები არიან. კვლევებმა გამოავლინა, რომ არსებობს ურთიერთკავშირი ბავშთა ფიზიკურ დასჯასა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობას შორის, არ ჩატარებულა საკმარისი და სანდო კვლევები ოჯახში ძალადობის სხვა ფორმების შესასწავლად, როგორებიცაა ხანდაზმულთა მიმართ ან მამაკაცთა მიმართ ძალადობა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მამაკაცი შეიძლება მართლაც იყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ასეთი შემთხვევები ბევრად უფრო ნაკლებად გვხვდება, ვიდრე ქალთა მიმართ ძალადობა და მამაკაცის წინააღმდეგ ძალადობა შეიძლება მათ მიერვე ჩადენილი ძალადობის საპასუხოდ იქნას ჩადენილი. ძალადობის ჩამდენთა უმეტესობა მამაკაცია. ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საფასური ძალიან მაღალია. იგი ევროპის საბჭოს წევრ ერთ ქვეყანაზა დაახლოებით 34 მილიარ ევროდ არის შეფასებული, რაც ერთ სულ მოსახლეზე 555 ევროს უდრის. პროცესი კონვენციის მიღებამდე 1190-იანებიდან დაწყებული, ევროპის საბჭომ უფრო ინტენსიური გახადა თავისი აქტივობა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ეს აქტივობა დაგვირგვირდა 2002 წელს მინისტრთა კომიტეტის მიერ რეკომენდაცია (2002)5- ის მიღებით. ეს გახლავთ წევრი ქვეყნებისათვის გაცემული რეკომენდაცია ქალების ძალადობისაგან დაცვის შესახებ. 2005 წელს, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მესამე სამიტის დასასრულს, მიღებული იქნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც მთელს ევროპაში უნდა წარმართულიყო ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო კამპანია მთელი ევროპის მასშტაბით. ამის შემდგომ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მხარი უნდა დაეჭირა ამ კამპანიისათვის, შეეფასებინა წევი სახელმწიფოების მიერ გაკეთებული პროგრესი და დაეგეგმა სამომავლო ქმედებები. 2006-დან 2008 წლამდე პერიოდში, ევროპის საბჭოს ეს კამპანია ერთდროულად ხორციელდებოდა ევროპის სახელმწიფოთა მთავ-რობების, პარლამენტების და ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოების მიერ.

სამუშო ჯგუფის მიერ სხვადასხვა ქვეყნების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შეფასების შემდეგ გამოვლინდა, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი: მიუხედავად პროგრესისა, აშკარაა, რომ ხშირად არ ხდება არსებული კანონმდებლობის აღასრუ-ლება, მსხვერპლთათვის სერვისები არასაკმარისი და მწირია და წევრი სახელ-მწიფოების მიერ დანერგილი დაცვის სიძლიერე ძალიან უთანაბროა სახელმწიფოებს შორის. 2008 წლის საბოლოო აქტივობის ანგარიშში სამუშაო ჯგუფმა ევროპის საბჭოს შესთავაზა რეკომენდაცია, რომ შეიმუშავოს თანამიმდევრული, სამართლებრივად სავალდებულოდ შესასრულებელი, ადამიანი უფლებათა დამცველი ინსტრუმენტი, რომელიც პრევენციას გაუკეთებს და შეებრძოლება ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ნებისმიერ ფორმას. ამ დასკვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით, 2008 წლის დეკემბერში მინისტრთა კომიტეტმა შექმნა მულტი-დისციპლინარული საგანგებო კომიტეტი ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ამ მოვლენების წინააღმდეგ ბრძლისათვის (CAHVIO) და დაავალა ამ

კომიტეტს მოემზადებიან ერთი ან მეტი იურიდიულად სავალდებულოდ შესასრულებელი ინსტრუმენტი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სფეროებში. ამ ინსტრუმენტს აქცენტი უნდა გაეკეთებინა ისეთი ზომების დანერგვაზე, რომელიც დაიცავდა და დაეხმარებოდა ამგვარი ძალადობის მსხვერპლთ და დაიწყებდა სამართლებრივ დევნას ძალადობის ჩამდენთა წინააღმდეგ. საგანგებო კომიტეტის - CAHVIO-ს - პირველ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდ ერთი ისეთი კონვენციის მიღება, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ყველა ფორმისა და ოჯახის ნებისმიერი წევრის მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენცია და ასეთ ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლა. CAHVIO-მ, მთავრობათა წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით წარმართული შეხვედრის შედეგად კონვენციის ტექსტის პროექტი მოამზადა. საპარლამენტო ასამბლეა აქტიურად მონაწილეობდა მოლაპარაკებების პროცესში მაშინ არსებული ქალთა და მამაკაცთათვის თანაბარი შესაძლებლობების კომიტეტის თავმჯდომარის საშუალებით. ტექსტი პროექტზე მუშაობა დასრულდა 2010 წლის დეკემბერში და იგი მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული იქნა 2011 წლის 7 აპრილს. კონვენცია ხელმოსაწერად შეთავაზებული იქნა სტამბულში, 2011 წლის 11 მაისის მინისტრთა კონფერენციაზე. ის ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს. კონვენციის დამატებითი ღირებულება სტამბულის კონვენცია უმნიშვნელოვანეს ცვლილებებზე ორიენტირებული ინსტრუმენტია. ეს არის პირველი საერთაშორისო, სამართლებრივად სავალდებულოდ შესასრულებელი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენების უფლებაც აქვს მსოფლიოს ყველა ქვეყანას, და რომელიც გვთავაზობს ღონისძიებათა თანამიმდევრულ კომპლექსს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის. კონცენცია ქალთა მიმართ ძალადობას აღიარებს როგორც ადამიანის უფლების დარღვევად, აგრეთვე დისკრიმინაციის ფორმად. გარდა ამისა, კონცენცია ერთმანეთთან აკავშირებს ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის მიღწევას ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრასთან. კონვენ-ციაში კრიმინალიზირებულია ისეთი სპეციფიკური დარღვევები, როგორებიცაა დევნა, იძულებითი ქორწინება, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება, იძუ-ლებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია. გარდა ამისა, კონვენციაში ჩამოყალიბებული მიდგომა, რომლის განხორციელებაც აუცილებელია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. კონვენცია მოუწოდებს ყველა შესაბამის უწყებას, სამსახურს და არასამთავრობო ორგანიზაციას, რომ ყველამ ერთად და კოორდინირებულად იმუშაოს. კონვენცია აწესებს ძლიერ და დამოუ-კიდებელ მონიტორინგის მექანიზმს და პარლამენტარებს კონკრეტულ როლს აკისრებს, რაც ქვეყნის დონეზე კონვენციის განხორციელებაზე მონიტორინგის წარმოებაში მდგომარეობს.

https://matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

ქალთა მიმართ ძალადობა, თავისი ყველა ფორმითა და გამოვლინებით, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევაა. ეს ეხება ქალებს მსო-ფლიოს ნებისმიერ კუთხეში - ასაკის, სოციალური კლასის, რასისა და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.

უახლესი კვლევები ადასტურებს, რომ მსოფლიო მასშტაბით, 15 წლის ასაკის და უფროსი ქალების 30 %-ს სიცოცხლის მანძილზე პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა გამოუცდია, ხოლო 35% ასეთივე ძალადობის მსხვერპლი გამხდარა არაპარტნიორისგან, შემთხვევითი ურთიერთობისას.

ქალთა მიმართ ძალადობა, ქალთა მკვლელობების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია და უმძიმეს გავლენას ქალთა ჯანმრთელობის სხვა მნიშვნელოვან ასპექტებზეც ახდენს.

მასშტაბურია, ასევე, ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური შედეგები, ხოლო გლობალური მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ ძალადობა საგრძნობლად აფერხებს განვითარებას სხვადასხვა დონეზე და ფიზიკური, ადამიანური და სოციალური კაპიტალის გაუფასურებას იწვევს.

ქალთა მოძრაობის, ხელისუფლებისა და დაინტერესებული მხარეების ძალისხმევით, ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობასთან ბრძოლა ადამიანის უფლებების, ჯანდაცვისა და განვითარების გლობალურ დღის წესრიგში პრიორიტეტული გახდა. საერთაშორისო საზოგადოებამ ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მნიშვნელობა სხვადასხვა კონვენციის, პოლიტიკისა და ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით აღიარა, რომელთა შორისაა: „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია“ (CEDAW), პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია). ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის ყველა ფორმისა და საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგშია ამჟამად გათვალისწინებული (კერძოდ, მდგრადი განვითარების მიზნების 5.2 და 5.3 ამოცანებში), რაც წინსვლისათვის მყარ საფუძველს უზრუნველყოფს.

საქართველოში ჩატარებული კვლევები ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბურობაზე მიუთითებს. ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ისევე, როგორც ადრეული და იძულებითი ქორწინება, ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმებია საქართველოში. ძალადობის ეს ფორმები შემოსავლის, კულტურული თუ სოციალური კლასის ყველა დონეზე ვლინდება და ამ ფენომენის ძირითადი ასპექტები ნაკლებად არის გამოკვლეული. თავისი მასშტაბებისა და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიუხედავად, ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების გამოვლენა და მათზე სამართლებრივად სწორი რეაგირება კვლავაც დაბალია.

რაც შეეხება პრევენციას, იგი ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთაზე მიმართული კოორდინირებული და სტრატეგიული რეაგირების საკვანძო ელემენტია, და პრევენციული ღონისძიებები სათანადო და ეფექტური მომსახურებების მიწოდებისა და დამნაშავეების სასამართლო წესით დევნის პარალელურად უნდა განხორციელდეს.

პრევენციის მიმართულება ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთაზე ორიენტირებული ოთხი მიმართულებიდან ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს, რომლებსაც ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია ეყრდნობა (შემდგომში მოხსენიებული როგორც ,,სტამბოლის კონვენცია''). ქალთა მიმართ ძალადობის გრძელვადიან პერსპექტივაში აღმოფხვრაზე მიმართულ სტრატეგიულ ღონისძიებებს შორის, პრევენციული ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ისინი მიზნად ისახავენ დამოკიდებულებების, და საბოლოო ანგარიშში კი ქცევის ძირეულ გარდაქმნას. გენდერულ საფუძველზე ძალადობის აღმოფხვრაზე მიმართული ზომები, ვერ იქნება ეფექტური დამოკიდებულებების გარდაქმნის გარეშე.

სტამბოლის კონვენცია ასახავს ასეთ გრძელვადიან ხედვას, და ყველა პრევენციული ღონისძიების უმთავრესი პრინციპის დასამკვიდრებლად მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან ქალებისა და მამაკაცების სოციალური და კულტურული ქცევის მოდელების გარდაქმნის ხელშეწყობას მცდარი წარმოდგენებისა და იმ ტრადიციებისა და პრაქტიკების აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც უარყოფით გენდერულ სტერეოტიპებს ეყრდნობა.

სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლი.

მოქმედების სფერო

სტამბოლის კონვენცია მყარად ეფუძნება იმ მიდგომას, რომ გენდერული უთანასწორობა ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზს, და იმავდროულად შედეგს წარმოადგენს, და შესაბამისად, კონვენციაში ცალკე თავი ეთმობა პრევენციულ ღონისძიებებზე, რომლებიც მიმართულია ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შეჩერებაზე გენდერული თანასწორობის მიღწევის გზით. ეს გულისხმობს ქალთა წინააღმდეგ ძალადობის გენდერული ხასიათის აღიარებას, რაც განპირობებულია ქალებსა და მამაკაცებს შორის უთანასწორობითა და ძალაუფლების დისბალანსით. ეს ასევე გულისხმობს ქალთა წინააღმდეგ ძალადობის სხვადასხვა ფორმების, მათ შორის ფსიქოლოგიური ძალადობის, შევიწროების, სექსუალური ძალადობის, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების, იძულებითი ქორწინების, იძულებითი აბორტისა და სტერილიზაციის პრევენციას. სტამბოლის კონვენციის მხარე სახელმწიფოებს შესაძლებლობა აქვთ გაავრცელონ კონვენცია ოჯახური ძალადობის ყველა მსხვერპლებზე, და იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ, შეიძლება გაითვალისწინონ სპეციფიკური ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვების ან ხანდაზმული ადამიანების მიმართ ოჯახურ ძალადობასთან, და შესაბამისი ზომები გაატარონ ძალადობის ამ ფორმის აღკვეთისა და პრევენციის მიზნით. მე-12 მუხლი მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე მიმართულ ზოგად ღონისძიებებს, ხოლო ამ მუხლის მომდევნო მე-13 და მე-16 მუხლებში უფრო კონკრეტული ვალდებულებებია ასახული და დეტალურადაა გაწერილი გარკვეული პრევენციული ზომები, მათ შორის ცნობიერების ამაღლება, განათლება, ტრენინგი და დამნაშავის მკურნალობის პროგრამები.

ზოგადი ვალდებულებები

1 მხარეები აუცილებელ ზომებს მიიღებენ ქალისა და კაცის სოციალური და კულტურული ქცევის სტერეოტიპების შეცვლისა და ცრურწმენების, ჩვევების, ტრადიციებისა და სხვა პრაქტიკის შეცვლის მიზნით, რომელიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას, ან ქალებისა და მამაკაცების სტერეოტიპულ როლებს.

2 მხარეები აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს გაატარებენ ამ კონვენციით განსაზღვრული ძალადობის ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ჩადენის პრევენციის მიზნით.

3 ამ თავით გათვალისწინებული ნებისმიერი ზომის განხორციელების პროცესში მხედველობაში იქნება მიღებული და გადაჭრილი იმ პირების კონკრეტული საჭიროებები, რომლებიც გარკვეული გარემოებების გამო მოწყვლადები არიან, და ყველა მსხვერპლის ადამიანის უფლებები სათანადოდ იქნება დაცული.

4 მხარეები საჭირო ზომებს გაატარებენ საზოგადოების ყველა წევრის, განსაკუთრებით მამაკაცების და ბიჭების წასახალისებლად, რათა მათ აქტიური წვლილი შეიტანონ ამ კონვენციით განსაზღვრული ძალადობის ყველა ფორმის პრევენციაში.

5 მხარეები უზრუნველყოფენ, რომ კულტურა, ჩვევები, რელიგია, ტრადიციები და ეგრეთ წოდებული ‘‘ღირსება’’ არ იქნება მიჩნეული გამართლებად ამ კონვენციის განსაზღვრული ძალადობის ნებისმიერი აქტისათვის.

6 მხარეები საჭირო ზომებს გაატარებენ ქალების უფლებამოსილების გაზრდაზე მიმართული პროგრამების განხო- რციელებისა და ღონისძიებების ხელშესაწყობად

მიზნები

მე-12 მუხლის მიზანია ადამიანების გულსა და გონებაში ჩაწვდომა ქალთა მიმართ მათი დამოკიდებულებების, აზრებისა და წარმოდგენების შეცვლის, და ასევე ქალის საზოგადოებაში როლისა და სტატუსის, მათი სექსუალურობის და ქალთა ორგანიზაციების როლის ახლებურად გააზრების მიზნით. კონვენციის საბოლოო მიზანია მამაკაცებისა და ქალების, ბიჭებისა და გოგონების ქცევის გარდაქმნა, რომელზეც ამჟამად დიდ გავლენას ახდენენ მცდარი წარმოდგენები, გენდერული სტერეოტიპები, ტრადიციები და ადათ-წესები, რაც თავის მხრივ განაპირობებს ქალთა ძალადობის ჩადენას, ან დაგმობას (მუხლი 12, პარაგრაფები 1 და 2).

სტამბოლის კონვენციის განმარტებით ბარათში უფრო დეტალურადაა განმარ-ტებული, თუ რას გულისხმობს კონვენციით განსაზღვრული პრევენციული ზომები. კერძოდ, განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ ნებისმიერი პრევენციული ზომა უნდა ითვალისწინებდეს მოწყვლადი ადამიანების საჭიროებებს და იმ გარემოებებს, რომლებშიც ისინი იმყოფებიან 1 (მუხლი 12, პარაგრაფი 3). ეს ნიშნავს, რომ ქალთა

მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრაზე მიმართული პოლიტიკური მიდ-გომები უნდა უზრუნველყოფდეს ცნობიერების ამაღლებას იმის თაობაზე, რამდენად დიდ ზეგავლენას ახდენს ძალადობა უნარშეზღუდულ ქალებზე, ნივთიერებების ბოროტად მომხმარებლებზე, მეძავებზე, ეთნიკური უმცირესობების წარმომად-გენლებზე, მიგრანტებზე, მათ შორის ლეგალური დოკუმენტების გარეშე მიგრანტებსა და ლტოლვილებზე, ლესბოსელ ქალებზე, ბისექსუალ და ტრანსგენდერ ადამიანებზე, აივ დადებით ადამიანებზე, უსახლკაროებზე, ბავშვებზე და ხანდაზმულებზე, აგრეთვე რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებზე, და ასევე იმის განმარტებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტერეოტიპებსა და ცრუ წარმოდგენებთან ბრძოლა, რომელიც მოსახლეობის უმეტეს ნაწილშია გაბატონებული.

ტერმინი ,,მოწყვლადი პირები'' გამოიყენება იმ ადამიანების აღსანიშნავად, რომლებიც ,,გარკვეული გარემოებების გამო მოწყვლადები არიან'', როგორც ეს მე-12 მუხლის მე-3 პარაგრაფშია ასახული. ეს ტერმინი არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული ისე, თითქოს ევროპის საბჭოსთვის განკუთვნილი მოცემული დოკუმენტის ავტორები გულისხმო-ბდნენ პირებს, რომლებიც თანდაყოლილად მოწყვლადები არიან. მოცემულ შემთ-ხვევაში მოწყვლადობას განაპირობებენ სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პროცესები და უთანასწორობა, რომელიც დროთა განმავლობაში ტრანსფორმაციას განიცდის, რის გამოც გარკვეული ჯგუფები მოწყვლადები ხდებიან.

იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მამაკაცებისა და ბიჭების ჩართვა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაში გენდერული როლების შესახებ წარმოდგენების ტრანსფორმაციის გზით, მე-12 მუხლის მე-4 პარაგრაფი მოითხოვს, რომ საზოგადოების ყველა წევრმა, განსაკუთრებით კი მამაკაცებმა და ბიჭებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაში, და თავისი მაგალითით და ქცევით გავლენა იქონიონ დამოკიდებულებების გარდ-აქმნაზე. კონვენციაში განცხადებული მიზნების შესაბამისად, რაც ითვალისწინებს ქალთა მიმართ არსებული დამოკიდებულებებისა და წარმოდგენების შეცვლას, მე-12 მუხლის მე-5 პარაგრაფი ადგენს, რომ ქალის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები კვალიფიცირებული იქნას დანაშაულად დამოუკიდებლად იმისა, თუ რა განზრახვა ამოძრავებდა ამ დანაშაულების ჩამდენს. კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადი-ციები ან ეგრეთ წოდებული ღირსების დაცვა ვერ ჩაითვლება ქალის მიმართ ჩადენი-ლი დანაშაულის გამართლებად.

იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ ქალის მიმართ ძალადობა წარმოადგენს გენდერული უთანასწორობის მიზეზსა და იმავდროულად შედეგს, მე-12 მუხლის მე-6 პარაგრაფი მოითხოვს შესაბამისი აქტივობებისა და პროგრამების განხორციელებას ქალთა მოწყვლადობის შემცირების მიზნით, რაც ყველა სფეროში, მათ შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში უფრო მეტი გენდერული თანასწორობის მიღწევას გულისხმობს.

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია

გენდერულ საფუძველზე ძალადობა წარმოადგენს ქალებისა და გოგონების ადამიანის უფლებების დარღვევას და უარყოფით ზეგავლენას ახდენს მათ უნარზე აქტიური და სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გენდერულ საფუძველზე ძალადობა შეიძლება გამოიხატებოდეს ოჯახური ძალადობის, სექსუალური ძალადობის, იძულებითი ქორწინების, ან ქალის გენიტალიების დასახიჩრების სახით.

თეორიული მოდელები ქალთა მიმართ ძალადობის გაცნობიერებისა და პრევენციისთვის გენდერულ საფუძველზე ქალთა მიმართ ძალადობა, რომელიც განპირობებულია უთანასწორობითა და ძალაუფლების დისბალანსით, არა რაიმე ერთი მიზეზის, არამედ მთელი რიგი რისკ ფაქტორებისა და გავლენების შედეგს წარმოადგენს. იმ რისკ ფაქტორებსა და გავლენებს შორის ურთიერთმიმართების გამოვლენა, რომლებიც დანაშაულის ჩადენას იწვევს, რამდენიმე მოდელის გამოყენებითაა შესაძლებელი. მაგალითად, ,,ეკოლოგიური მოდელის" ფარგლებში რისკ ფაქტორების დონეებად ორგანიზება ხდება იმისდა მიხედვით, თუ სად ხდება ძალადობა (საზოგადოებაში, ინსტიტუციონალურ დონეზე, თემის თუ ინდივიდუალურ დონეზე). ჰაგემან უაითმა (2010) მოცემული მოდელი ინტერაქტიული მოდელის სახით ჩამოაყალიბა, ძალადობის ჩადენისკენ მაპროვოცირებელი სხვადასხვა მიზეზების სიღრმისეულ კვლევაზე დაყრდნობით. ავტორმა ასეთი გზით იმის ილუსტრირება მოახდინა, თუ როგორ ურთიერთქმედებენ სხვადასხვა დონეზე არსებული რისკ-ფაქტორები, რის შედეგადაც ქალის წინააღმდეგ გენდერული ძალადობა ხდება. ზემოთხსენებული ინტერაქტიული მოდელი სასარგებლო ჩარჩოს წარმოადგენს პრევენციის სტრატეგიის შესამუშავებლად, რომელიც განსაზღვრულია როგორც გენდერული უთანასწორობის საშუალებების, გზებისა და მექანიზმების განადგურება, და მოცემული ჩარჩო განმარტავს იმ კონტექსტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ამ სახის დანაშაულის ჩადენას, და შესაბამისად, საჭიროა ამ კონტექსტების განადგურება ან გარდაქმნა, იმისთვის რომ ქალების მიმართ ძალადობის ეფექტური პრევენცია მოხდეს (ლ. ჰეისე (1998), ,,ქალთა მიმართ ძალადობა: ინტეგრირებული ეკოლოგიური ჩარჩო", ქალთა მიმართ ძალადობა, 1998 ტომი 4, No. 3, გვ. 262.) მოდელში იმ ფაქტორების იდენტიფიცირება ხდება, რომლებიც ოთხ დონეზე არსებობენ, კერძოდ, საზოგადოების, ინსტიტუტების, ოჯახების/თანატოლების და ინდივიდუალურ დონეზე, და ეს ფაქტორები აღმოფხვრას საჭიროებენ.

საზოგადოების (მაკრო) დონეზე, სახელმწიფომ პრევენციული ზომები უნდა გაატაროს, რათა არსებული სოციალური სტრუქტურები გარდაქმნას. საჭიროა საზოგადოების იმ დამოკიდებულებების შეცვლა, რომლებიც გენდერულ საფუძველზე ქალთა მიმართ ძალადობას უწყობენ ხელს. ამის მიღწევა შესაძლებელია, მაგალითად პოზიტიური იდეების გავრცელებით იმის თაობაზე, თუ რა არის ,,მამაკაცური ქცევა", და მედიის მიერ ძალადობისა და ქალის სექსუალიზაციის გაშუქების სათანადოდ რეგულირება. საჭიროა კანონმდებლობის გადასინჯვა და ეფექტურად განხორციელება, და იმის უზრუნველყოფა, რომ დამნაშავეებმა არა მხოლოდ პასუხი აგონ,

არამედ ასევე დაბალანსდეს ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალაუფლებაზე დაყრდნობილი ურთიერთობები დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ქალების გაძლიერების გზით. ამ ინტერვენციის გარდა, რომელიც მაღალ დონეზე გარდაქმნების მიღწევაზეა ორიენტირებული, უფრო ქვედა ინსტიტუციონალურ (ანუ მეზო) დონეზე საჭიროა არსებული ნორმების და ღირებულებების გარდაქმნა ქალების ქცევის მიმართ, რომელიც გულისხმობს, რომ ქალები მორჩილები უნდა იყონ. საჭიროა ისეთი პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა, რომელიც დაგვეხმარება იმ წარმოდგენების დაძლევაში, რომ მამაკაცი ქალზე უპირატესია და ქალი მას უნდა დაემორჩილოს, ანუ მაგალითად გარკვეულ საზოგადოებებში არსებული „ღირსების კოდექსით" დადგენილი მცდარი წარმოდგენების დაძლევა, ასევე გენდერზე დაფუძნებული დისკრიმინაციის აღკვეთა დასაქმებისა და განათლების სფეროებში, იმის უზრუნველყოფა, რომ სააგენტოებმა შესაბამისი სანქციები დააკისრონ ქალის მიმართ გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ნებისმიერი ძალადობის შემთხვევებში, რაც ამჟამად არ ხდება, და საზოგადოებაში სრული დაუსჯელობის განცდა იქმნება. შემდეგ (ანუ მიკრო) დონეზე, რაც გულისხმობს ოჯახს და თანატოლებს, ძალადობის განმაპირობებელი ფაქტორები მოიაზრება ოჯახის, ან თანატოლების ჯგუფების კონტექსტში, იქვე, სადაც ზოგადი სოციალური ნორმების რეალიზაცია ხდება მოსალოდნელი, ან სოციალურად მისაღები პრაქტიკის გზით. ანუ, ეს არის ისტორიულად და კულტურულად განპირობებული გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც გავრცელებულია ოჯახებში, ან მაგალითად, მოზარდების ჯგუფებში, რომლებიც ხასიათდებიან ანტი-სოციალური ქცევით, და/ან ფიზიკური და სექსუალური ხასიათის აგრესიით. პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც მიმართულია მამაკაცებისა და ბიჭების ჩართულობის უზრუნველყოფაზე ახალგაზრდების ჯგუფებთან მუშაობის, ან სპორტული აქტივობებისა და სხვა საზოგადოებრივი აქტივობების განხორციელების გზით, შეიძლება ეფექტური გამოდგეს არსებული გენდერული სტერეოტიპების გაქარწყლებისთვის, და პოტენციური მსხვერპლებისადმი მიუღებელი დამოკიდებულებების გამოვლენის შემთხვევაში ამ დანაშაულების ჩამდენებმა აღარ უნდა დაიმსახურონ საზოგადოების „მოწონება" ან „ჯილდო". ინდივიდუალურ (ანუ ონტოგენეტიკურ) დონეზე, ანუ ყოველდღიურ ცხოვრებასა და პრაქტიკაში, ზომები მიმართული უნდა იყოს ადამიანების ისეთ თვისებებზე და მახასიათებლებზე, რომლებიც მათ მიდრეკილს ხდიან ძალადობისკენ. ასეთ მახასიათებლებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს მშობლების მიერ არასათანადო აღზრდა, ადრეულ ასაკში ოჯახურ ძალადობას დაქვემდებარება, ისეთი ე.წ. „მამაკაცური ქცევის გამომხატველი" ფაქტორების არსებობა, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობას განაპირობებენ (ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება). მოცემულ დონეზე ძალადობის პრევენცია უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო და თერაპიულ ღონისძიებებს დამნაშავეებისთვის, სპეციალისტების მუშაობას იმ ბავშვებთან, რომლებიც ძალადობას, ან ოჯახურ ძალადობას დაექვემდებარნენ, მშობლებთან მუშაობაზე მიმართულ პრევენციულ საგანმანათლებლო პროგრამებს, და ნივთიერებების ბოროტად მოხმარების შემცირებაზე მიმართულ ღონისძიებებს. მიზნობრივი დახმარების გაწევა იმ ქალებისთვის, რომლებიც გენდერულ საფუძველზე ძალადობის მსხვერპლები გახდნენ, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია მოცემულ დონეზე.

სტერეოტიპები

ზოგადად, სტერეოტიპების შექმნა ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელია. ეს არის ის გზა, რომლის მეშვეობითაც ადამიანების გარკვეული კატეგორიებისთვის და ჯგუფებისთვის მიკუთვნებას ვახორციელებთ, რასაც ხშირად ქვეცნობიერად ვაკეთებთ, ნაწილობრივ იმისთვის, რომ ჩვენს გარშემო არსებული სამყარო უფრო მარტივად წარმოვაჩინოთ. სტერეოტიპები შეიძლება იყოს სახვითი ხასიათის (ანუ გარკვეული ჯგუფის ყველა წევრისთვის მსგავსი მახასიათებლების მიწერა, დამოუკიდებლად ინდივიდუალური განსხვავებებისა), და განმსაზღვრელი ხასიათის (ანუ, „მისაღები" ქცევის პარამეტრებს ადგენდეს). გენდერული სტერეოტიპები ქალებსა და მამაკაცების შესახებ მითების დამკვიდრებას უწყობენ ხელს, და მათ „სარწმუნო" სახეს სძენენ. მაგალითად, ბევრი საზოგადოებისა და კულტურისთვის დამახასიათებელია ქალების მიჩნევა უფრო ემოციურ, და ნაკლებად რაციონალურ არსებებად, რის გამოც ისინი სავარაუდოდ ნაკლებად სანდოები არიან, ვიდრე მამაკაცები. ასეთი მოსაზრებები ხშირად ქალთა მიმართ ისტორიულად, ან თანამედროვე პირობებში არსებული დისკრიმინაციული (პატრიარქალური) დამოკიდებულებებით და აღქმებითაა განპირობებული. ეს დამოკიდებულებები ხშირად კულტურულ, რელიგიურ და ტრადიციულ ღირებულებებს ეფუძნება. სტერეოტიპების ჩამოყალიბება უფრო პრობლემური ხდება, როდესაც ეს ქალების დამცირებისა და დამორჩილების მიზნით ხდება.

ქალებისა და მამაკაცების სოციალურ და კულტურულ ღირებულებებზე დაფუძნებული ქცევისა და დამოკიდებულებების გარდაქმნაზე მიმართული ღონისძიებები ეფექტურად უნდა ანგრევდეს გენდერულ სტერეოტიპებს. ამის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა დონეზე ღონისძიებების გატარების გზით, მათ შორის: არადისკრიმინაციული/დისკრიმინაციის ამკრძალველი კანონმდებლობის მიღება, პრევენციაზე მიმართული სტრატეგიების შემუშავება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული კამპანიების გატარება, მედიასთან თანამშრომლობა, საგანმანათლებლო სექტორის ჩართვა, სათემო პროგრამების შემუშავება მოსახლეობის ჯგუფებისთვის, რომლებშიც საკმაოდ ღრმადაა ფესვგადგმული გენდერული სტერეოტიპები, და მათგან გამომდინარე საზიანო პრაქტიკები.

კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეფორმირება

გენდერული სტერეოტიპების ასახვა როგორც განზრახ, ასევე გაუცნობიერებლად, კანონმდებლობაში, პოლიტიკაში და პრაქტიკაში, ხელს უწყობს ქალთა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების უფრო ღრმად დამკვიდრებას. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია პოლიტიკური ზომების მნიშვნელობის სწორად გაცნობიერება ისეთი სოციალური ნორმებისა და ღირებულებების დამკვიდრებაში, რომლებიც ხელს უწყობენ გენდერული თანასწორობის მიღწევას და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციას. კანონმდებლობა და პოლიტიკური პროცესები გენდერული სტერეოტიპებისგან და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიისა და ცნებებისგან თა-

ვისუფალი უნდა იყოს. უნდა შემუშავდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნ-ველყოფს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე მიმართული პოლიტიკა სტრატეგიული და თანმიმდევრული გზით განხორციელდება.

განვიხილოთ სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები (სტამბოლის კონვენციის რეკომენ-დაციებთან მიმართებით) თუ რა ზომები იქნა მიღებული მათთან და რა ღონისძიებები განახორციელეს ქალთა/გოგონათა მიმართ ძალადობის როგორც აღმოსაფხვრის ასევე, პრევენციის განხორციელების მიზნით:

ესპანეთი

ესპანეთის კანონში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე მიმართული აქტი, კერძოდ გენდერული ძალადობისგან დაცვაზე მიმართული ინტეგრირებული ზომე ბის შესახებ კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ პრევენციულ ღონისძიებებს, მიმართულს საჯარო და კერძო სექტორზე. ესპანეთის კანონმდებლობა საერთა-შორისო დონეზე აღიარებულია როგორც მოწინავე პრაქტიკა გენდერზე დაფუძ-ნებული ძალადობის, შევიწროებისა და სექსუალური ძალადობის აღმოფხვრის სფეროში.

ხელმძღვანელობენ ორგანული კანონით 1/2004 გენდერული ძალადობის აღკვეთის მიზნით ინტეგრირებული დამცავი ზომების შესახებ, რომლის მიზანია ოჯახური ძალა დობის პრევენცია, დასჯა და აღკვეთა და ყველა ქალის უფლებების დაცვის უზ-რუნველყოფა, რომლებიც ასეთ ძალადობას დაექვემდებარნენ ესპანეთში, დამოუ-კიდებლად მათი ეროვნებისა, და სამართლებრივი მდგომარეობისა. გენდერული მიდგომის დამკვიდრებაა საჭირო იმისთვის, რომ ქალისა და მამაკაცის სოციალი-ზაციის ტრადიციული მდგომარეობა და ქალთა მიმართ მამაკაცისგან განსხვავებული დამოკიდებულება აღიარებული და დაძლეული იქნას, რათა ქალებსა და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორობა დამყარდეს. კანონში ასახული ზომები მოიცავენ ცნობიერების ამაღლებას და განათლების სექტორში ინტერვენციების განხორცი-ელებას ქალთა თანასწორობისა და ღირსების დაცვის მიზნით. კანონი მიზნად ისახავს ტრადიციული დამოკიდებულებების გადაქმნის ხელშეწყობას კულტურული თვალ-საზრისით ქალების დაქვემდებარებული მდგომარეობისა და მათი ღირსების დაკნინების აღმოფხვრის გზით, რადგანაც ეს ქალების მიმართ ძალადობას განა-პირობებს.

შეფასება გვაჩვენებს, რომ ამ კანონის განხორციელების შედეგად ამაღლდა საზო-გადოების ცნობიერება, დამკვიდრდა კრიტიკული დამოკიდებულება გენდერულ საფუძველზე ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობისადმი, გაიზარდა ნდობა მართლმსაჯულების სისტემისადმი. განათლებაზე მიმართულმა ზომებმა, პროფე-სიონალების მიზნობრივმა ტრენინგებმა, სოციალური დახმარების უფრო ეფექტურად მიწოდებამ, დასაქმების ადგილას მსხვერპლების უფლებების უფრო ეფექტურმა დაცვამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში, ქალების გაძლიერებაში, რის შედეგადაც ისინი უფრო მზად არიან თავი დააღწიონ ძალადობრივ ურთიერთობებს, გაიზარდა მესამე მხარეების მიერ, მათ

შორის დაზარალებულების ახლობლების მიერ ძალადობის ინციდენტების შესახებ შეტყობინებების წარდგენა, და საზოგადოება უკეთ აცნობიერებს, რომ გენდერულ საფუძველზე ძალადობა ღრმად ფესვგადგმული სოციალური პრობლემა, და არა პირადი პრობლემაა.

ესპანეთის კანონის დებულებები ხელს უწყობენ გენდერულ საფუძველზე ძალადობის დაძლევას რამდენიმე დონეზე ინტერვენციების განხორციელების გზით. კანონი მთელ რიგ სამოქალაქო და სისხლის სამართლის სანქციებს შეიცავს გენდერულ საფუძველზე ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნით.

კანონი ითვალისწინებს დანაშაულის სიმძიმეს, და ქალი პარტნიორის მიმართ ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც ამ ქალთან ემოციურ ურთიერთობებში იმყოფება დამამძიმებელ გარემოებად განიხილება. ინსტიტუციონალურ დონეზე, შესაბამისი უწყებების სპეციალისტების განათლება და ტრენინგი ეხმარება მათ გენდერული ძალადობის უკეთ გაგებაში, და იმის გაცნობიერებაში, რომ ასეთი დანაშაული უფრო მძიმეა, ვიდრე მსგავსი ხასიათის დანაშაულები, როდესაც არ არსებობს ადამიანებს შორის ინტიმური ურთიერთობები, და კანონი ქმედით ზომებს ითვალისწინებს ნებისმიერი დისკრიმინაციისა და უმოქმედობის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება მოხდეს მიუხედავად არსებული პოლიტიკისა ან ზომებისა.

პრევენციული ღონისძიებები ყველაზე ეფექტურად მუშაობენ, როდესაც ისინი იზოლირებულად კი არ ხორციელდებიან, არამედ ინტეგრირებული არიან უფრო ფართო, ჰოლისტიკურ ზომებთან, რომლებიც მიმართულია ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრაზე.

ხორვატია

სიჩუმე ოქრო არ არის - ეროვნული მედია და საგანმანათლებლო კამპანია (2007 წლის იანვარი - 2008 წლის აგვისტო).

ღონისძიებები ითვალისწინებდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედია კამპანიის ჩატარებას, მასწავლებლების განათლებას და ტრენინგს, რათ მათ უფრო ეფექტურად იმუშაონ ახალგაზრდებთან; კრეატიული სემინარების ჩატარებას ახალგაზრდებისთვის, და ადვოკატირებას საჯარო პოლიტიკის გადასინჯვის მიზნით. მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედია კამპანია ითვალისწინებდა ოთხი სატელევიზიო კლიპებისგან შემდგარი სერიის ჩვენებას ოჯახურ ძალადობაზე, პაემნებზე გაუპატიურების შემთხვევებზე, ტრეფიკინგზე, და მეოთხე კლიპში ნაჩვენები იყო, რომ სამივე დანაშაულს საერთო მიზეზები განაპირობებენ და ისინი გენდერულ საფუძველზე ხორციელდება.

სატელევიზიო კლიპები ხორვატიის ეროვნული მაუწყებლის (ეროვნული საზოგადოებრივი ტელევიზია) და RTL ხორვატიის (ეროვნული კომერციული ტელევიზია)

მიერ იქნა ნაჩვენები, და ორივე ტელევიზია უსასყიდლოდ უზრუნველყოფდა საეთერო დროს.

კომპანიის ფართო ცნობადობამ ხელი შეუწყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გენდერზე დაფუძნებული ძალადობისა და მისი პრევენციის მნიშვნელობის შესახებ. მასწავლებელთა ტრენინგისა და ახალგაზრდების ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის შედეგად მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ზეგავლენა იქნა მიღწეული. გენდერზე დაფუძნებული ძალადობის პრევენციის სფეროში პოზიტიური ცვლილებები გამოიკვეთა, კერძოდ კი საზოგადოების და მედიის ინტერესი მოცემული თემისადმი გაიზარდა. გენდერულ საფუძველზე ძალადობასთან დაკავშირებით განხორციელებული სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო აქტივობების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები უფრო წარმატებით მუშაობენ მოსწავლეებთან გენდერულ საფუძველზე ძალადობის პრევენციისა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრების თვალსაზრისით. ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ პროექტებში სტუდენტების მონაწილეობამ ხელი შეუწყო მათი დამოკიდებულებების შეცვლას, რადგანაც სტუდენტებს უკეთესი წარმოდგენა შეექმნათ არსებული სტერეოტიპებსა, და გენდერულ საფუძველზე ძალადობაზე, და გაიზარდა მათი ინფორმირებულობის დონე, რის შედეგადაც ისინი უფრო გაძლიერდნენ, და შეუძლიათ გაწყვიტონ ძალადობრივი ურთიერთობები.

კამპანიის ფარგლებში გამოვლენილი ნაკლოვანებები:

მიუხედავად გენდერული თანასწორობის სტანდარტების ინსტიტუციონალიზაციისა და ხორვატი ქალების მიმართ ძალადობის პრევენციისა, გამოვლინდა მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც განპირობებულია საკანონმდებლო ნორმების შეჯერებისა და მის განხორციელებაში არსებული ხარვეზებით.

დღეს მედიას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე, და სოციალური ნორმების და ღირებულებების ფორმირებაზე, ან დეკონსტრუქციაზე. მედიას სხვადასხვა გზით შეუძლია გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობა და ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, მათ შორის:

- ახალგაზრდების განათლებაზე მიმართული ინიციატივები, რათა მათ უფრო ადვილად გააცნობიერონ ის შემთხვევები, როდესაც მედიით ქალებისა და გოგონების უარყოფითი სახით წარმოჩენა ხდება, რითაც ისინი უფრო მედია წიგნიერები გახდებიან, და მედიის კონტენტისადმი კრიტიკული აზრის გამოთქმის უნარი ექნებათ;

- პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავენ გენდერისა და ქალთა მიმართ ძალადობის თაობაზე უფრო ინფორმირებულ და პასუხისმგებლურ გაშუქებას მედია პროფესიონალების განათლების გზით ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული თანასწორობის, და მათ შორის ურთიერთკავშირის თაობაზე; ასეთი პროგრამების მაგალითებია გაერთიანებულ სამეფოს პროგრამა ,,ნულოვანი ტოლერანტობა

ძალადობისადმი‘‘, ან თურქეთში მედია ორგანიზაცია Hurriyet-ის მიერ მომზადებული პროგრამები.

- ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობენ მედია ორგანიზაციების მიერ სახელმძღვანელო პრინციპებისა და თვითმარეგულირებელი სტანდარტების შემუშავებას ქალთა ღირსების პატივისცემის ხელშეწყობის მიზნით, რათა პოზიტიური გენდერული როლები დამკვიდრდეს და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია იქნას მიღწეული;

- მედიაში ქალი ჟურნალისტებისა და სხვა პროფესიონალი ქალების დასაქმებასა და ცნობადობის ამაღლებაზე მიმართული ინიციატივები; პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა მედია წიგნიერების ამაღლებას ინფორმაციის მოძიების, მართვის, კონტენტის და მედია ტექნოლოგიების გაცნობის უნარების განვითარების გზით.

- სოციალური მედიის მიმართ მოწოდებები ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორიცაა ,,უკან წაიღეთ თქვენი სიტყვე- ბი (Take Back the Tech) ან ყოველდღიური სექსიზმი. გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არსებული ვითარების გაუმჯობესების მიზნით წევრი სახელმწიფოების მიერ მედიასთან თანამშრომლობის ხელშესაწყობად 2013 წელს ევროპის საბჭომ მიიღო რეკომენდაცია CM/Rec(2013) მედიაში გენდერული თანასწორობის შესახებ. მოცემული რეკომენდაცია მთელ რიგ პოლიტიკასთან დაკავშირებულ ზომებს გვთავაზობს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ისეთი პირობების ჩამოყალიბებას, როდესაც მედია უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას და ამ პრინციპით ხელმძღვანელობას თავის საქმიანობასა და ინსტიტუციონალური მოწყობის სფეროში ახალ მულტი-მედია გარემოში. სტამბოლის კონვენცია აღიარებს რა მნიშვნელოვან კავშირს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და მედიას შორის, მოითხოვს წევრი სახელ-მწიფოებისგან მედიისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორებთან და კერძო სექტორთან მუშაობას, რათა მათ უფრო აქტიური როლი ითამაშონ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაში და ხელი შეუწყონ ქალების ღირსების დაცვას (მე-17 მუხლი). ევროპის საბჭოს მიერ 2013 წელს ჩატარებულ კონფერენციაზე ,,მედია და ქალების იმიჯი‘‘ მთელი რიგი პრაქტიკული რეკომენდაციები შემუშავდა მთავრობებისთვის, მედია ინდუსტრიისთვის და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის

ასევე, ახალგაზრდების ადრეული ასაკიდანვე სისტემატიური განათლება ხელს უწყობს ქალთა მიმართ გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ძალადობის პრევენციას მამაკაცური ქცევის შესახებ მცდარი შეხედულებებისა და გენდერული სტერეო-ტიპების გარდაქმნის გზით, რომელთა გავლენითაც საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებები ყალიბდება. ახალგაზ-რდების განათლება ხელს უწყობს თანასწორობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული უნდა იქნას პროგრამები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რათა ისინი ადრეული ასაკიდანვე იყონ ინფორმირებული ქალებისა და გოგონების უფლებების და თაობაზე, და ქალების (და მამაკაცების) შესახებ პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებაზე მიმართული ინფორმაცია უნდა იქნას მიწოდებული, რაც ხელს შეუწყობს ქალების

შესახებ ნეგატიური სტერეოტიპების და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისა და ქალთა მიმართ გენდერულ საფუძველზე ძალადობის პრევენციას. მტკიცებულებები მიუთითებენ, რომ ადრეულ ეტაპზე განათლების გზით პრევენცია განსაკუთრებით ეფექტური ინსტრუმენტია იმის გათვალისწინებით, რომ განათლება ასაკზე მორგებით და ინტერაქტიული გზით ხდება, ვიზუალური თვალსაჩინოებების გამოყენებით (მაგალითად, როლური თამაშები, სპექტაკლები და სხვა).

სტამბოლის კონვენციის მე-14 მუხლი წევრ სახელმწიფოებს განათლების საკითხთან დაკავშირებულ ვალდებულებებს აკისრებს. ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ყურადღება უნდა გამახვილდეს ჯანსაღი ინტიმური ურთიერთობების ჩამოყალიბების გზებზე.

ევროპა

პროექტი „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების გაძლიერება გენდერულ საფუძველზე ძალადობის პრევენციის მიზნით თანატოლთა განათლების გზით. ევროკომისიის პროგრამა Daphne III-ის ფარგლებში დაფინანსებულია რამდენიმე პროგრამა, რომელსაც კოორდინაციას უწევს გენდერული კვლევების ხმელთაშუაზღვისპირეთის ინსტიტუტი (MIGS). ამ პროგრამების განხორციელების შედეგად მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაგროვდა იმის თაობაზე, თუ როგორ ფიქრობენ და იქცევიან ახალგაზრდები თავისი იდენტობის გამოხატვისა ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, რაც საფუძვლად ედება ქალთა მიმართ გენდერულ საფუძველზე ძალადობის პრევენციის პროგრამებს.

პროგრამა „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ მიმართულია ახალგაზრდების (14-18 წლის) ცნობიერების ამაღლებაზე, ტრენინგზე და თანატოლთა განათლებაზე როგორც ფორმალურ საგანმანათლებლო სექტორში, ასევე არაფორმალური საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების გზით. პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას ისეთი საკითხების საკვლევად, რომლებიც პირდაპირ ახდენენ მათზე ზეგავლენას, და მათი ცოდნის ამაღლება გენდერულ საფუძველზე ძალადობისა და მისი გამომწვევი მიზეზების თაობაზე. პროგრამის უმთავრესი მიზანია ახალგაზრდების უფლებამოსილების გაზრდა, რათა ისინი ცვლილებების მამოძრავებელი ძალა გახდნენ.

შედეგები: 2300-ზე მეტმა ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღეს კვლევაში, რომელიც განხორციელდა კვიპროსში, საბერძნეთში, იტალიაში, ლიტვაში და ესპანეთში, რომელიც მიზნად ისახავდა ტრანსნაციონალური ტენდენციების გამოვლენას ახალგაზრდების დამოკიდებულების თვალსაზრისით გენდერულ საფუძველზე ძალადობასა და სტერეოტიპებთან დაკავშირებით. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა პროგრამა „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“, რომელიც მიმართულია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებასა და ტრენინგების ჩატარებაზე. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში 350-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა პროგრამაში მონაწილე 5 ქვეყნიდან. აქედან 200-მა ახალგაზრდამ მზადყოფნა გამოთქვა გამხდარიყვნენ თანატოლთა განმანათლებლები, და შემდგომში მათ

წარმატებით ჩაუტარეს ტრენინგი 1000 თანატოლს თავიანთ სკოლებში. თანატოლთა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დეტალური სახელმძღვანელო შემუშავდა, რომელიც დაეხმარება მასწავლებლებს და ახალგაზრდა განმანათ-ლებლებს ტრენინგების ჩატარებასა და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგა-ნიზებაში.

მოწყვლადობა ბარიერებს უქმნის ადამიანებს მხარდაჭერის მიღების თვალსაზრისით, და აღიარებული და გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ადამიანი შეიძლება რამდენიმე თვალსაზრისით იყოს მოწყვლადი. ასეთი ადამიანების საჭიროებების გადაჭრისთვის აუცილებელია ამ მოწყვლადობის აღიარება, და ინკლუზიის უზრუნველყოფა.

პრობლემების გაცნობიერებისა და აღიარებისთვის საჭიროა ცოდნის ამაღლება იმის თაობაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს გენდერულ საფუძველზე ძალადობა ისეთ მოწყვლად ჯგუფებზე, როგორებიც არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომად-გენელი ქალები, მიგრანტები და ლგბტ პირები. ეს შესაძლებელია შესაბამისი კვლევების ჩატარების გზით. არსებული მტკიცებულებები იმაზე მიუთითებენ, რომ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია საკმარისი ცოდნა წევრ სახელმწიფოებში ამ ჯგუფების მიმართ გენდერულ საფუძველზე განხორციელებული ძალადობის მასშტაბის, ხასიათისა და ზემოქმედების თაობაზე. შესაბამისად, საჭიროა ქმედითი ზომების გატარება უფრო ამომწურავი, სანდო და დესაგრეგირებული მონაცემების მოსა-ძიებლად ქალთა მიმართ გენდერულ საფუძველზე ძალადობის შესახებ, და კერძოდ იმის თაობაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს ასეთი ძალადობა საზოგადოების ყველაზე მოწყვლად წევრებზე. სწორედ ასეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა, რათა ეფექტური რეაგირება მოვახდინოთ ამ ქალების საჭიროებებზე.

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კვლევა

2014 წლის მარტში ევროკავშირის ძირითადი უფლებების დაცვის სააგენტომ წარადგინა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კვლევა. ეს პირველი კვლევაა, რომელ-შიც აღრიცხულია ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოში ქალთა მიმართ ძალადობის ხასიათი და მასშტაბი. კვლევის შედეგები ეყრდნობა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე გამოვლენილი 42 000 ქალთან პირისპირ ინტერვიუირების შედეგებს. კვლევა სანდო და შედარებად მონაცემებს შეიცავს ყოფილი, ამჟამინდელი პარტნიორების ან სხვა დამნაშავეების მიერ ქალების მიმართ ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევების თაობაზე. კვლევაში ასევე ასახულია ქალების შევიწროების, მათ შორის კიბერ-დევნის შემთხვევები, და გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში ქალებს ეკითხებოდნენ დაექვემდებარნენ თუ არა ისინი ძალადობას ბავშვობაში. მოცემული კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია შემდეგის გამო:

- კვლევა მნიშვნელოვან მონაცემებს გვაწვდის, რომლებიც ისეთ მნიშვნელოვან მონაწილე მხარეებს სჭირდებათ, როგორებიც არიან პოლიტიკის განმსაზღვრელი

პირები, მოცემული სფეროს პრაქტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის მიზნით პოლიტიკისა და ზომების შემუშავებაზე არიან პასუხისმგებელი;

-კვლევა პირველად გვაწვდის ევროკავშირის მასშტაბით შედარებად მონაცემებს იმ ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის მასშტაბისა და ხასიათის თაობაზე, რასაც ქალები ექვემდებარებიან, მათ შორის იმის შესახებ, თუ რამდენად აცხადებენ ქალები ასეთი ძალადობის შესახებ, და თუ აცხადებენ, რა რეაგირება მოყვება ასეთ ძალადობას.

-კვლევას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მონაცემთა მოძიებაში იმ ინდიკატორების შემუშავების მიზნით, რომლებიც გამოყენებული იქნება ქალების მიმართ ძალადობის თვალსაზრისით არსებული ვითარების და რეაგირების ზომების მონიტორინგის მიზნით.

ფიზიკური და სექსუალური ძალადობის თვალსაზრისით კვლევის ფარგლებში შემდეგი გამოვლინდა:

-ევროკავშირში დაახლოებით 13 მილიონი ქალი, რაც 18- დან 74 წლამდე ასაკის ქალების 7%-ს შეადგენს, კვლევის ჩატარებამდე 12 თვის განმავლობაში ფიზიკურ ძალადობას დაექვემდებარა;

-ევროკავშირში დაახლოებით 3.7 მილიონი ქალი, რაც 18- დან 74 წლამდე ასაკის ქალების 2%-ს შეადგენს, კვლევის ჩატარებამდე 12 თვის განმავლობაში სექსუალურ ძალადობას დაექვემდებარა;

კვლევის დასკვნები სრულად მოცემულია ევროკავშირის ძირითადი უფლებების დაცვის სააგენტოს ვებგვერდზე: http:// fra.europa.eu/DVS/DVT/vaw.php (http://fra.europa.eu/en/publication/2014/vaw-survey-main-results)

ნიდერლანდები

„ჯაჭვური რეაქციის“ მიდგომა (Ketenaanpak) (ხორციელდე- ბა 2006 წლიდან დაწყებული)

ქმედება: პროგრამას ნიდერლანდების ჯანდაცვის, სოციალური დახმარების და სპორტის სამინისტრო ახორციელებს (თანამშრომლობაში GGD, FSAN და Pharos-თან)37. პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია ჯაჭვური მიდგომა, ანუ გათ-ვალისწინებულია არსებული სტრუქტურებთან თანამშრომლობა და დაინტე-რესებული მხარეების ჩართვა ქალთა გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკასთან ბრძოლის მიზნით (ახალგაზრდების ჯანმრთელობის ცენტრები, პოლიცია, სკოლა, სამედიცინო სფეროების წარმომადგენლები, ბებიაქალები, ზოგადი პროფილის ექიმები, გინეკოლოგები, პედიატრები, ბავშვთა დაცვის უწყებები, მიგრანტების ორგანიზაციები) და ზომების ერთობლივად და კოორდინირებულად განხორცი-ელება. ამის მიღწევა ხორციელდებოდა შესაბამისი პროტოკოლების შემუშავებისა და

განხორციელების, პროფესიონალების, და რისკ ჯგუფების წარმომადგენლების ტრენინგების გზით. 2011 წელს მოცემული მიდგომა ადაპტირებული იქნა, და მისი განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო, კერძოდ კი ცენტრალურ, და მუნიციპალიტეტების დონეზე. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა სააგენტოების ეფექტური მუშაობის ხელშეწყობა და პასუხისმგებლობის გაზიარება, რაც უაღრესად მნიშ- ვნელოვანია ძალადობის ამ რთული ფორმისგან ქალების ეფექტური დაცვის, მისი პრევენციის, და სასამართლო წესით დევნისთვის.

(ინფორმაცია ინტერვენციის შესახებ ხელმისაწვდომია გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის ვებგვერდზე: http://eige.europa.eu/content/the-chain-approach-ketenaanpak-the-netherlands)

მოწყვლად ჯგუფებსა და გენდერული ძალადობის საკითხე- ბისადმი მიძღვნილი პროგრამების გამოცდილების გათვა- ლისწინებით შეგვიძლია შემდეგი დავასკვნათ:

- თემის აქტიური ჩართულობისთვის აუცილებელია გრძე ლვადიანი ინვესტიციები და საგანმანათლებლო მასალების კარგად შემუშავებული პაკეტი, რომელიც ასევე ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას ჯანდაცვის მომსახურებების მიმწოდებ- ლებისთვის, და რეგულარულ მონიტორინგს;

- მნიშვნელოვანია, რომ ინტერვენციები ადგილობრივი კონტექსტის გათვა- ლისწინებით შემუშავდეს, დაიგეგმოს და განხორციელდეს; იმავდროულად მნიშვნე- ლოვანია, რომ ღონისძიებები არ განხორციელდეს დისკრიმინაციული გზით, რაც უმცირესობათა ჯგუფებსა და თემებს შორის უფრო მეტ დაშორიშორებას გამოიწვევს;

- ინტერვენციების განხორციელებასთან ერთად საჭიროა მონიტორინგის ეფექტური პროცესის დანეგრვა, რაც ყველა ეტაპზე ღონისძიებების განხორციელების მიმდინა- რეობის დოკუმენტირებას გულისხმობს. ზემოქმედებისა და შედეგების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს მანამდე არსებული ვითარებისა და ღონისძიებების განხორ- ციელების შემდგომი ვითარების შედარებას; იმავდროულად, ღონისძიებების გან- ხორციელებას საკმარისი დრო უნდა დაეთმოს, და დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია კონკრეტულად თემსა, და ამ თემში არსებულ მდგომარეობაზე;

- არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც ისინი საკონტაქტო პირების სახით მოქმედებენ, და მხარდაჭერის გაწევა შეუძლიათ; საჭიროა ეროვნულ დონეზე ცენტრების ჩამოყალიბება, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან პრევენციაზე მიმართული ღონისძიებების კოორდინა- ციაზე, ცნობიერების ამაღლებაზე და სკოლებში და თემებში დისკუსიების ხელ- შეწყობაზე, და საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერაზე.

მამაკაცებისა და ბიჭების ჩართულობა

რადგანაც სტამბოლის კონვენციით განსაზღვრული ქალთა მიმართ სხვადასხვა ფორმის ძალადობის ჩამდენები ძირითადად მამაკაცები არიან, ქალთა მიმართ გენდერულ საფუძველზე ძალადობის პრევენციაზე მიმართული ინტერვენციები უნდა ითვალისწინებდნენ მამაკაცების აქტიურ ჩართვას პრევენციულ ღონისძ-იებებში, რათა ისინი ქალებთან ერთად ცვლილებების მამოძრავებელი ძალა გახდნენ. ქალთა მიმართ გენდერულ საფუძველზე ძალადობის აღმოფხვრაზე მიმართული ქმედებების ფარგლებში მამაკაცებთან ერთად მუშაობა უაღრესად მნიშნელოვანია, რადგანაც ეს ხელს უწყობს ქცევის შეცვლას, მამაკაცების მონაწილეობას სათემო ინსტიტუტების გაძლიერებაში, და მათი მხრიდან ქალების თანასწორობისა და ლიდერობის ხელშეწყობას.

მტკიცებულებები მიუთითებენ, რომ მამაკაცებსა და ბიჭებზე მიმართული პროგ-რამები ეფექტურია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის თვალსაზრისით, თუ ისინი მიმართულია ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული უთანასწორობის აღმოფხვრაზე. რადგანაც მამაკაცებს უდიდესი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ერთმანეთზე, პრევენციული პროგრამები ეფექტურია, როდესაც მამაკაცები თავის თავზე იღებენ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას, და როდესაც მამაკაცები მოიაზრებიან როგორც პრობლემის გადაწყვეტის გზა, და არა როგორც მხოლოდ ამ პრობლემის ნაწილი. მამაკაცებისთვის იმის სწავლებამ, რომ ისინი შესაბამისი სახით ჩაერიონ ამ პრობლემაში, შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევაში. მამაკაცებისა და ბიჭების ჩართვა ქალთა მიმართ გე-ნდერულ საფუძველზე ძალადობის პრევენციაში შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს, მათ შორის მათ შეიძლება იმოქმედონ როგორც როლურმა მოდელებმა, ცვლილებების მამოძრავებელმა ძალამ, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის ადვოკატირება განახორციელონ, და ხელი შეუწყონ ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთპატივისცემას. ძალადობის წინააღმდეგ გამოსვლისა და სხვა მამაკაცების აქტივობებში ჩართვის გზით გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის, ასევე როლური მოდელის სახით მოქმედების შედეგად, ქალებსა და ოჯახზე მზრუნველობით და პასუხისმგებლობის დაკისრებით, მამაკაცებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ქალთა მიმართ გენდერულ საფუძველზე ძალადობის პრევენციასა და დაძლევაში.

მამაკაცებს შეუძლიათ სხვადასხვა დონეზე შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა და ცვლილებების გამოწვევა, მაგალითად:

- ქმრებს, მამებს, ბიძებს, ვაჟიშვილებს და ძმებს შეუძლიათ უფრო თანასწორი და სამართლიანი ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობა ოჯახის დონეზე;

- თანასწორთა განმანათლებლების სახით მოქმედების გზით, ანუ როდესაც ,,მამაკაცი მამაკაცს ესაუბრება“ და იმ წარმოდგენების გაქარწყლებას ისახავს მიზნად, როდესაც გენდერულ საფუძველზე ქალთა მიმართ ძალადობა მისაღებადაა მიჩნეული;

- მამაკაცების მხრიდან ქალების მხარდაჭერის გზით;

- სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის გზით;

- რელიგიურ ლიდერებს, რომლებიც თემში გავლენით სარგებლობენ, შეუძლიათ ცვლილებების გამოწვევა;

- თემის ლიდერების ჩართულობის გზით.

მამაკაცების ეფექტური ჩართულობის მაგალითებია, როდესაც ინიციატივები მიმართულია სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე და სხვა ორგანიზებული ჯგუფების წარმომადგენელი მამაკაცების განათლებასა და ტრენინგზე, მაგალითად, ტრენინგის გზით პოლიციის ოფიცრების წარმოდგენების გარდაქმნა ოჯახურ ძალადობასთან მიმართებაში, და რეპროდუქტიული ჯანმრთელობისა და გენდერული საკითხების ჩართვა სამხედროებისთვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამებში (მაგ, როგორც თურქეთში); კამპანიების ჩატარება მამაკაცების(და ქალების) პოზიტიური იმიჯის მატარებელი როლური მოდელების წარმოჩენით ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის მიზნით.

მამაკაცების ეფექტური ჩართულობის მაგალითებია, როდესაც ინიციატივები მიმართულია სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე და სხვა ორგანიზებული ჯგუფების წარმომადგენელი მამაკაცების განათლებასა და ტრენინგზე, მაგალითად, ტრენინგის გზით პოლიციის ოფიცრების წარმოდგენების გარდაქმნა ოჯახურ ძალადობასთან მიმართებაში, და რეპროდუქტიული ჯანმრთელობისა და გენდერული საკითხების ჩართვა სამხედროებისთვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამებში (მაგ, როგორც თურქეთში); კამპანიების ჩატარება მამაკაცების(და ქალების) პოზიტიური იმიჯის მატარებელი როლური მოდელების წარმოჩენით ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის მიზნით.

დასკვნები

სტამბოლის კონვენცია მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძა ლადობის ყველა ფორმის, მათ შორის გოგონების მიმართ ძალადობის პრევენციას, და თანმიმდევრულ პრევენციულ ზომებს სახავს, რომლებიც ასევე ითვალისწინებენ მსხვერპლების დაცვას, დამნაშავეების დასჯას, და ინტეგრირებული პოლიტიკის შემუშავებას. მხოლოდ ყოვლისმომცველი და ინტეგრირებული პოლიტიკის შემუშავების გზითაა შესაძლე- ბელი ქალთა მიმართ ძალადობაზე ჰოლისიკური რეაგირების მოხდენა.

ამ მიზნით სტამბოლის კონვენცია გვთავაზობს დეტალურ ნორმებს, რომლებიც ასახულია პრევენციის თავში (მუხლები 12-17). მოცემული ნორმები ეყრდნობა სიღრმისეულ ცოდნას იმის შესახებ, თუ რა მუშაობს ეფექტურად ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის, რაც ძალადობის განმაპირობებელი მიზეზებისა და მისი შედეგების კვლევების შედეგად ჩამოყალიბდა, და ასევე ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისა და სხვა ქვეყნების მიერ პრაქტიკაში გამოცდილი და ეფექტური

მიდგომების გათვალისწინებით შემუშავდა. სტამბოლის კონვენცია შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც პრევენციული ინტერვენციების სახელმძღვანელო პრინციპები. კონვენცია სახელმწიფოების უფლებამოსილებაში ტოვებს მისი მოთხოვ-ნების გავრცელებას ოჯახური ძალადობის, მათ შორის ბავშვებისა და ხანდაზმულების მიმართ ოჯახური ძალადობის ყველა ფორმებზე, და წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ კიდევ უფრო ყოვლისმომცველი პრევენციული ზომები გაატარონ ეროვნულ დონეზე, რათა სტამბოლის კონვენციის საფუძველზე ძალადობის სხვა ფორმებიც მოიცვან. წინამდებარე დოკუმენტში ასახული პრევენციული ზომების გატარების პრაქტიკული მაგალითები დაგვანახებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ზომების ზემოქმედების სრულფასოვანი შეფასება არ ჩატარებულა, ნამდვილად მიზანშეწონილია პრევენცი-ულ ზომებში ინვესტირება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის შემთხვევების მნიშვნელოვანი შემცირების მიზნით.

გასათვალისწინებელი ზომების ჩამონათვალი:

პრევენციული ზომები ყველაზე უფრო ეფექტურია, როდესაც ისინი არ ხორციელდება იზოლირებულად, არამედ ინტეგრირებულია ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთაზე მიმართულ უფრო ფართო ჰოლისტიკურ მიდგომებთან. სტამბოლის კონვენცია მოუწოდებს მხარეებს შეიმუშაონ ინტეგრირებული პოლიტიკა, რომელიც ,,ეფექ-ტურად განხორციელდება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, თანმიმდევრული და კოორდინირებული იქნება, და ყველა საჭირო ზომებს გაითვალისწინებს ძალადობის ყველა ფორმასთან ბრძოლის მიზნით". მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნას, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის პრევენცია მოცემულ სფეროში ეროვნული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი გახდეს, დამოუკიდებლად იმისა, ეს პოლიტიკა ასახულია სამოქმედო გეგმაში, ეროვნულ სტრატეგიაში, თუ პოლიტიკის რამდენიმე დოკუმენტში.

ქვემოთ ჩამოთვლილი ზომების ჩამონათვალი დაეხმარება სახელმწიფოებს იმის უზრუნველყოფაში, რომ სტამბოლის კონვენციით მოცული სხვადასხვა ასპექტები ასახული იქნას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის პრევენციაზე მიმართულ თანმიმდევრულ და ინტეგრირებულ პოლიტიკაში.

პრევენციული ზომები ყველა დონეზეა მიმართული, მათ შორის საზოგადოების, ინსტიტუციონალურ, თემის და ინდივიდუალურ დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორების აღმოფხვრა ისეთი ეკოლოგიური მოდელების გამოყენებით, როგორიცაა ჰაგემანუაიტის მოდელი (2010)

პრევენციული მოდელები ხელს უნდა უწყობდნენ გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას შემდეგი გზით:

- კანონმდებლობის გადასინჯვა, რომელიც ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების დამკვიდრებას, ან თავად ადგენს ასეთ სტერეოტიპებს
- კამპანიების ჩატარება, რომლებიც ხელს უწყობენ გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული სოციალური ნორმების გარდაქმნას, მსხვერპლის დანაშაულის

პრაქტიკის აღმოფხვრას, პოზიტიური ქცევისა და დამოკიდებულებების დამკვიდრებას საზოგადოების ყველა დონეზე.

- მედია ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობის და ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ ცნობიერების ამაღლება
- ადრეული ინტერვენციის ზომები ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლების მიზნით როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ საგანმანათლებლო სექტორში შესაბამისი პროგრამების განხორციელების გზით, რომლებიც მიმართულია ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობაზე, გენდერული სტერეოტიპების და იმ დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშემწყობი ფაქტორების აღმოფხვრაზე, რომელთა გამო გენდერული ძალადობა მისაღებადაა მიჩნეული; ამ ძალადობის განმაპირობებელი ძირეული მიზეზების გაცნობიერების ხელშეწყობა და განათლება იმის თაობაზე, თუ რა მოიაზრება ჯანსაღ და პატივისცემაზე აგებულ ურთიერთობებში.
- ზომები უნდა ითვალისწინებდნენ მამაკაცებისა და ბიჭების ჩართვას მათ განხორციელებაში რათა პოზიტიური ცვლილებების დამკვიდრების მამოძრავებელ ძალა გახდნენ. ეს სხვადასხვა ინტერვენციების განხორციელების გზით უნდა იქნას მიღწეული კრეატიული, მონაწილეობრივი და ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით; იმავდროულად, დაძლეული უდა იქნას წინააღმდეგობა და ზომები გენდერულ ასპექტებზე მომუშავე ქალთა ორგანიზაციებთან ერთობლივად უნდა დაიგეგმოს.
- პრევენციული ზომები ხელს უნდა უწყობდნენ ქალთა გაძლიერებას როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ სფეროებში უარყოფითი გენდერული სტერეოტიპების და უთანასწორობის დაძლევის გზით; საჭიროა დუალური მიდგომის გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს გენდერული ასპექტების გათვალისწინებას კანონმდებლობაში, შესაბამისი ზომების დასახვას ქალთა, მათ შორის მოწყვლადი ქალების კონკრეტული საჭიროებების გასათვალისწინებლად.
- ზომების დასახვა გენდერული თანასწორობისა და გენდერულ საფუძველზე ძალადობის შესახებ არსებულ სანდო, დეტალურ, და დესაგრეგირებულ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა დაისახოს, რაც დაგვეხმარება ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირებაში ყველა პრევენციული ზომების ეფექტურად განხორციელების მიზნით.

შეგახსენებთ, რომ სტამბოლის კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2017 წლიდან

სექსუალური შევიწროება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით სექსუალური შევიწროება – საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს, – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წლის განმავლობაში – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან გამასწორებელ სამუშაოებს 1 თვემდე ვადით. სამართალდარღვევის ჩადენა სამართალდამრღვევისთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ან არასრულწლოვნის თანდასწრებით ჩადენა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 800 ლარამდე ოდენობით.

სექსუალური შევიწროების მუხლზე ოქმის შემდგენ უწყებად განისაზღვრა შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო სექსუალური შევიწროების მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები დაექვემდებარა სასამართლოს განსჯადობას.

იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს სექსუალურ შევიწროებად, ერთობლივად სახეზე უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:

- სახეზე უნდა იყოს სექსუალური ხასიათის ქცევა;
- სექსუალური ხასიათის ქცევა უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებრივ ადგილას;
- სექსუალური ხასიათის ქცევა არასასურველი უნდა იყოს ადრესატისათვის;
- სექსუალური ხასიათის ქცევა მიზნად უნდა ისახავდეს ან/და იწვევდეს ადრესატის ღირსების შელახვას;
- სექსუალური ხასიათის ქცევა ადრესატისათვის უნდა ქმნიდეს დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

სექსუალური ხასიათის ქცევა შესაძლოა გამოხატული იყოს ნებისმიერი სახის ფიზიკურ ქმედებაში, მათ შორის, სოციალურ ქსელში, საჯაროდ (როცა კომენტარი ხელმისაწვდომია 2-ზე მეტი პირისათვის) სექსუალური ხასიათის კომენტარის დაწერაში ან მსგავსი შინაარსის ვიდეოს გაგზავნაში და სხვა, ან იგი გადმოცემული იყოს სიტყვიერად.

სექსუალური ფიზიკური ქცევა იქნება გენიტალიების ჩვენება, გენიტალიებით შეხება, ე.წ. „ხახუნი“, ვულგარული ჟესტები, უხერხული: მოფერება, ხელის გადასმა, ჩქმეტა ან/და სხვა სახის სექსუალური ფიზიკური ქცევა (მაგ.: კოცნა).

სიტყვიერი ფორმით სექსუალური ხასიათის ქცევა შეიძლება გამოიხატოს შემდეგში: სექსუალური ფრაზების თქმა/მიძახება, კომენტარები გარეგნობის, ასაკის, პირადი

ცხოვრების, სექსუალური ორიენტაციის შესახებ (მაგალითად, ,,რა კარგი მკერდი გაქვს", ,,რა მიმზიდველი კანი გაქვს", ,,შენთან სიამოვნებით დავწვებოდი", და ა. შ.).

სექსუალური ხასიათის ქცევაში იგულისხმება ასევე, ტელეფონის, სოციალური ქსელის ან/და კომუნიკაციის სხვა ელექტრონული საშუალებით სექსუალური შინაარსის შეტყობინებების, სექსუალური ხასიათის ფოტოებისა და ვიდეოების გაგზავნა საჯაროდ, ასევე, სოციალურ ქსელში სექსუალური ხასიათის კომენტარების დაწერა საჯაროდ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეაგირება უნდა მოახდინოს სექსუალური შევიწ-როებაზე, რომელიც განხორციელდა საზოგადოებრივ ადგილას. არცერთი საკა-ნონმდებლო აქტი არ იცნობს საზოგადოებრივი ადგილის განმარტებას. საზოგადო-ებრივი ადგილად უნდა ჩაითვალოს ისეთი სივრცე და ადგილი, სადაც ნებისმიერ პირს აქვს ყოფნის უფლება ან ამ უფლების მოპოვების შესაძლებლობა. ასეთი სივრცე შესაძლოა იყოს ღია, დახურული და ვირტუალური. მაგალითად, ღია საზოგა-დოებრივი სივრცეა - ქუჩა, ეზო, სტადიონი, სკვერი, პარკი, ნებისმიერი დაწე-სებულების ეზო ან/და სხვა გარე ტერიტორია.

დახურული საზოგადოებრივი სივრცეა - კინოთეატრი, თეატრი, საკონცერტო დარბაზი, კაფე, რესტორანი, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმო, ნებისმიერი სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტი (მათ შორის, საზღვაო ტრანსპორტი და საჰაერო ტრანსპორტი), სადგურების შიდა ტერიტორია და სხვა.

ვირტუალური საზოგადოებრივი სივრცეა - ინტერნეტი, ინტრანეტი, სოციალური ქსელები (თუ სექსუალური ხასიათის შეტყობინება, ვიდეო, ფოტო გაგზავნილი იქნა ერთი კონკრეტული პირისთვის, ეს არ ჩაითვლება საზოგადოებრივ ადგილზე შევიწროებად).

სექსუალური ხასიათის ქცევა უნდა იყოს მიმართული კონკრეტული პირის მიმართ. ქმედებას უნდა ჰყავდეს კონკრეტული ადრესატი. აუცილებელია, რომ სექსუალური ხასიათის ქცევა იმ პირისთვის, ვისკენაც ის არის მიმართული, იყოს არასასურველი. ანუ, ამ პირისათვის მიუღებელი უნდა იყოს მის მიმართ განხორციელებული ასეთი სახის ქცევა. თუ სექსუალური ხასიათის ქცევა ამ პირისთვის სასურველი, მოსაწონი ან/და

სექსუალური ხასიათის ქცევა სასურველია თუ არა, აღნიშნულის შეფასება უნდა მოხდეს მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნეს სავარაუდო შემავიწროებელსა და სავარაუდო მსხვერპლს შორის ურთიერთობა, ქცევის აგრესიული ხასიათი და ა. შ. მაგალითად, თუ პარკში უცნობი პირისათვის სქესობრივი აქტის შეთავაზება ხდება, ეს შესაძლოა, აღქმული იყოს როგორც სექსუალური შევიწროება. თუ ამგვარი შეთავაზება ხდება პარტნიორისათვის/ შეყვარებულისათვის, ეს შესაძლოა არ იყოს სექსუალური შევიწროება. თუმცა, თუ

პარტნიორისათვის შეთავაზების ფორმა შეურაცხმყოფელია, ეს შესაძლოა ჩაითვალოს სექსუალურ შევიწროებად.

სექსუალური ხასიათის ქცევა მიზნად უნდა ისახავდეს ან/და იწვევდეს პირის ღირსების შელახვას. შესაძლოა შემავიწროებელი მიზნად ისახავდეს პირის ღირსების შელახვას. ან შესაძლოა სავარაუდო მოძალადე პირის ღირსების შელახვას არ ისახავდეს მიზნად, თუმცა მსხვერპლში ამ ქცევამ გამოიწვიოს ღირსების შელახვა. ორივე შემთხვევაში სახეზე იქნება სექსუალური შევიწროება. ისახავს თუ არა სავარაუდო მოძალადე მიზნად პირის ღირსების შელახვას, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რა ფორმით და ვის მიმართ ახორციელებს იგი სექსუალური ხასიათის ქცევას. მაგ.: მსხვერპლს დამცინავი ტონით ეუბნება, რომ არის ძალიან სექსუალური ან, პირს რომელსაც აქვს პატარა მკერდი, დამცინავი ტონით ეუბნება, რომ აქვს ძალიან ლამაზი მკერდი და ა. შ.

როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლოა სავარაუდო მოძალადე პირის ღირსების შელახვას არ ისახავდეს მიზნად, თუმცა მსხვერპლში ამგვარმა ქცევამ გამოიწვიოს ღირსების შელახვა. სექსუალური შევიწროება, როგორც წესი, ნეგატიურად აისახება მსხვერპლის ემოციურ მდგომარეობაზე. მაგ.: საზოგადოებრივ ადგილზე, სადაც ბევრი ადამიანი მოძრაობს, სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა იწვევს მსხვერპლის ღირსების შელახვას. მაშინაც კი, როცა სამართალდამრღვევს ჰგონია, რომ მსხვერპლს კომპლიმენტს ეუბნება. მსხვერპლს, სამართალდამრღვევისგან თავის დაცვის მიზნით, უწევს ადგილის შეცვლა ან იმ ადგილიდან წასვლა.

სექსუალური ხასიათის ქცევა მსხვერპლისათვის უნდა ქმნიდეს დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ ან ღირსების შემლახველ გარემოს. დამაშინებელი იქნება გარემო, სადაც მსხვერპლს გაუჩნდება ყოფნის შიში. მაგ.: საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სადაც სამართალდამრღვევი იმყოფება, გაუჩნდება შიში, რომ მის მიმართ გაგრძელდება შევიწროება ან/და ქმედება სხვა უფრო მძიმე ფორმაზე გადავა.

მტრული იქნება გარემო, სადაც აღნიშნული ფაქტის გამო მსხვერპლის მიმართ ცუდად არიან განწყობილნი გარშემომყოფნი. მაგ.: ირგვლივ მყოფი ადამიანები მას ადანა-შაულებენ (ვერბალურად ან/და არა ვერბალურად) მის მიმართ განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებაში სხვადასხვა მიზეზის გამო (მაგ.: უწევს ირგვლივ მყოფებისაგან შემდეგი ფრაზების მოსმენა - „ისე გამომწვევად გაცვია, შეგავიწროებდა აბა რას იზამდა," „ასეთი ჩაცმული რომ გამოხვედი, აბა რა გეგონა" და ა. შ.)

დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან ღირსების შემლახველი იქნება გარემო, სადაც მსხვერპლი თავს იგრძნობს დამცირებულად, შეურაცხყოფილად, ღირსებაშელა-ხულად. სადაც მას რცხვენია ყოფნა იმის გამო, რაც მის მიმართ განხორციელდა. მაგ.: ყველა მას უყურებს იმის გამო, რაც მის მიმართ განხორციელდა, ყველა ქილიკებს, ყველას ეღიმება და ა. შ.

წინასწარი შეცნობით 16 წლამდე პირის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედება შესაძლოა გაცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფარგლებს და ქმედება დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსით, როგორც გარყვნილი ქმედება.

სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების განმარტება

სექსუალური შევიწროება გულისხმობს სექსუალური ხასიათის ნებისმიერ არასასურველ სიტყვიერ, არასიტყვიერ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლთა დიდი უმრავლესობა ქალები არიან, მსხვეპლები კაცებიც შეიძლება გახდნენ. ადამიანის მიმართ დისკრიმინაცია და სექსუალური შევიწროება შეიძლება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე მოხდეს. შევიწროებისა და ძალადობის შიშის გამო, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი (ლგბტ) თანამშრომლები საკუთარ სექსუალურ ორიენტაციასა თუ გენდერულ იდენტობას ხშირად საიდუმლოდ ინახავენ.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით (2014) სექსუალური შევიწროება აკრძალულია ყველა სფეროში და დისკრიმინაციის ფორმად განისაზღვრება. შრომით ბაზარზე სექსუალურ შევიწროებას ასევე კრძალავს საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“ (2013) და „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი (2010).

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მიხედვით: „სექსუალური შევიწროება მოიცავს არასასურველ, სექსუალური ხასიათის ქცევას, მათ შორის, ფიზიკურ კონტაქტსა და სხვა მცდელობებს, სექსუალური შინაარსის მქონე განცხადებებს, პორნოგრაფიის ჩვენებასა და სექსუალური ხასიათის მოთხოვნებს; მნიშვნელობა არ აქვს, ასეთი ქცევა გამოხატული იქნება ვერბალურად თუ ქმედებით. ამგვარი პრაქტიკა დამამცირებელია და შესაძლოა, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიწვიოს. დისკრიმინაციულია ქმედება, თუ ქალს აქვს გონივრული ეჭვი, რომ მისი გაპროტესტება უარყოფით გავლენას მოახდენს მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის, სამსახურში აყვანასა თუ დაწინაურებაზე, ან როდესაც ასეთი ქცევა მას მტრულ სამუშაო გარემოს უქმნის“.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 2019 წლის კონვენცია ძალადობისა და შევიწროების შესახებ (No. 190) იყენებს ტერმინს ძალადობა და შევიწროება და მას განსაზღვრავს როგორც მიუღებელი ქცევების და პრაქტიკების ერთობლიობას, ან ასეთი ქმედებების მუქარას, ერთჯერადს ან განმეორებით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ ზიანს და მოიცავს ძალადობას ან შევიწროებას გენდერის საფუძველზე. კონვენციის თანახმად, ტერმინი

ძალადობა და შევიწროება გენდერის საფუძველზე ნიშნავს ძალადობას და შევიწროებას, რომელიც მიმართულია ადამიანისკენ მისი სქესის ან გენდერის გამო, ან არაპროპორციულად აზიანებს კონკრეტული სქესის ან გენდერის ადამიანს და მოიცავს სექსუალურ შევიწროებას. ამ კონვენციით, დასაქმების ადგილად მოიაზრება არამხოლოდ სამუშაოს შესრულების ძირითადი ადგილი, არამედ, ასევე სამუშაოსთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტივობა, მათ შორის, მივლინება, შესვენება ან ნებისმიერი სამუშაოსთან შემხებლობაში მყოფი კომუნიკაცია. კონვენცია შეეხება ნებისმიერ დასაქმებულს, მათი სტატუსის მიუხედავად - დასაქმებულებს კერძო და საჯარო სექტორში, ასევე, ფორმალური თუ არაფორმალური ეკონომიკის სფეროებში. კონვენცია წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, მიიღონ კანონმდებლობა, რომელიც დამსაქმებლებს დაავალდებულებს, დასაქმების ადგილას ძალადობის და შევიწროების თავიდან აცილების მიზნით, გაატარონ ღონისძიებები, მათ შორის, დასაქმებულებისთვის უზრუნველყონ ინფორმაცია და ტრენინგი ძალადობის და შევიწროების რისკების შესახებ, ასევე, უზრუნველყონ ხელმისაწვდომობა გასაჩივრებისა და დავების მოგვარების უსაფრთხო მექანიზმებზე, ისე, რომ ამ პროცესში ჩართული პირების კონფიდენციალობა დაცული იყოს.

Quid pro quo (მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ) სექსუალურ შევიწროებას შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია შემდეგნაირად განმარტავს:

1. *სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფიზიკური, სიტყვიერი, არასიტყვიერი თუ სხვა სახის ქცევა, რომელიც ეფუძნება სქესს, ლახავს ქალებისა თუ კაცების ღირსებას და არასასურველი, არამიზანშეწონილი და შეურაცხმყოფელია მათთვის;*
2. *ამგვარი ქცევის პასუხად ადამიანის მიერ საპასუხო უარი ან თანხმობა, აშკარად ან ფარულად, გამოიყენება გადაწყვეტილებისთვის, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ამ ადამიანის სამსახურზე.*

აღნიშნული შეეხება სიტუაციებს, როდესაც სექსუალური შევიწროების მიღება ან უარყოფა ხდება ისეთი გადაწყვეტილების საფუძველი, რომელიც უკავშირდება ადამიანის თანამდებობაზე დანიშვნას, კარიერულ წინსვლას, ხელფასის გაზრდასა და ბონუსის მიცემას, სამუშაო დავალებების განაწილებას ან ხელშეკრულების გაგრძელებას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მტრული სამუშაო გარემოს შექმნას შემდეგნაირად განმარტავს: ქცევა, რომელიც სექსუალური შევიწროების მსხვერპლისთვის საშიშ, დამამცირებელ, მტრულ ან შეურაცხმყოფელ გარემოს ქმნის. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სექსუალური ხასიათის ხუმრობა, კომენტარი, ან შეხება, რომელიც ხელს უშლის ადამიანს სამუშაოს შესრულებაში და იწვევს მტრული თუ შეურაცხმყოფელი სამუშაო გარემოს შექმნას.

სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება გამოიხატოს და quid pro quo სექსუალური შევიწროება და მტრული სამუშაო გარემოს შექმნა ერთდროულად იყოს სახეზე. სექსუალური შევიწროება სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ეს შეიძლება ერთი

შეხედვით შეუმჩნეველი ქმედება იყოს და მსხვერპლი თავდაპირველად ვერც მიხვდეს, რომ იგი სექსუალური შევიწროებაა, თუმცა, შესაძლებელია, მან სექსუ-ალური შევიწროების აშკარა სახე მიიღოს და მსხვერპლის ჯანმრთელობასა თუ კეთილდღეობაზე ნეგატიურად აისახოს.

სექსუალური შევიწროება შეიძლება ნებისმიერ დასაქმებულ ადამიანს შეეხოს. არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოში სექსუალური შევიწროების მიმართ ყველაზე დაუცველები ქორწინებაში არმყოფი და ახალგაზრდა ქალები არიან. ზოგიერთ შემთხვევაში, მამრობითი სქესის თანამშრომლებს, რომლებიც უფრო მაღალ პოზიციებზე მუშაობენ, მიაჩნიათ, რომ აქვთ ახალგაზრდა ქალების საზოგადოებრივი ცხოვრების კონტროლის უფლება, რამაც შეიძლება რეგულარული სექსუალური შევიწროება გამოიწვიოს. ამას გარდა, ისეთ დარგებში დასაქმებული ქალები, სადაც, ძირითადად, კაცები დომინირებენ, მათ შორის, მაღალ თანამდებობებზე მყოფებიც, ხშირად სექსუალური შევიწროების მსხვერპლები ხდებიან, ვინაიდან მათ აღიქვამენ ქალებად, რომლებიც ქალის ტრადიციულ როლს არ შეესაბამებიან.

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ სექსუალურ შევიწროებას ცოტა საერთო აქვს თავად სექსთან - ეს უფრო ძალაუფლებასა და ქალების კონტროლზე დამყარებული სქესობრივი ძალადობის ფორმაა. სექსუალური შევიწროების ამოცნობა რთულია, ვინაიდან ქმედება ყოველთვის არ არის აშკარა. ამასთან, შესაძლოა ადამიანებმა ერთიდაიგივე ქმედება სხვადასხვანაირად აღიქვან, მაგალითად, ქმედება, რომელიც შესაძლოაერთი ადამიანის მიერ მეგობრობად ან ორმხრივ ურთიერთობად იყოს აღქმული, მეორე ადამიანისთვის არანებაყოფლობითი სექსუალური ხასიათის ქცევა იყოს, რომელიც მას მტრულ გარემოს უქმნიდეს.

სექსუალური შევიწროების გამოსავლენად გასათვალისწინებელია შემდეგი ინდი-კატორები. ინდიკატორების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ამასთან, შესაძლოა კონკრეტულ შემთხვევას მხოლოდ რამდენიმე ინდიკატორი ან არც ერთი მათგანი ახასიათებდეს.

- ხანგრძლივობა
- განმეორებადობა
- ვითარება/სიტუაცია
- ქცევის ფორმა (სიტყვიერად ან წერილობით სექსუალური ხასიათის კომენტარის გაკეთება, სექსუალური კავშირის შეთავაზება)
- მსხვერპლის მიერ სიტუაციის აღქმა
- მსხვერპლის მდგომარეობა (სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, დაქორ-წინებული, განქორწინებული და ა.შ.)
- შემავიწროებლის შესაძლებლობა გავლენა იქონიოს მსხვერპლზე
- ურთიერთობა მსხვერპლსა და შემავიწროებელს შორის.

ფიზიკური სექსუალური შევიწროება გულისხმობს მკერდზე, მხრებზე, ფეხებზე და ა.შ. არასასურველ მოფერებასა და შეხებას. ეს შეიძლება იყოს პირადი სივრცის დარღვევა, მაგალითად, თანამშრომლის კუთხეში მიმწყვდევა ოფისში ან გადაწოლა თანამშრომლის მაგიდაზე.

სიტყვიერი სექსუალური შევიწროება გულისხმობს შეუფერებელ და სქესობრივი ხასიათის შეურაცხმყოფელ შენიშვნებს, ხუმრობასა და შეკითხვებს გარეგნობასთან, ცხოვრების სტილსა და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით. ასევე, ეს შეიძლება იყოს მუქარები, შეურაცხმყოფელი სატელეფონო ზარები, სახელების შერქმევა და კრიტიკა, მსხვერპლის შეურაცხყოფა ან დამცირება სხვა ადამიანების თანდასწრებით, გაუმართლებელი შეკითხვები პირადი ცხოვრების ან ადამიანის გარეგნობის შესახებ და შეუფერებელი მიწვევა პაემანზე.

სექსუალური შევიწროების არავერბალური ფორმები გულისხმობს პორნოგრაფიისა და სექსუალური ხასიათის ფოტოების ჩვენებას ან გაგზავნას, სტვენასა და სექსუალური ხასიათის ჟესტებს, შეურაცხმყოფელ მიშტერებას ან დამცინავად ყურებას. არავერბალური სექსუალური შევიწროების შედარებით ბოლოდროინდელი ფორმაა სექსუალური ხასიათის წინადადებების შემცველი, არასასურველი და შეურაცხმყოფელი ელექტრონული წერილები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, სოციალურ მედიაში/სოციალური ქსელების გვერდებზე გამოქვეყნებული ფოტოები და გზავნილები (ზოგჯერ უწოდებენ კიბერშევიწროებას).

2017 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან ერთად, ევროკავშირის მხარდაჭერით განახორციელა ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, [1] რომლის მიხედვითაც, საქარ-თველოში სექსუალური შევიწროების ყველაზე გავრცელებული სახეებია:

- *უადგილო ყურება ან შემოხედვა (15%),*
- *მომაბეზრებელი კომენტარები პირად ცხოვრებაზე (7%),*
- *სექსუალური ხასიათის კომენტარები ან ხუმრობები და არასასურველი შეხება, ჩახუტება ან კოცნა (6 %),*
- *სექსუალური ხასიათის კომენტარები და ხუმრობები 6%;*
- *მომაბეზრებელი კომენტარები ფიზიკურ გარეგნობაზე 5%;*
- *სურვილის საწინააღმდეგო სექსუალური ხასიათის ელექტრონული წერილები, ან SMS შეტყობინებები და/ან უადგილო შემოთავაზებები სოციალურ ქსელებზე 4% მდე;*
- *უადგილო მიპატიჟება პაემანზე 3%;*
- *საკუთარი სხეულის ინტიმური ადგილების ან გენიტალიების ჩვენება თქვენი სურვილის წინააღმდეგ 1.8%;*
- *სექსუალური ხასიათის ფოტოების ან საჩუქრების გამოგზავნა 1.5%.*

ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს (FRA) მიერ ევროკავშირში ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე 2014 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

- *ევროკავშირის 28 ქვეყანაში ყოველ მეორე ქალს 15 წლის ასაკის შემდეგ ერთხელ მაინც განუცდია სექსუალური შევიწროება;*
- *ხუთიდან ერთ ქალს კვლევამდე 12 თვის განმავლობაში განუცდია სექსუალური შევიწროება. ამ ქალების 32%-მა განაცხადა, რომ შევიწროების ჩამდენი მასთან სამსახურებრივად დაკავშირებული პირი იყო, მაგალითად, კოლეგა, ზემდგომი თანამდებობის პირი ან კლიენტი;*
- *ხუთიდან ერთ ქალს ორჯერ მაინც აქვს გამოცდილი არასასურველი შეხება, მოხვევა ან კოცნა, ხოლო ქალების 6%-ის შემთხვევაში, შევიწროების ამგვარი ფიზიკური ფორმის შემთხვევათა რაოდენობა 6-ს აღემატება.*
- *სექსუალური შევიწროების რისკ ჯგუფი ახალგაზრდა ქალები არიან. 18-დან 29 წლამდე ქალების მესამედს კვლევამდე 12 თვის განმავლობაში სექსუალური შევიწროების ერთი ფორმა მაინც განუცდია. ახალგაზრდა ქალები ინტერნეტით მუქარისა და შეურაცხმყოფელი შეტყობინებების მიღების განსაკუთრებული რისკის ქვეშაც დგანან;*
- *სექსუალური შევიწროება უფრო ხშირად განცდილი აქვთ უმაღლესი განათლების მქონე ქალებსა და ქალებს მაღალ პოსტებზე: ცხოვრების განმავლობაში სექსუალური შევიწროება მაღალი რგოლის მენეჯერი ქალების 75%-ს აქვს განცდილი;*
- *ქალების უმეტესობას სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესახებ არ განუცხადებია. პოლიციას ამგვარი შეტყობინებით მხოლოდ 4%-მა მიმართა. რეაგირების მოთხოვნის მიზნით 4%-ს მიუმართავს დამსაქმებლის ან მენეჯერისთვისაც.*

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2017 წელს, <u>ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ეროვნული კვლევის</u> შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში სექსუალური შევიწროება ფართოდ გავრცელებული ფენომენია. ხუთიდან ერთმა ქალმა (20%) თქვა, რომ, სულ მცირე, ერთი სახის სექსუალური შევიწროება მაინც გამოუცდია. ქალების 10%-მა განაცხადა, რომ სექსუალური შევიწროება გამოცდილი აქვს სამუშაო ადგილზე. სექსუალური შევიწროების ყველაზე გავრცელებული სახეებია: უადგილო ყურება ან შემოხედვა (15%), მომაბეზრებელი კომენტარები პირად ცხოვრებაზე (7%), სექსუ-ალური ხასიათის კომენტარები ან ხუმრობები და არასასურველი შეხება, ჩახუტება ან კოცნა (6 %). ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ სექსუალურ შევიწროებას ყველაზე ხშირად უცნობი კაცები (14%) და კაცი მეგობრები/ნაცნობები (4%) ჩადიან. სექსუალური შევიწროების სუბიექტად დასახელებული იყვნენ ქალი მეგობრები/ნაცნობებიც (2%).

სექსუალური შევიწროების გამოვლენა და მასზე რეაგირება

სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროებას ნეგატიური შედეგები ყველა ადამი-ანისთვის მოჰყვება. უარყოფითი ზეგავლენა, რომელსაც ის შრომის ნაყოფიერებასა და მორალურ მდგომარეობაზე ახდენს, ორგანიზაციაში ყველა დონეზე აისახება.

სექსუალური შევიწროება მსხვერპლისთვის ძალიან დამთრგუნველია. მან შეიძლება გამოიწვიოს მღელვარება, დეპრესია, თავის ტკივილი, უძილობა, უძლურების, დანაშაულისა და დამცირების განცდა. მსხვერპლი ხშირად კარგავს თავდაჯერებულობასა და საკუთარი თავის პატივისცემას, აქვს გარიყულობისა და იზოლირების შეგრძნება. უარეს შემთხვევაში, სექსუალურმა შევიწროებამ შეიძლება მსხვერპლისთვის მძიმე საფრთხე გამოიწვიოს:

- ზოგ მსხვერპლს, საჩივრის შეტანის შემთხვევაში, მოძალადის ან მისი კოლეგების/მეგობრების მხრიდან სამაგიეროს გადახდის ეშინია. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სექსუალური შევიწროების შეტყობინება იშვიათად ხდება.
- სექსუალური შევიწროების მსხვერპლს შეიძლება კარიერული განვითარების შესაძლებლობა არ მიეცეს ან საერთოდ მოუწიოს სამსახურის დატოვება.
- კარიერულ შესაძლებლობებს საფრთხე განსაკუთრებით მაშინ ექმნება, როდესაც მსხვერპლი სამსახურიდან მიდის და მას სარეკომენდაციო წერილს არ აძლევენ.
- ხშირად იზრდება სამსახურში არგამოცხადების მაჩვენებელი, ვინაიდან მსხვერპლი თავს არიდებს მოძალადეს. ზოგჯერ კი გაურბის იმ სტრესსა თუ ფიზიკური/ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, რომლებსაც სექსუალური შევიწროება იწვევს.
- სექსუალური შევიწროება გავლენას ახდენს ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე: იგი ზემოქმედებს ურთიერთობებზე პარტნიორებთან, მეგობრებთან თუ კოლეგებთან და შეუძლია პარტნიორებთან ურთიერთობის რღვევის გამოწვევა.
- თუ სექსუალურ შევიწროებას რეგულარული ხასიათი აქვს და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გრძელდება, მისი შედეგები მსხვერპლისთვის შესაძლოა, ძალიან მძიმე იყოს.

სექსუალური შევიწროება ზიანს აყენებს დამსაქმებლებსაც. თუ დასაქმებული სექსუალურ შევიწროებას განიცდის, მან, შესაძლოა, კონცენტრაციის უნარი და მოტივაცია დაკარგოს. ეს ზეგავლენას ახდენს სამუშაოს შესრულებაზე, შრომის ნაყოფიერებასა და ეფექტიან გუნდურ მუშაობაზე. სექსუალური შევიწროების ბევრი მსხვერპლის თქმით, თუ სექსუალურ შევიწროებას რეგულარული ხასიათი აქვს, იგი ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს სამუშაოს შესრულებაზე. დამსაქმებლებმა შეიძლება დაკარგონ მნიშვნელოვანი თანამშრომლები ან აღმოაჩინონ, რომ მათ მოტივაცია და პროდუქტიულობა დაკარგული აქვთ.

დღეს ბევრი დამსაქმებელი აღიარებს სექსუალური შევიწროების პრევენციის მნიშვნელობას, რათა შემცირდეს სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევები, ბიულეტენზე მყოფი თანამშრომლების, ასევე, თანამშრომელთა დაკარგვისა და ახალი პერსონალის დაქირავებით გამოწვეული ხარჯები. სექსუალური შევიწროების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა პოზიტიური ნაბიჯია ორგანიზაციის შიგნით და ხელს უწყობს კარგი სამუშაო გარემოს არსებობას.

სამუშაო ადგილას, მათ შორის, სამუშაო შეხვედრებსა და მივლინებებში, ღონისძიებებსა და წვეულებებზე ან სამსახურთან დაკავშირებულ სხვა ადგილებში ჩადენილი სექსუალური შევიწროებისთვის, შესაძლოა, პასუხისმგებლობა დამსაქმებელს დაეკისროს. გარდა იმისა, რომ სამართალწარმოების ხარჯები მაღალია, ამ ფაქტმა, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ორგანიზაციის რეპუტაციას.

სექსუალური შევიწროების მსხვერპლთა უმეტესობა მომხდარის შესახებ არ ჩივის. მონაცემები ცხადყოფს, რომ მსხვერპლთა 89% სექსუალური შევიწროების შესახებ საკუთარ მენეჯერს არ ატყობინებს, 89% არც პოლიციას ატყობინებს. ბევრი მსხვერპლი ასე იმიტომ იქცევა, რომ სექსუალური ქცევის შესახებ ლაპარაკი მისთვის რთული და უხერხულია.

შესაძლოა, სექსუალურმა შევიწროებამ უმძიმესი ზეგავლენა მოახდინოს მსხვერპლზე, მის ჯანმრთელობასა და მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე. ბევრი მსხვერპლი გარიყულია, მოძალადის მხრიდან სამაგიეროს გადახდის ეშინია, არ იცის, ვის მიმართოს და ხშირად, თუ სექსუალური შევიწროება გრძელდება, იძულებულია, სამსახური დატოვოს.

სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრის შეტანა მისი შეწყვეტის საუკეთესო გზაა. ის იცავს მსხვერპლს და სხვა თანამშრომლებსაც, რომელთა მიმართაც, შესაძლოა, სექსუალურ შევიწროებას ასევე ჰქონდეს ადგილი. ამას გარდა, საჩივრის შეტანა იცავს დამსაქმებლის ღორსებასა თუ უფლებებს და ხელს უწყობს უკეთესი სამუშაო გარემოს შექმნას. ეს თქვენი უფლებაა!

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებადაცვის საშუალებები

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლების აღდგენის სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს, რომლებიც ადამიანს შეუძლია გამოიყენოს, თუ მიიჩნევს, რომ სექსუალურ შევიწროებას დაექვემდებარა.

როდესაც საკითხი შეეხება კერძო სივრცეში, მაგალითად, სამუშაო ადგილზე ან პროფესიულ ურთიერთობაში სექსუალურ შევიწროებას, პირს შეუძლია მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს ან საქართველოს სახალხო დამცველს.

რაც შეეხება საჯარო სივრცეში (საზოგადოებრივ ადგილებში) სექსუალურ შევიწროებაზე სამართლებრივი რეაგირების მექანიზმს, აღნიშნული ფუნქცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს მინიჭებული.

მსხვერპლმა შესაძლოა გამოიყენოს ორივე სამართლებრივი დაცვის საშუალება - სასამართლო და საქართველოს სახალხო დამცველი, თუმცა, არსებობს გარკვეული შეზღუდვები. კერძოდ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო დავას სასამართლო განიხილავს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, საქართველოს სახალხო დამცველი

წყვეტს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო საქმეზე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება.

სექსუალური ძალადობა ბავშვებში

რა არის სექსუალური ძალადობა ბავშვზე? ბავშვის გამოყენება სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და/ან გამორჩენის მიზნით, რაც მოიცავს: სექსუალური მეტყველებით თუ შენიშვნებით დევნას, სექსუალურ გარყვნას, ეროტიულ ალერსს, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღებას, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ნებართვას ან ხელშეწყობას, გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას, სასქესო ორგანოების დემონსტრირებას, ღია საუბრებს სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევას (ინცესტი), სხეულით ვაჭრობის იძულებას და სხვა.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს. სექსუალური ძალადობის შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბავშვის თანხმობით მოხდა ეს თუ არა. მოზრდილს, ჯერ ერთი, იოლად შეუძლია ბავშვზე ზეგავლენის მოხდენა, და მეორე, ბავშვს არ შეუძლია ამ ქმედებათა მნიშვნელობის გაგება, მათი შეფასება. გარდა ამისა, მოძალადე თავისი მიზნის მისაღწევად ხშირად მიმართავს მუქარას ან შანტაჟს. ბავშვისთვის ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმაა.

სექსუალური ძალადობა შეიძლება მოხდეს ოჯახს გარეთ ან ოჯახში. ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ასაკის ბავშვი, როგორც გოგონა, ასევე ბიჭი. ხშირ შემთხვევებში ოჯახს გარეთ სექსუალური ძალადობა გაუპატიურების სახით ხდება, ფიზიკური თავდასხმითა და მუქარით. ამგვარი ძალადობის მსხვერპლი უმეტესად მოზარდები არიან. ოჯახში სექსუალურ ძალადობას ქრონიკული ხასიათი აქვს, ზოგჯერ წლების მანძილზე გრძელდება, ბავშვის ჩათრევა ამ ქმედებებში თანდათანობით ხდება, მსხვერპლი უფრო მცირე ასაკისაა, ვიდრე ოჯახს გარეთ ძალადობის შემთხვევაში.

მითები და რეალობა სექსუალური ძალადობის შესახებ

მითი: ბავშვები ტყუიან იმის შესახებ, რომ მათ მიმართ ხორციელდება სექსუალური ძალადობა.
რეალობა: ბავშვები იშვიათად ტყუიან იმის შესახებ, რომ მათ მიმართ ხორციელდება ძალადობა. უფრო პირიქით, მათ შეიძლება შეამცირონ ძალადობის ბუნება და ხარისხი, რადგან ეშინიათ მოძალადისა და აგრეთვე შიშობენ, რომ მათ ვერ გაუგებენ ან დაადანაშაულებენ.

მითი: ბავშვები თვითონ არიან მაცდუნებლები მოზრდილისა და ბავშვის სექსუალურ ურთიერთობებში.

რეალობა: ბავშვებს, ისევე როგორც ყველა სხვა ცოცხალ არსებას, ახასიათებთ სექსუალური განცდები, მაგრამ მათ ჯერ არ აქვთ ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ თანატოლთა წრის გარეთ სექსუალური გამოცდილების ინიცირება მოახდინონ. მოზრდილ ადამიანებს აქვთ ასეთი ცოდნა და გამოცდილება. ისინი აცნობიერებენ, რომ სექსუალური ქმედებებით ექსპლუატაციას უწევენ და ზიანს აყენებენ ბავშვს.

მითი: ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობას უმეტესწილად ბავშვისთვის უცხო, უცნობი ადამიანები ახორციელებენ.

რეალობა: ხშირ შემთხვევაში (შემთხვევათა 75-90%) ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას ახორციელებენ ადამიანები, რომლებსაც ბავშვები კარგად იცნობენ და რომლებსაც ენდობიან.

მითი: სექსუალური ძალადობა მხოლოდ ერთხელ ხდება.

რეალობა: ხშირად ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ხანგრძლივად მიმდინარე პროცესია, რომლის დროსაც მოძალადე სარგებლობს ბავშვთან დამყარებული ახლო ურთიერთობით, ბავშვის ნდობით. ხშირად უშუალოდ სექსუალურ ქმედებებში ბავშვის ჩართვას წინ უსწრებს სექსუალური ელფერის ხანგრძლივი "მოსამზადებელი" პერიოდი.

მითი: სექსუალური ძალადობა იწყება პუბერტატულ (მოზარდობის) ასაკში.

რეალობა: სექსუალური ძალადობა შეიძლება განხორციელდეს, როცა ბავშვი ჯერ კიდევ ჩვილობის ასაკშია. სკოლამდელი ასაკის ბავშვები ითვლებიან მაღალი რისკის ჯგუფად. .ყველაზე ხშირად ძალადობას განიცდიან 6-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვები.

მითი: ბავშვს აზიანებს მხოლოდ სქესობრივი აქტი.

რეალობა: ბავშვისთვის მატრავმირებელია სექსუალური ძალადობის ნებისმიერი ფორმა. სექსუალური ძალადობით მიყენებული ზიანი ემოციური ბუნებისაა და მომდინარეობს იმედგაცრუების, ღალატის, იზოლაციის, სირცხვილის, შფოთვის და ბავშვობის დაკარგვის განცდებიდან, რომლებსაც ბავშვი გრძნობს და მას მოზრდილ ცხოვრებაშიც გაჰყვება.

ბავშვის ბუნებრივი და პრობლემური სექსუალური ქცევები აუცილებელია, ცალკე განვიხილოთ ბავშვების სექსუალური თამაშების მნიშვნელობა შესაძლო სექსუალური ძალადობის შეფასებით. როდესაც პატარა ბავშვები სექსუალურად იქცევიან, ზოგჯერ ძნელია განვასხვავოთ ბუნებრივი და ჯანსაღი ქცევა ისეთი ქცევისაგან, რომელიც სახიფათო სიგნალს წარმოადგენს და ბავშვის მიერ განცდილი ქაოსის შესახებ გვამცნობს. ამიტომ ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთისგან განასხვავონ ბავშვის ბუნებრივი და პრობლემური სექსუალური ქცევები.

ბუნებრივი და ჯანსაღი სექსუალური ქცევა _ ეს არის გამოკვლევაზე, ინფორმაციის შეგროვებაზე მიმართული ქცევა. ესაა ქცევა, როცა ბავშვები იკვლევენ ერთმანეთის სხეულებს, ათვალიერებენ, ეხებიან (მაგალითად, ექიმობანას თამაშისას), ან იკვლევენ, ეცნობიან სქესის როლებსა და ქცევებს (მაგ., სახლობანას თამაშისას).

• ბავშვების ბუნებრივი სექსუალური ქცევა ყოველთვის ნებაყოფლობითია და ამდენად, სასიხარულო, სასიამოვნო. ის არ არის დაკავშირებული მოსყიდვასთან, დაშინებასთან, შანტაჟთან.

• თამაშებსა და გამოკვლევებში მონაწილეობენ ერთი და იმავე ასაკის, განვითარების დონის მქონე ბავშვები.

• ბავშვები, რომლებიც სექსუალურ გამოკვლევებს მიმართავენ, ჩვეულებრივ დიდ დროს ატარებენ ერთად (ისინი შეიძლება იყვნენ მეგობრები, ძმები, დები), ერთად თამაშობენ სხვადასხვა თამაშებს და ახორციელებენ სხვადასხვა გამოკვლევებს, მათ შორის სქესისაც;

• ეს ორმხრივი, ერთობლივი გამოკვლევაა, რომლის დროსაც მონაწილეები როლებს ცვლიან;

• ბავშვები არ ფიქსირდებიან ერთ თამაშზე. სექსუალური თამაში თამაშების ერთ-ერთი და არა ერთადერთი ვარიანტია. ამასთან, შეზღუდულია დროში.

• თუ მოზრდილი შეუსწრებს ბავშვებს სექსუალური თამაშის დროს, ბავშვები გამოხატავენ სირცხვილსა და შეწუხებას.

• თუ მოზრდილი აუკრძალავს ბავშვებს ამგვარ თამაშს, ეს აკრძალვა მოქმედებს და ბავშვები სექსუალურ ქმედებებს წყვეტენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ბუნებრივი, ჯანსაღი სექსუალური ქცევისას ტრავმის გათამაშება არ ხდება.

• ბავშვის ბუნებრივ, ჯანსაღ სექსუალური ქცევაში არ შეინიშნება აგრესია.

• სექსუალურ თამაშებში მონაწილე ბავშვის განმარტებები ლოგიკურია. ბავშვი ცდილობს ახსნას, რას და რატომ აკეთებდა (მაგ., "ექიმობანას" ვთამაშობთ").

ვინ შეიძლება იყოს მოძალადე? პირები, რომლებიც ბავშვთა მიმართ სექსუალურ დანაშაულს სჩადიან, საზოგადოების ყველა ფენაში არსებობენ. ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ საქმიანობის ნებისმიერ სფეროში და ნებისმიერ ქვეყანაში. ისინი შეიძლება იყვნენ ჰეტერო - და ჰომოსექსუალები, და მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა მამაკაცია, არიან ასევე ქალებიც, რომლებიც ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას სჩადიან.

მართალია, ასეთ ადამიანებს, ჩვეულებრივ, „პედოფილებს“ უწოდებენ, ეს მთლად სწორი არაა: ტერმინი „პედოფილი“ ეხება ადამიანს, რომელიც სექსუალურ ლტოლვას განიცდის სქესობრივად მოუმწიფებელი ბავშვის მიმართ. თუმცა, ბევრი პედოფილი არ ახორციელებს თავისი ფანტაზიების რეალიზებას ბავშვთან სექსუალურ ურთიერთობებში. აუცილებელი არაა, რომ ადამიანი, რომელიც სექსუალურ ძალადობას ანხორციელებს ბავშვზე, პედოფილი იყოს. შესაძლებელია, მას ბავშვთან სექსი მხოლოდ იმიტომ აქვს, რომ ამის შესაძლებლობა არსებობს. ამიტომ, ბავშვთან სექსუალურ ურთიერთობაში მყოფი ადამიანის ასაღწერად უფრო ზუსტი და შესატყვისი იქნება ტერმინი: „ბავშვის მიმართ სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირი“.

ბავშვთან სექსუალური კონტაქტის დამყარებას ცდილობენ პედოფილები, ანუ სექსუალური გადახრების მქონე პირები. მოძალადეთა შორის არიან ახალგაზრდები, რომლებსაც არ შესწევთ სრულყოფილი სექსუალური კონტაქტის უნარი. არიან მოხუცებიც, იზოლირებული, მარტოხელა ადამიანები, რომლებსაც ნორმალური სქესობრივი აქტივობისთვის პირობები არ აქვთ. არიან ასოციალური პიროვნებებიც, რომლებსაც ზრდასრულ ადამიანებთან მათთვის დამაკმაყოფილებელი ურთიერთობების დამყარება არ შეუძლიათ. მოძალადეთა შორის ის ადამიანებიც არიან, რომლებიც ბავშვობაში თვითონ იყვნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

მოძალადე შეიძლება იყოს (თუმცა, აუცილებელი არაა) ადამიანი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეესაბამება შემდეგ კრიტერიუმებს:

• არაბუნებრივი ლტოლვა აქვს, ბევრი დრო გაატაროს ბავშვებთან;

• წარსულში ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა, რომლებიც, შესაძლოა, სექსუალურ ძალადობასთან იყოს დაკავშირებული;

• ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო;

• მოიხმარს პორნოგრაფიულ მასალას;

• ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მომხმარებელია;

• სხვა.

ბავშვის მიმართ სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: „შემთხვევითი“/სიტუაციური (situational) და „პრეფერენციული“/უპირატესობის მიმცემი (preferential). „შემთხვევით“ პირებს ბავშვების მიმართ ჩამოყალიბებული სექსუალური ინტერესი არ გააჩნიათ. ისინი ბავშვებთან სექსუალურ ურთიერთობებში იმიტომ შედიან, რომ ამის შესაძლებლობა ეძლევათ. ასეთი ადამიანები ბავშვებზე იმიტომ ძალადობენ, რომ ხვდებიან სიტუაციაში, როდესაც ბავშვი მათთვის ადვილად ხელმისაწვდომია.

„პრეფერენციულ“ (უპირატესობის მიმცემ) პირებს უკვე ჩამოყალიბებული დამოკიდებულება აქვთ სექსუალურ ურთიერთობებში ბავშვებისთვის უპირატესობის მინიჭების თვალსაზრისით. ისინი არც ისე მრავალრიცხოვანნი არიან, როგორც „შემთხვევითები“, მაგრამ პოტენციურად ბავშვების უფრო მეტი რაოდენობისთვის შეუძლიათ ზიანის მოტანა, რადგან ეს მათ სურვილს და განზრახვას წარმოადგენს. ასეთ „პრეფერენციულ“ (უპირატესობის მიმცემ) პირთა შორის შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ქცევითი ჯგუფი:

• „მაცდუნებლები“ (Seducers) ბავშვის მისაზიდად იყენებენ მიჯაჭვულობის გამოხატვას, ყურადღებას ან საჩუქრებს. ძალადობისთვის სამზადისში, ხშირად ისინი ბევრ დროს ახარჯავენ თავიანთ მსხვერპლზე „ზრუნვას“. მათ შეიძლება გამოიყენონ მუქარა, შანტაჟი და ფიზიკური ძალადობა, რათა თავიდან აიცილონ გამჟღავნება, მხილება;

• „ჩაკეტილი“ (Introverted) პირები ასევე ბავშვებს ანიჭებენ უპირატესობას, მაგრამ ისინი მოკლებულნი არიან „მაცდუნებელთა“ უნარს, გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება ჩამოაყალიბონ ბავშვებთან. მათ მინიმუმამდე დაჰყავთ მსხვერპლებთან ვერბალური კონტაქტი და სექსუალური ურთიერთობების დამყარებას უცნობ ან ძალიან პატარა ბავშვებთან ცდილობენ;

• ყველაზე ნაკლებად გავრცელებული ჯგუფი - ეს არის „მოძალადე-სადისტები“ (sadistic offenders), რომლებსაც სექსუალურად აინტერესებთ ბავშვები, მაგრამ, ამავე დროს, სექსუალურ სიამოვნებას იღებენ მსხვერპლისთვის ტკივილის მიყენებით. მოძალადეთა სწორედ ამ ტიპისთვის არის დამახასიათებელი ძალის გამოყენება ბავშვის დაუფლების მიზნით, აგრეთვე მსხვერპლის გატაცება და მკვლელობაც კი.

ამდენად, მოძალადე ხშირად სხვათაგან არაფრით გამოირჩევა. ხშირად მოძალადე ისეთი ადამიანია, რომელიც გარემომცველთა წრეში კარგი რეპუტაციით სარგებლობს და არავითარ ეჭვს არ იწვევს. მოძალადე შეიძლება იყოს ქალიც და მამაკაციც, ბავშვიც და მოზრდილიც.

უმეტესად მოძალადე ბავშვისთვის კარგად ნაცნობი ადამიანია, რომელსაც ის ენდობა.

რას განიცდის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი?

ბავშვს მოზრდილის ფიზიკურ უპირატესობასთან გამკლავება, ძალადობისთვის წინააღმდეგობის გაწევა და მოვლენათა შეჩერება არ შეუძლია, რადგან ძალაუფლება მოძალადის ხელშია. ხშირად ბავშვი მაშინაც არ ეწინააღმდეგება მოძალადეს, როცა საამისოდ საჭირო პირობები არსებობს (მაგალითად, სხვა ადამიანების სიახლოვე, გაქცევის საშუალება).

ეს ხშირად მომდინარეობს ე.წ. ”კარგი აღზრდისგან” _ ბავშვებს ასწავლიან, რომ უფროსებს, განსაკუთრებით პატივსაცემ, ავტორიტეტის მქონე ადამიანებს (მასწავლებელი, ბიძია და სხვა) ”ყველაფერი დაუჯერონ”.

ბავშვი თავს იდანაშაულებს მომხდარის გამო და მკაცრი სასჯელის შიშით, იძულებულია დადუმდეს. ბავშვში დანაშაულის გრძნობის გამოწვევას ხშირად მოძალადე თავად ცდილობს. ის ჩააგონებს ბავშვს, რომ მომხდარის თანამონაწილეა. გოგონას, მაგალითად, შეიძლება უთხრან, რომ მან თვითონ "გამოიწვია" მთელი ეს სიტუაცია, ხოლო მომხდარი - "ჩვენი პატარა საიდუმლოა" და ა. შ.

სიტუაცია განსაკუთრებით დრამატულია, როცა მოძალადე არის მამა, რომელიც ბავშვს იმის წარმოდგენით აშინებს, თუ რა შეიძლება მოხდეს, "ეს რომ დედამ გაიგოს". დანაშაულის ძლიერი გრძნობა შეიძლება გამოიწვიოს კონტაქტის დროს განცდილმა სიამოვნებამ. ბავშვი, რომელსაც არ აქვს ცოდნა ფიზიოლოგიის ძირითადი პრინციპების შესახებ, ვერ აცნობიერებს, რომ მგრძნობიარე ზონების გაღიზიანებაზე სხეულის რეაქცია ძირითადად ავტომატურია, და ის თავს მომხდარის გამო მთავარ დამნაშავედ მიიჩნევს.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, მათ შორის ყველაზე პატარებიც, სინამდვილეში ვერ ხვდებიან, რა ხდება რეალურად, რცხვენიათ ამის შესახებ მოყოლა. თანდათან, როცა ბავშვი იზრდება, ის ნათლად აცნობიერებს, - რაც მის მიმართ ხორციელდებოდა - დანაშაულია. ამასთან, ის ხვდება: მოძალადის "მხილებამ" შეიძლება მთელ ოჯახს შეუქმნას საფრთხე და სრულიად გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს.

არის სხვა მიზეზებიც, რაც ბავშვს მორჩილებას და სიმართლის დამალვას აიძულებს, მაგალითად, შიში, რომ არ დაუჯერებენ და თვითონ მას დასჯიან. ზოგჯერ ბავშვი ფიქრობს, რომ გარემომცველებმა ისედაც ყველაფერი იციან. ხშირად ბავშვი იცავს მოძალადეს, ეშინია, რომ მას დააპატიმრებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოძალადე ბავშვის ახლობელი ადამიანია.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი!

სექსუალურ აქტივობაზე ბავშვის დაყოლიების სტადიები

მოძალადე, როგორც წესი, ბავშვს სექსუალურ ქმედებებში თანამონაწილეობისაკენ უბიძგებს საჩუქრების დახმარებით, განსაკუთრებით ალერსიანი და ყურადღებიანი ქცევით. შემდეგ ის მოტყუების, დაშინების, შანტაჟის, მოსყიდვის გზით ბავშვისგან მათი "განსაკუთრებული ურთიერთობის" საიდუმლოდ შენახვას მოითხოვს.

• გასაიდუმლოება _ ბავშვისაგან მოტყუების, შანტაჟის, მოსყიდვის გზით მოძალადე ითხოვს მისგან "განსაკუთრებული" ურთიერთობის საიდუმლოდ შენახვას;

• უძლურება _ ბავშვს არ შეუძლია მოვლენათა შეჩერება, რადგან ძალაუფლება მოძალადის ხელშია;

• შეგუება - ბავშვი ვერ პოულობს გამოსავალს და ცდილობს ფსიქოლოგიურად შეეგუოს სიტუაციას;

• აღიარების მცდელობა _ ბავშვი ცდილობს ახლობელ უფროსს უთხრას მომხდარის შესახებ, მაგრამ მისი არ სჯერათ; ხშირად აღიარება შემთხვევით ხდება: ან მოძალადე მიდის და ბავშვი თავს უსაფრთხოდ გრძნობს, ან ინიციატორებად ბავშვის მეგობრის მშობლები გვევლინებიან;

• უკანდახევა _ აღიარების შემდეგ ბავშვი მოზრდილების ან სხვა გარემოებების გავლენით უარყოფს თავისივე ნათქვამს.

სექსუალური ძალადობის გავლენა ბავშვზე

ზოგადად, სექსუალური ძალადობა უშუალოდ არღვევს "სხეულის საზღვრებს". ამიტომ მისი შედეგები "სხეულის ქცევაში" ჩანს. ზოგიერთი ბავშვი საკუთარ სხეულს განსაკუთრებულად მალავს და ნებისმიერ კონტაქტს გაურბის. ზოგი პირიქით, საკუთარი სხეულის დემონსტრირებას ღიად ცდილობს და ყველას "სთავაზობს" საკუთარ სხეულს, სხეულის ნორმალურ საზღვრებს კარგავს, ფიზიკური სიახლოვისა და დისტანციის სოციალურად მიღებული ნორმების ათვისება არ შეუძლია. ბავშვები და მოზარდები სექსუალურ ძალადობაზე რეაქციას სხვადასხვა ასაკში სხვა-დასხვაგვარად ავლენენ.

ბავშვები 3 წლამდე: შიშები, გრძნობების ქაოსი, ძილის დარღვევა, მადის დაკარგვა, უცხო ადამიანების მიმართ შიში, სექსუალური თამაშები.

სკოლამდელები: შფოთვა, გრძნობების ქაოსი, ბრალეულობა, სირცხვილი, ზიზღი, უმწეობა, საკუთარი ''გაფუჭებულობის'' განცდა; ქცევის დარღვევები - რეგრესი, აგრესია, მასტურბაცია, გაუცხოება, სექსუალური თამაშები.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები: უფროსების მიმართ წინააღმდეგობრივი გრძნობები, ოჯახური როლების განსაზღვრის სირთულეები, შიში, სირცხვილის, ზიზღის გრძნობები, საკუთარი ''გაფუჭებულობის'' შეგრძნება, სამყაროს მიმართ უნდობლობა; ქცევაში შეინიშნება განმარტოება, აგრესია, დუმილი ან მოულოდნელი ალაპარაკება, ძილის დარღვევა, ''ბინძური სხეულის'' შეგრძნება, სექსუალური ქცევები სხვა ბავშვებთან.

მოზარდები: დეპრესიული მდგომარეობა, დანაკარგის განცდა; ქცევაში - იზოლაცია, სხვა ბავშვებით მანიპულირება სექსუალური სიამოვნების მიღების მიზნით, წინააღმდეგობრივი ქცევა.

გაითვალისწინეთ: ყველაფერი, რასაც ბავშვი მომხდართან დაკავშირებით განიცდის და გამოხატავს, - მისი სულისა და სხეულის ნორმალური რეაქციაა განსა-კუთრებულად მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმის პასუხად.

როდის დავეჭვდეთ..

ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციო ბავშვის ქცევაში საფრთხის ამ სიგნალებს და ვიზრუნოთ მის პროფესიონალურ დახმარებაზე, თუ ბავშვი:

• ხშირად ჰკიდებს ხელს თავის გენიტალიებს;

• აგრესიულად, გაღიზიანებულად ან ძალიან სევდიანად თამაშობს მამაკაცის/ქალის როლებს;

• სძულს თავისი ან საპირისპირო სქესი;

• თავისი სხეული არ უყვარს; ხშირად ამბობს, რომ მისი სხეული უშნოა ან ბინძურია;

• დაჟინებით ინტერესდება სექსუალური ქმედებებით, მალულად ცდილობს შეეხოს სასქესო ორგანოებს, ინტიმურ ადგილებს; მოითხოვს, რომ სხვები მას შეეხონ. სექსუალურად უცნაურად იქცევა - "აცდუნებს" მოზრდილს;

• ითხოვს, რომ ადამიანებმა ტანსაცმელი მთლიანად გაიხადონ, ძალდატანებით ხდის სხვებს.

• ასაკისათვის შეუფერებელი სექსუალური ცოდნა აქვს; უცნობ ადამიანებს პირდაპირ უსვამს სხვადასხვა სექსუალური შინაარსის შეკითხვებს;

• ჩაცმაზე უარს ამბობს. ტანზე მალულად იხდის. უარს ამბობს, მარტო დატოვოს ადამიანები სააბაზანოში/ტუალეტში;

• სხვა ადამიანების თანდასწრებით გახდა (ექიმის, თანატოლების, ფიზკულტურის გაკვეთილზე და ა.შ.) ეშინია;

• საჯაროდ, გამომწვევად ეწევა მასტურბაციას, ითრევს ამაში სხვა ბავშვებს;

• სხვა ბავშვებთან, ცხოველებთან ან სათამაშოებთან სქესობრივი აქტის და/ან ორალური სექსის იმიტაციას ახდენს;

• ეშინია გარკვეული სპეციფიკური ადგილების, როგორიცაა სააბაზანო ან საწოლი;

• დარღვეულია ძილი _ ეშინია დაძინება, სიზმარში კოშმარებს ხედავს, ძალიან მოუსვენრად ძინავს, ძილში წრიალებს, ტირის;

• პასიურია, შებოჭილი. არ არის სპონტანური. მაგ., ფიზკულტურის გაკვეთილებზე ზის სწორად, გამართული, დაძაბული, ფეხებმიტყუპებული, მაშინ როცა სხვა ბავშვები სპონტანურად დარბიან, ყვირიან. უცნაურად მოძრაობს, თითქოს ცდილობს ფეხები ერთმანეთს არ დააშოროს;

• განსაკუთრებულ მოუსვენრობას გრძნობს და აშკარად ეშინია, როცა სთხოვენ დაწვეს ზურგზე;

• ეშინია, გაურბის შეხებას, განსაკუთრებით მოზრდილი ადამიანებისაგან, შეხებისას თითქოს ქვავდება. გადაადგილებისას მთელი ტანით მოჭიმულია, დაძაბული. კალთაში ჩაჯდომისას თავს უხერხულად გრძნობს; როცა ეძახიან, მოდის და ჯდება, თუმცა დაძაბულია.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთაგან ყველას როდი ახასიათებს ყველა მოცემული ნიშანი. ზოგიერთ ბავშვს ქცევის ჩამოთვლილი ნიშნებიდან მხოლოდ ერთი ან რამდენიმე შეიძლება შევამჩნიოთ. ერთი ცალკე აღებული ნიშანი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გავაკეთოთ დასკვნა სექსუალური ძალადობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სექსუალური საკითხებისადმი ბავშვების ინტერესი არა-ერთმნიშვნელოვანი მოვლენაა და განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამო-ვიჩინოთ როგორც ამგვარი ქცევის შეფასებისას, ისე ბავშვთან ამ საკითხზე საუბრისას. სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთაგან ყველას როდი ახასიათებს ყველა მოცემული ნიშანი; ზოგიერთი ბავშვი ქცევის მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ტიპის დემონსტრირებას ახდენს. ერთი ცალკე აღებული ნიშანი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გავაკეთოთ დასკვნა სექსუალური ძალადობის შესახებ.

თუ ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა

ზოგჯერ, როცა ბავშვი მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ ჰყვება, მოზრდილი ადამიანი არ უჯერებს მას და ეუბნება: "შენ ეს ყველაფერი მოიგონე"! გამოკვლევების თანახმად, ბავშვი იშვიათად "იგონებს" მსგავს ისტორიებს. ბავშვის მიერ ტრავმასთან გამკლავების ეფექტურობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მოზრდილის რეაქცია ბავშვის მონათხრობზე და მოზრდილის შემდგომი ქცევა ბავშვთან. ამიტომაც იმ მომენტში, როცა ბავშვი განხორციელებული ძალადობის შესახებ რაიმეს გვიყვება, ჩვენი მხრიდან დაუშვებელია პანიკა, ბავშვის ნათქვამში დაეჭვება, ბავშვის დასჯა.

• იყავით მგრძნობიარე და ამავე დროს შეინარჩუნეთ სიმშვიდე. თუ თქვენ ძალზე ემოციურ რეაგირებას მოახდენთ _ შეშინდებით ან გაბრაზდებით, ბავშვი აღარაფერს მოგიყვებათ. დაარწმუნეთ ბავშვი, რომ ის კარგად მოიქცა, როცა ამის შესახებ გიამბოთ;

• ნუ ელოდებით, რომ ის ამას მალე დაივიწყებს, მაგრამ ნურც თქვენ შეახსენებთ დაუსრულებლად მომხდარის შესახებ;

• ყურადღებით მოისმინეთ, რის მოყოლა სურს ბავშვს, მაგრამ ნუ ჩაეძიებით. არ იჩქაროთ გამოკვლევის ჩატარება ან გამოკითხვა. იყავით კარგი და ყურადღებიანი მსმენელი იმის მიმართ, რისი მოყოლაც უნდა და შეუძლია ბავშვს მოცემული მომენტისათვის. ხშირად ეს ბავშვის დიდი ხნის საიდუმლოა, რომელსაც ის დღეების, თვეების ან წლების განმავლობაშიც კი მალავდა. მოძებნეთ მყუდრო ადგილი

საუბრისათვის. ხელი შეუწყვეთ ბავშვს, გამოხატოს გრძნობები, მაგრამ არ მოუწყოთ დაკითხვა.

• არ გამოამჟღავნოთ დაეჭვება - ბავშვები ასეთ ისტორიებს არ იგონებენ. დაუჯერეთ ბავშვს. არ გამოთქვათ ეჭვები ბავშვის მონათხრობთან დაკავშირებით. ნუ უარყოფთ მოსმენილს, რაც არ უნდა ძნელი დასაჯერებელი იყოს ის. ბავშვები იშვიათად თხზავენ ისტორიებს ძალადობის შესახებ, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის შესახებ. მათ შეუძლიათ დიდი ხნის განმავლობაში შეინახონ საიდუმლო, რადგან შესაძლოა, მათ ემუქრებოდნენ ან ეუბნებოდნენ, რომ მომხდარი მათი ბრალია.

• არავითარ შემთხვევაში არ დაადანაშაულოთ ბავშვი (ისეთი კითხვები, როგორიცაა ''რატომ არ გაუძალიანდი?'', ''რატომ გააკეთებინე ეს?'', - ბავშვს დამატებით ტკივილს აყენებს);

• არ უსაყვედუროთ ბავშვს იმის გამო, რომ აქამდე არავის უამბო მომხდარის შესახებ.

• დაარწმუნეთ ბავშვი, რომ მომხდარში ის არ არის დამნაშავე და ნათლად განუმარტეთ, რომ მომხდარზე პასუხისმგებელი მხოლოდ და მხოლოდ მოზრდილი ადამიანია;

• გაიაზრეთ, რომ ბავშვი გრძნობების ქაოსს განიცდის. ხშირად მოძალადე ბავშვისთვის ახლობელი ადამიანია, ოჯახის წევრი, და მაშინაც კი, როცა ბავშვი ძლიერ ნეგატიურ გრძნობებს განიცდის, მას ასევე უყვარს ის ადამიანი და მისი წყენინების ეშინია.

• აუხსენით ბავშვს, რას მოიმოქმედებთ. შესაძლო გადატანილი ან მიმდინარე ძალადობის შესახებ ეჭვი საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ აცნობოთ ამის შესახებ ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახურს. უთხარით ბავშვს, რომ საჭირო იქნება დაელაპარაკოთ სხვა დეიდას ან ბიძიას, რომლებიც უკვე დაეხმარნენ სხვა ისეთ ბავშვებს, როგორიც ისაა.

• თუ ბავშვი მომხდარის შემდეგ მაშინვე გიყვებათ გადატანილი ძალადობის შესახებ, არ დაბანოთ ბავშვი და არ იჩქაროთ მისთვის ტანსაცმლის გამოცვლა _ ეს შეიძლება მნიშვნელოვანი სამხილი იყოს.

• პატივი ეცით ბავშვის კონფიდენციალობას. არ მოუყვეთ სხვა ადამიანებს, რომლებისთვისაც ამის ცოდნა აუცილებელი არაა. თუ ბავშვმა თქვენ ამოგირჩიათ თავის სანდო პირად, იყავით მასთან ერთად, როცა მას მოუხდება სხვა ადამიანებთან ამაზე საუბარი. მხარი დაუჭირეთ, დაეხმარეთ, რომ თავი უფრო უსაფრთხოდ იგრძნოს.

• უთხარით ბავშვს, რომ ის მარტო არ არის და თქვენ ყველაფერს გააკეთებთ იმისათვის, რომ ძალადობა აღარ განმეორდეს.

• მზად იყავით იმისათვის, რომ თქვენი დახმარება, მოთმინება და ყურადღება ბავშვს ხანგრძლივი დროის განმავლობაში დასჭირდება.

რომელი დანაშაული მიიჩნევა სქესობრივ დანაშაულად?

- გაუპატიურება (137-ე მუხლი)
- სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება (138-ე მუხლი)
- პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება (139-ე მუხლი)
- სექსუალური ხასათის შეღწევა 16 წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში (140-ე მუხლი)
- გარყვნილი ქმედება (141-ე მუხლი)
- პროსტიტუციაში ჩაბმა (253-ე მუხლი)
- არასრულწლოვნით ვაჭრობა, თუ დანაშაული მოიცავდა სექსუალური მომსახურების გაწევის იძულებას ან პირის პროსტიტუციაში/პორნოგრაფიაში ჩაბმას (143 სეკუნდა მუხლი)
- დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირის ან არასრულწლოვნის პროსტიტუციაზე დაყოლიება ან/და სხვა ისეთი არაძალადობრივი ქმედების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს პირის პროსტიტუციაში მონაწილეობას, ან ასეთი პირისთვის პროსტიტუციის მიზნით ადგილის ან საცხვრებლის გადაცემა (254-ე მუხლი)
- წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების შეძენა, შენახვა, ფლობა, ჩვენებაზე დასწრება ან ასეთი ნაწარმოებით სარგებლობა, შეთავაზება, იმპორტი ექსპორტი გავრცელება, გადაცემა, რეკლამირება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, დამზადება ან გასაღება (255-ე მუხლი)
- არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში (255 პრიმა მუხლი)
- არასრულწლოვნისთვის შეხვედრის შეთავაზება სექსუალური მიზნებისათვის (255 სეკუნდა მუხლი)

საქართველოს კანონი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ბრძოლის შესახებ“ მიღებულ იქნა 2020 წლის 17 მარტს, რომლითაც განისაზღვრა მსჯავრდებულებისათვის სასამართლოს გაა-ჩენით გარკვეული უფლებების ჩამორთმევის შესაძლებლობა. გარდა ამისა, მათ ეკისრებათ სხვადასხვა ტიპის ვალდებულება, მათ შორის პოლიციის დაწესებუ-ლებაში პერიოდულად გამოცხადებისა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესრულების შესახებ.

სასამართლო უფლებამოსილია, მსჯავრდებულს ჩამოართვას შემდეგ დაწესებულებებში საქმიანობის *უფლება:*

- საგანმანათლებლო დაწესებულებაში
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში
- სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებაში

სასამართლო უფლებამოსილია, მსჯავრდებულს შეუზღუდოს შემდეგი ტიპის მომსახურების *გაწევის* უფლება

- არასრულწლოვანთათვის ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო/სასწავლო/ სააღმზრდელო მომსახურების გაწევის უფლება (მაგ: რეპეტიტორობა)
- აღნიშნულ მომსახურების გამწევ დაწესებულებაში საქმიანობის უფლება

სასამართლო უფლებამოსილია, მსჯავრდებულს აუკრძალოს შემდეგ ტერიტორიებზე არაუმეტეს 30 მეტრში მიახლოება

- არასრულწლოვნისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება;

სასამართლო უფლებამოსილია, მსჯავრდებულს აუკრძალოს შემდეგ დაწესებულებებში ყოფნა

- ნებიმიერი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება;
- არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი ბიბლიოთეკა;
- ბავშვთა გასართობი ცენტრი;
- საკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულება;
- არასრულწლოვანთათვის ნებისმიერი მომსახურების გამწევი დაწესებულება.

სასამართლო უფლებამოსილია, მსჯავრდებულს შეუზღუდოს ან აუკრძალოს:

- არასრულწლოვანთან ერთად ცხოვრების უფლება
- სოციალურ მუშაკად მუშაობის უფლება
- საექიმო საქმიანობის განხორციელების უფლება
- საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება
- პასიური საარჩევნო უფლება
- იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება

- სატრანსპორტო საშუალებით, მათ შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის უფლება
- და სხვა

ნაადრევი ქორწინება

- ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ორი ადამიანის ოფიციალური ან არაოფიციალური კავშირია, რომელთაგან ერთ-ერთს მაინც, ჯერ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის, ანუ ბავშვია.
- სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის თანახმად, საქართველოში ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან (გამონაკლისის გარეშე!)

ნებისმიერი რელიგიური წესით, სასულიერო პირის მიერ ჩატარებულ ქორწინების რიტუალს, ნიშნობას ან სხვა ტიპის კულტურულ თუ ტრადიციულ ღონისძიებას იურიდიული ძალა არ აქვს !

რეფერირების სუბიექტების ვალდებულებები

- არასრულწლოვანზე ძალადობის ფაქტის აღმოჩენის (მათ შორის სექსუალური ძალადობის);
- ნაადრევი ქორწინების;
- ქორწინების იძულების;
- არასრულწლოვნის ორსულობის;

დადასტურებული ფაქტის ან/და ეჭვის არსებობის შემთხვევაში, რეფერირების სუბიექტი (სკოლა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სოციალური სამსახური, სამედიცინო დაწესებულებები) ვალდებულია დაუყოვნებლივ გააკეთოს შეტყობინება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლის მეექვსე პრიმა პუნქტით დასჯადია -

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა.

სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ბავშვის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულის სიმძიმე დამოკიდებულია ბევრ ფატორზე, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი ქმედება თავისთავად არის დამამძიმებელი გარემოება.

7

ნაწილი მეექვსე - ბავშვზე სექსუალური ძალადობის რისკ-ფაქტორები

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი შესაძლებელია გახდეს ნებისმიერი ბავშვი. თუმცა უმჯობესია გვახსოვდეს, რომ შეგვიძლია გამოვყოთ ფაქტორები, რომლებსაც აქვთ გავლენა იმაზე, თუ როდისაა უფრო დიდი ალბათობა იმისა, რომ ბავშვი გახდეს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. არსებობს ამ რისკ-ფაქტორების სამი ჯგუფი: **დაკავშირებული ბავშვთან, ოჯახთან და გარემოსთან.**

ბავშვთან დაკავშირებული ეს ფაქტორები ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ფუნქციონირებისთვის დამახასიათებელი თვისებებია, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ ბავშვის ურთიერთობებში შესვლის ფორმაზე. გამოვარჩევთ:

- შეზღუდულ შესაძლებლობებს, მათ შორის ინტელექტუალურ ჩამორჩენილობას: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები უფრო მეტად არიან სექსუალური ძალადობის რისკის ქვეშ, ვიდრე მათი თანატოლები.
- სქესს: გოგონები ბიჭებზე უფრო ხშირად ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი. თუმცა აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ბიჭების შემთხვევაში პრობლემა არაა სათანადოდ შეფასებული.
- ასაკს: უმეტესწილად სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან დაწყებითი სკოლის მოსწავლეები, რაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვა/დანარჩენი ასაკის ბავშვები არ ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი.

ოჯახური ფაქტორები განისაზღრება ოჯახური სისტემის ფუნქციონირებით. გამოვარჩევთ:

- სახლში არსებულ ნეგატიურ ატმოსფეროს, მშობლების გაყრას, კონფლიქტურ ოჯახში აღზრდას, მშობლების მხრიდან ბავშვის მიმართ მხარდაჭერის არარსებობას და ოჯახში არსებულ მკაცრ დისციპლინას;
- ერთ-ერთი მშობლის ფიზიკურ, ან ფსიქიკურ „დეფიციტს“, ბავშვის მარტოხელა დედის, ან მამის მიერ აღზრდას, დედის მოუცლელობას, რომელიც გამოწვეულია მაგალითად, რთული და მომთხოვნი სამსახურით, შეზღუდული შესაძლებლობებით, ან დაავადებით და ბავშვის აღზრდას მამობილის, ან დედის პარტნიორის მიერ;

- ოჯახში სხვა პრობლემის არსებობას. ბავშვზე სექსუალურად ძალადობა უფრო ხშირია ისეთ ოჯახებში სადაც შემდეგ პრობლემებთან გვაქვს საქმე: ბავშვების, ან ოჯახის სხვა წევრების მიმართ ფიზიკური ძალადობა, ბავშვისთვის მზრუნ-ველობის მოკლება, ცხოველებთან სასტიკად მოპყრობა, ბავშვის ტრავმირება, ახლობელი ადამიანის დაკარგვა.

გარემო ფაქტორები:

- ოჯახის სოციალური იზოლაცია, რაც ნიშნავს გარემოცვასთან ურთიერთობების არქონას, ან ცუდ ურთიერთობებს;
- კულტურული განსხვავება, ენობრივი ბარიერის გამო ოჯახის სოციალური იზოლაციის გაღრმავება/გაძლიერება.

ბავშვზე სექსუალური ძალადობის რისკ-ფაქტორების ცოდნა და მათი ეფექტური იდენტიფიცირება/ამოცნობა საშუალებას იძლევა:

- ვიპოვოთ ის ბავშვები, რომლებიც სექსუალური ძალადობის ყველაზე დიდი რისკის ქვეშ არიან;
- დავგეგმოთ ბავშვებისა და მათი ოჯახების მიმართ პროფილაქტიკური ღონისძიებები;
- შევაჩეროთ ბავშვზე სექსუალური ძალადობა.

8

ნაწილი მეშვიდე - ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ნიშნები და შედეგები

ძალიან რთულია პასუხი გავცეთ ამ რთულ კითხვაზე, რომელიც ეხება სექსუალურ ძალადობას: როგორ შეგვიძლია გავიგოთ, რომ ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია? ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ არ არსებობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ამ სიმპტომების არსებობა, ინტენსიურობა და რაოდენობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: ბავშვის ასაკზე, ტემპერამენტზე, ბავშვის მიერ სექსუალური ძალადობის ფაქტების გამხელაზე, ახლო გარემოცვის რეაქციაზე, ბავშვის მიერ სტრესთან გამკლავებაზე, მოძალადესთან ურთიერთობებზე და საფრთხეებზე.

სექსუალური ძალადობის ნათელი ნიშნებია: ორსულობა, ბავშვის საშოში, ანუსში, ან პირში სპერმის არსებობა. თუ ბავშვს სქესობრივი გზით გადამდები დაავადება აღმოაჩნდება, ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვი გახდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

დანარჩენი სიმპტომებითაც, რომლებსაც ე.წ. არასპეციფიურ სიმპტომებს ვუწოდებთ, შესაძლებელია სექსუალური ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება. ისეთი ნიშნები, როგორიცაა ღამე ხშირი შარდვა, მასტურბაცია, უხასიათობა, აგრესია და სიბრაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს ბავშვზე სექსუალურ ძალადობაზე, ან ცხოვრებისეულ ტრავმაზე, როგორიცაა: მშობლების დაშორება /გაყრა, ოჯახის წევრის გარდაცვალება, კონფლიქტი ოჯახში, ოჯახში ძალადობა და დაძაბული ურთიერთობა თანატოლებთან.

ბავშვზე სექსუალურ ძალადობაზე შესაძლებელია მიგვანიშნებდეს:

- ის ფაქტი, რომ ბავშვი გაურბის კონკრეტულ ადამიანთან ურთიერთობას;
- ის ფაქტი, რომ ბავშვს ეშინია კონკრეტული ზრდასრული ადამიანის და ერიდება მასთან ურთიერთობას;
- ის ფაქტი, რომ ბავშვი ცდილობს სექსუალური ძალადობის ფაქტების გამხელას ალუზიების და გაურკვეველი კითხვების დახმარებით; მაგალითად, ბავშვმა შეიძლება აღიაროს, რომ ვიღაცამ სთხოვა ეს საიდუმლოდ შეენახა და არ გაეთქვა, დასვას უცნაური კითხვები ან გაგვიზიაროს თავისი მეგობრის გამოცდილება, რომელიც ეხება სექსუალურ ძალადობას;
- ის ფაქტი, რომ ბავშვი აღწერს ზრდასრული ადამიანის ქცევას ისე, თითქოს ის ადამიანი ცდილობს მასთან დაახლოვებას, მშობლების დაუკითხავად მასთან ბევრ დროს ატარებს, სოციალური ქსელების დახმარებით ეხმიანება მას და მუდმივად საჩუქრებს ჩუქნის;
- ის ფაქტი, რომ ბავშვი საკუთარ თავში ჩაკეტილია, ისეთი ფიზიკური პრობლემები აქვს, რომლებსაც სამედიცინო ახსნა არ გააჩნია;

- ის ფაქტი, რომ ბავშვს უძილობა, ან ძილთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს;
- ის ფაქტი, რომ ბავშვს სტკივა გენიტალიები, მაგალითად საშოს, ან ანუსის მიდამომები - რაც შესაძლოა სექსუალურ ძალადობაზე მიგვანიშნებდეს;
- ის ფაქტი, რომ ბავშვს აქვს ყურადღების კონცენტრაციის პრობლემები, დაბალი შეფასება სკოლაში, ან ბაღში;
- ის ფაქტი, რომ ბავშვი აგრესიული, იმპულსიური და მუდამ გაღიზიანებულია;
- ის ფაქტი, რომ ბავშვი მიმართავს ატიპიურ სექსუალურ ქცევებს - ინტენსიურად მასტურბირებს, ან აკეთებს ამას საჯაროდ, თამაშობს ისეთ თამაშებს, რომელიც სქესობრივ ურთიერთობას ჰგავს, სხვების მიმართ იჩენს გადამეტებულ ალერსს, რომელიც ინტიმურ საზღვრებს ცდება;

ბავშვის ასეთი ქცევა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ არასრულწლოვანი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია. თუ მის ასეთ ქცევას შენიშნავთ, უმჯობესია უმოკლეს ვადებში დაისვას ბავშვის პრობლემების დიაგნოზი და გაესაუბროთ მშობლებს, თუ როგორ შეგიძლიათ ბავშვს აღმოუჩინოთ დახმარება.

აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ნიშნები ხანდახან ძალიან რთულად შესამჩნევია არასრულწლოვნის უახლოესი გარემოცვისთვის. აქედან გამომდინარე, ხშირად ეს სიმპტომები არცაა სახეზე, ან ვლინდება ბავშვის ცხოვრების სხვა ეტაპებზე.

ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობის გრძელვადიანი შედეგები

ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას უარყოფითი გავლენა აქვს ბავშვზე და ახასიათებს არა მხოლოდ მოკლე-, არამედ გრძელვადიანი შედეგებიც, რომლებიც წლობით გრძელდება.

ბავშვზე სექსუალური ძალადობის გრძელვადიან შედეგებს რაც შეეხება, ყველაზე ხშირად ეს გახლავთ ფსიქიკური პრობლემები: დეპრესია, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა (ინგლისურად: PTSD), დამოკიდებულება, კვებითი აშლილობა და აგრეთვე სუიციდის მცდელობები. სექსუალური ძალადობის შედეგად დაზარალებულ ბავშვებს აქვთ დაბალი თვითშეფასება და ეუფლებათ უძლურობის განცდა.

სტიგმატიზაციის და იზოლაციის გრძნობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვს წლობით უგრძელდება. რაც უფრო ახლო ემოციური ურთიერთობები ჰქონდა ბავშვს მოძალადესთან, მით უფო ინტენსიურია ეს გრძნობები.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა ბავშვმა ზრდასრულობაში შეიძლება ვეღარ მიიღოს სიამოვნება სქესობრივი ურთიერთობებისგან, პრობლემა შეექმნას სხვებთან ახლო და მყარი ურთიერთობების დამყარებაში.

9

ნაწილი მერვე - სექსუალური ძალადობისგან ბავშვების დაცვა

ბავშვთა დაცვის სტანდარტები საგანმანათლებლო დაწესებულებში

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ. ამიტომაცაა ასეთი მნიშვნელოვანი, რომ ამ ტიპის დაწესებულებებმა შეუქმნან ბავშვს უსაფრთხო გარემო. ამასთანავე, ამ დაწესებულებების თანამშრომლებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ, რათა დაიცვან ბავშვები სექსუალური ძალადობისგან, ან დაეხმარონ იმ ბავშვს, რომელიც გახდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

ძალიან მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო დაწესებულებებში გატარდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები, მაგალითად: სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება როგორც ბავშვებში, ისე მშობლებში. ასეთი დაწესებულების თანამშრომლების დავალებაა ბავშვის მდგომარეობის მონიტორინგი, სექსუალური ძალადობის ნიშნების იდენტიფიცირება, ადრეული ინტერვენცია და შესაბამისი უწყებისთვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება.

საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლის მოვალეობაა არ დაუშვას ბავშვთან ის ადამიანი, რომელმაც შეუძლია არასრულწლოვანს ზიანი მიაყენოს. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებმა უნდა წარადგინონ ცნობა ნასამართლეობის შესახებ, რომ არ იყვნენ ნასამართლევი. აღნიშნული დოკუმენტის მიღება შესაძლებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში. მოქალაქის ძებნილობისა და ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება ხდება შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებში. გარდა ამისა, ხდება გასაურების დროს კანდიდატის გადამოწმება, შემთხვევით ხომ არ იძებნება მისი მონაცემები სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა რეესტრში.

ბავშვთა კეთილდღეობის დაცვის მიზნით, შემუშავდა ერთიანი სტანდარტები, რომელიც უნდა მოქმედებდეს ნებისმიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნული სტანდარტი წარმოადგენს წესების კრებულს, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს შევუქმნათ ბავშვებს სკოლასა და ბაღში უსაფრთხო გარემო და დავიცვათ ისინი ძალადობისგან.

აღნიშნული სტანდარტების ეფექტურად დასანერგად, უმჯობესია დაწესებულება შეურთდეს პროგრამა „ვიცავთ ბავშვებს“, რომელსაც ახორციელებს ფონდი „ვაძლიერებთ ბავშვებს“.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებს ენიჭებათ სერთიფიკატი „ვიცავთ ბავშვებს“, რითაც დასტურდება, რომ სკოლა/ბაღი იცავს ბავშვს ძალადობისგან და აკმაყოფილებს შემდეგ 6 სტანდარტს.

ბავშვთა ძალადობისგან დაცვის 6 სტანდარტი

სტანდარტი 1: დაწესებულებამ დანერგა ბავშვთა ძალადობისგან დაცვისა და მათი უსაფრთხოების გაძლიერების პოლიტიკა;

სტანდარტი 2: ბავშვების ძალადობისგან დაცვის მიზნით, დაწესებულება მონიტორინგს უწევს თავის თანამშრომლებს;

სტანდარტი 3: აღნიშნულ დაწესებულებაში ხდება პერსონალის რეგულარული გადამზადება - თანამშრომლებმა იციან, როგორ დაიცვან ბავშვი ძალადობისგან და რა სახის დახმარება აღმოუჩინონ მას საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში;

სტანდარტი 4: დაწესებულება სთავაზობს ბავშვების მშობლებს/მეურვეებს სპეციალურ კურსებს, თუ როგორ აღზარდონ ბავშვები ძალადობის გარეშე და როგორ დაიცვან ისინი სექსუალური ძალადობისგან;

სტანდარტი 5: დაწესებულებაში ტარდება მეცადინეობები, რომელზეც ბავშვი ეცნობა თავის უფლებებს და სწავლობს იმას, თუ როგორ დაიცვას თავი ძალადობისგან, მათ შორის სექსუალური ძალადობისგან;

სტანდარტი 6: დაწესებულება ახორციელებს ჩატარებული აქტივობებისა და აღნიშნული სტანდარტების დაცვის მონიტორინგს.

რთულ თემებზე ადვილად საუბარი - როგორ ვესაუბროთ ბავშვს სექსუალური ძალადობის შესახებ?

სექსუალური ძალადობისგან ბავშვის ეფექტურად დაცვის მიზნით, სექსუალურობის, საკუთარი სხეულისა და სექსუალური ქცევის შესახებ ბავშვს ინფორმაცია მისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდეთ. შეიძლება ამ თემაზე საუბარი რთულად მოგეჩვენოთ, თუმცა ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის სექსუალური ძალადობისგან დაცვის კუთხით.

ყველაზე პატარა ბავშვებსაც კი შეგვიძლია ადვილად და მათთვის გასაგებ ენაზე ავუხსნათ ყველაფერი და დავიცვათ ისინი ძალადობისგან, მათ შორის სექსუალური ძალადობისგანაც კი.

ასწავლეთ ბავშვს ეს 7 უადვილესი წესი:

პოლონურად GADKI, რაც ქართულად საუბარს ნიშნავს:

- G როცა ამბობ „არას“, ეს ნიშნავს „არას“
- A განგაში ატეხე, როცა დახმარება გესაჭიროება
- D კარგი იქნება, თუ იმ საიდუმლოს გაგვიმხელ, რაც ყველაზე მეტად გადარდებს

- K აუცილებლად გახსოვდეს, რომ შენი სხეული მხოლოდ შენ გეკუთვნის
- I ინტიმური ადგილები განსაკუთრებით დაცულია

სასწავლო მასალები

დიდია იმ სასწავლო მასალების არჩევანი, რაც სექსუალური ძალადობის თემატიკას ეხება. ეს შეიძლება იყოს როგორც ტრადიციული ტრენინგი და კონფერენცია, ისე ონლაინ კურსები და დისტანციური სწავლების სხვა ფორმები. ხელმისაწვდომია უამრავი სახელმძღვანელო, უფასო ბროშურა, თუ პლაკატი, რომელსაც გამოსცემენ სხვადასხვა უწყებები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის თემატიკით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ ფონდის „ვაძლიერებთ ბავშვებს“ თანამშრომლების მიერ მომზადებული მასალებით. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდებზე: www.edukacja.fdds.pl და www.stopwykorzystywaniu.pl

ყოველდღიურ რეჟიმში ბავშვთან მომუშავე სპეციალისტებს ვურჩევთ გაკვეთილების სცენარის გამოყენებას. გარდა ამისა, სასურველია მულტიმედიური მასალების გამოყენებაც, რაც ხშირად თან ერთვის გამზადებულ სცენარებს.

საგანმანათლებლო პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ბავშვთა უსაფრთხოების დაცვის თემასთან დაკავშირებული სხვა მასალებიც:

- მულტიმედიური პრეზენტაციები;
- მშობლებთან შეხვედრის სცენარები;
- სასწავლო ფილმები;
- პლაკატები და ბროშურები.

ფონდმა „ვაძლიერებთ ბავშვებს“ შექმნა აგრეთვე უამრავი ინტერაქტიული ონლაინ კურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პატარა ბავშვებსა და მოზარდებს. კურსები უფასოა და მორგებულია ბავშვის ასაკზე. ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: www.edu.fdds.pl

10

ნაწილი მეცხრე - ბავშვების მიერ მათ მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტების გამხელა

ბავშვისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტების გამხელა. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი ძალიან განიცდის, ეუფლება შიშის, სირცხვილის და დანაშაულის გრძნობა. გაბრაზებულია როგორც მოძალადეზე, ისე საკუთარ თავზე.

სექსუალური ძალადობის ფაქტების გამხელის შემდეგ ბავშვს სჭირდება სხვადასხვა სახის დახმარება.

პირველ რიგში, ბავშვი დაარწმუნეთ, რომ მისი გჯერათ, მის მხარეზე ხართ და ყველაფერს გააკეთებთ მის მხარდასაჭერად. აუხსენით, რომ აგრეთვე გაესაუბრებით იმ ადამიანებს, რომლებიც აუცილებლად დაეხმარებიან.

მნიშვნელოვანია, ბავშვი დაარწმუნოთ იმაში, რომ მომხდარში მას არანაირი ბრალი არ მიუძღვის, დამნაშავეა მოძალადე და სწორედ ის აგებს ყველაფერზე პასუხს.

ბავშვის მიერ გამოცდილ სექსუალურ ძალადობაზე საუბრისას, უფრო დიდ ტკივილს არ ვაყენებ მას?

ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ ბავშვს გამოცდილი სექსუალური ძალადობის ფაქტების გამხელაში დაეხმაროთ. ყურადღების კონცენტრირება ბავშვზე მოახდინეთ. იყავით მომთმენი, არ დააჩქაროთ ბავშვი, ზედმეტ კითხვებსაც ნუ დაუსვამთ მას. აკონტროლეთ საკუთარი ემოციები.

კითხვის დასმისას, ფრთხილად იყავით, უნებლიეთ ბავშვი რომ არ დაადანაშაულოთ მომხდარში.

შეგიძლიათ საუბარი ასე დაიწყოთ:

- შეგიძლია მომიყვე რა მოხდა?

როგორი პასუხიც არ უნდა გაგცეთ ბავშვმა, მთავარია, მშვიდად იყოთ, გაიმეორეთ მისი ნათქვამი და შეეცადეთ გაავრცობინოთ ის, რაც გითხრათ:

- მომიყევი ამის შესახებ.
- მერე რა მოხდა?
- და შემდეგ?
- გააგრძელე.

გახსოვდეთ, ნუ დაუსვამთ ბავშვს ზედმეტ კითხვებს და ნუ შეეცდებით მისგან დეტალური ინფორმაციის მიღებას - ბავშვს ამ თემაზე სასაუბროდ შეიძლება მეტი დრო დასჭირდეს, რადგან რცხვენია, ან ეშინია. თქვენმა ზედმეტმა კითხვამ კი შეიძლება ხელი შეუშალოს ბავშვს სექსუალური ძალადობის ფაქტის გამხელაში.

დრამატიზებას ნუ აკეთებთ, თუმცა თავსაც ნუ მოაჩვენებთ, რომ არაფერი მოხდა. ნუ ეტყვით ბავშვს, რომ უმჯობესია უმოკლეს დროში დაივიწყოს ის, რაც თავს გადახდა. ნუ ხართ გულგრილი იმის მიმართ, რასაც ბავშვი ამბობს, მაგრამ ნეგატიურ ატმოსფეროსაც ნუ შეუქმნით ბავშვს.

ბავშვს დაეხმარებით რთულ ემოციებთან გამკლავებაში, თუ დაარწმუნებთ მას შემდეგში:

- რომ მნიშვნელოვანია ის, რომ სექსუალური ძალადობის ფაქტი გაგიმხილათ;
- რომ მისი გჯერათ;
- რომ ეს მისი ბრალი არაა;
- რომ დამნაშავე მოძალადეა და მხოლოდ ის აგებს პასუხს;
- რომ დაეხმარებით მას ძალადობის შეჩერებაში;
- რომ არსებობს შესაბამისი უწყებები და კანონები, რომლებიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს იცავს. გააფრთხილეთ ბავშვი, რომ ის დაიკითხება ფსიქოლოგის თანხლებით.

ბავშვს ე.წ. ნდობის ტელეფონზეც უამბეთ, სადაც შეუძლია მიიღოს დახმარება და მხარდაჭერა, ანონიმურობა კი გარანტირებულია.

ბავშვისთვის განსაკუთრებით მძიმეა სექსუალური ძალადობის ფაქტის გამხელა, თუ მოძალადე მისი ახლო გარემოცვიდანაა. ასეთ სიტუაციაში, ბავშვის უცნობი, ანონიმური, თუმცა მის მიმართ მეგობრულად განწყობილი პიროვნება შეიძლება დაეხმაროს ბავშვს შიშის დაძლევაში და შეარჩევინოს მას ამ რთულ სიტუაციასთან გამკლავების საუკეთესო სტრატეგია.

ბავშვის მიერ სექსუალური ძალადობის ფაქტის გამხელის შემდეგ, შეიძლება თქვენც დაიბნეთ და არ იცოდეთ, თუ რა მოიმოქმედოთ. ასეთ სიტუაციაში პროფესიონალური დახმარების მიღების მიზნით, ყოველთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ბავშვთა დაცვის ცხელ ხაზს, რომელიც პოლონეთში მოქმედებს სპეციალურად მასწავლებლებისთვისა და მშობლებისთვის.

11

ნაწილი მეათე - ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დროს ინტერვენცია

იმოქმედე - ეს შენი სამართლებრივი ვალდებულებაა!

ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის შესახებ შეტყობინება ნებისმიერი ჩვენგანის ვალდებულებაა, თუმცა ყველაზე დიდი მნიშვნელობა ამას აქვს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ყოველდღიურად უწევთ ბავშვებთან მუშაობა. აუცილებელია მათ იცოდნენ ბავშვთა მიმართ ძალადობის რეაგირებისა და სამართლებრივი მექანიზმების შესახებ.

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინება აუცილებლად უნდა შევიდეს შესაბამის უწყებაში, რათა მოხდეს ამ ფაქტის აღკვეთა, ბავშვისთვის ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენა და მისი მომზადება შესაბამისი სამართლებრივი პროცედურისთვის.

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ეჭვი თუ არსებობს, უმჯობესია ვისარგებლოთ ბავშვთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი რეაგირების პროცედურებით. განურჩევლად იმისა, დანერგილია თუ არა თქვენს დაწესებულებაში რეაგირების პროცედურები, აუცილებელია მიიღოთ შემდეგი ზომები:

სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინება

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ უნდა ვაცნობოთ პოლიციას, ან რაიონულ პროკურატურას წერილობითი, ან ზეპირი ფორმით. თუ „განაცხადის“ მიღება ხდება ზეპირი ფორმით, აუცილებლად უნდა შედგეს ოქმი.

თუ არ ხართ დარწმუნებული, თუ როგორი ფორმით უნდა შეატყობინოთ მომხდარის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს, შეგიძლიათ ისარგებლოთ უფასო იურიდიული მომსახურებით, მაგალითად ოჯახის, ან სოციალური დახმარების ცენტრში. გარდა ამისა, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ (პოლონეთში მოქმედ) მშობლებისა და მასწავლებლებისთვის განკუთვნილ ცხელ ხაზს.

2017 წლიდან პოლონური კანონმდებლობის (კერძოდ კი, პოლონეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილის) თანახმად, არსებობს ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტების სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინების სამართლებრივი ვალდებულება. დანაშაულის დაფარვა და შეუტყობინებლობა ისჯება კანონით, 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით.

ბავშვის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ მშობლებთან საუბარი

თუ გაქვთ ეჭვი, რომ ბავშვი შეიძლება სექსუალური ძალადობის მსხვერ-პლია, აუცილებელია ითანამშრომლოთ მის მშობლებთან. შესაძლებლობის ფარგლებში, დაგეგმეთ შეხვედრა, რომლის მიზანიც იქნება:

- მშობლებისთვის ბავშვის მიმართ ძალადობის ფორმების გაცნობა;
- მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ ბავშვი უცნაურად იქცევა და საუბრობს, რაც შეიძლება სექსუალურ ძალა-დობაზე მიუთითებდეს;
- ადრეული ინტერვენციისას მშობლის, ან მეურვის როლზე საუბარი - ამ დროს უმჯობესია მიაწოდოთ ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, სადაც შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ როგორც ბავშვს, ისე მშობელს;
- სამართლებრივი ინტერვენციის ვალდებულებაში მშობლის დარწ-მუნება;
- ბავშვისთვის დახმარების აღმოჩენის ერთობლივი გეგმის შექმნა (უსაფრთხო გარემო როგორც ბაღში/სკოლაში, ისე სახლში, ბავშვის გადამისამართება სპეციალიზირებულ დაწესებულებაში, სადაც მას დახმარებას აღმოუჩენენ სპეციალისტები).

თუ ეჭვობთ, რომ მოძალადე შესაძლებელია იყოს ერთ-ერთი მშობელი, ან მეურვე, შეეცადეთ გაესაუბროთ მეორე მშობელს. მზად იყავით იმისთვის, რომ მეორე მშობელი დაიწყებს სექსუალური ძალადობის ფაქტების უარყოფას და არ დაიჯერებს ბავშვის ნათქვამს. გახოვდეთ, რომ ბავშვის დაცვის მიზნით, ადრეული ინტერვენცია არაა დამოკიდებულია მშობლების/მეურვეების თანხმობაზე.

თუ მოძალადე ბავშვის ერთ-ერთი მშობელი აღმოჩნდა, პროკურორი დანიშნავს სპეციალური კურატორს, რომელიც წარადგენს ბავშვის ინტერესებს. სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებაა საჭიროების შემთხვევაში, სასა-მართლოს მიმართონ მშობლის უფლებების შეზღუდვის/ჩამორთმევის თხოვნით.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის დახმარების აღმოჩენა

ბავშვთა მიმართა სექსუალური ძალადობის ფაქტის გამოვლენისას, უმჯობესია კარგად იცნობდეთ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სპეციალისტებს, რომლებიც შეძლებენ ბავშვისთვის როგორც ფსიქილოგიური დახმარების აღმოჩენას, ისე მის მომზადებას სამართლებრივი პროცედურისთვის.

ბავშვებთან და მათ მშობლებთან საუბრისას შეგიძლიათ ურჩიოთ მათ გაეცნონ სასწავლო მასალებს. www.edukacja.fdds.pl შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ მასალებს:

1. **ანონიმური ფილმი „ვიქნები მოწმე“** - ეხება იმ ბავშვებს, რომლებიც იკითხებიან მოწმის სტატუსით; ფილმი შედგება 4 ნაწილისგან:
    - როგორია მოწმის უფლებები და მოვალეობები?
    - როგორია ბავშვებისთვის განკუთვნილი დაკითხვის ჩატარების მეგობრული ოთახი?
    - რა არის ჩვენების მიცემა?
    - რა ხდება ჩვენების მიცემის შემდეგ?
2. **ბროშურა „ვიქნები მოწმე. ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის“** განკუთვნილი ინფორმაცია - აქ შეგიძლიათ გაეცნოთ ზოგად ინფორმაციას.
3. **ვიქნები მოწმე. სახელმძღვანელო ბავშვებისთვის**
4. **ვიქნები მოწმე. სახელმძღვანელო მოზარდებისთვის** - განკუთვნილია ბავშვებისთვის. ეხება შემდეგ თემატიკას: რა არის მოწმის დავალება, რა უფლებებითა და მოვალეობებით სარგებლობს მოწმე, როგორ გავუმკლავდეთ რთულ ემოციებს. როგორია დაკითხვის ჩატარების ოთახი და ვის შეიძლება შევხვდეთ, როცა მოწმის სტატუსით ვიკითხებით;
5. **შენი შვილი მოწმე იქნება.** სახელმძღვანელო - რეკომენდაციები განკუთვნილია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მშობლებისთვის.
6. **კურატორი, როგორც ბავშვის წარმომადგენელი. სახელმძღვანელო მშობლებისთვის** - აღნიშნული სახელმძღვანელო მოიცავს სრულ ინფორმაციას კურატორის შესახებ.

სად შეგვიძლია მივმართოთ დახმარებისთვის

HumanDoc

DAJEMY DZIECIOM SIŁĘ

www.humandoc.pl
www.humandoc.ge